ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№ 88 (149) 12 ოქტომბერი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

2010 წლის 1 ოქტომბერს ვაჟა ფშაველას მუზეუმი დაარბიეს

და ეს მოხდა ზუსტად ერთი კვირის შემდეგ იმ დღიდან, რაც სრულიად საქართველომ **"ვაჟაობა"** იზეიმა. თვით ვაჟაობაზე კი, ცნობილი ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი არ შევიდა ვაჟას საგანძურის ოთახში – აქ დიდი ვაჟა-ფშაველა დადიოდა და მე რა ღირსი ვარ, რომ მის ნაკვალევს ფეხი დავაბიჯოო.

და ზუსტად ერთ კვირაში ამ სიწმინდეებს ხელჰყოფენ ვიღაც ნაძირალები, რომელთათვისაც მთავარია ვაჟას ოჯახის ვერცხლეული როგორც მატერიალური ფასეულობა. თუმცა, პირველადი დათვალიერების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მუზეუმიდან არაფერი ფასეული არ არის წაღებულიო!

და ამით ამოიწურა მთელი კონფლიქტი!

ამოიწურა კი?

მახსოვს, 1992 წლის ზამთარში მოვფრინავდი მოსკოვიდან. მძიმე ჟამი უდგა ახლადდანგრეულ საბჭოთა კავშირს, უფრო მძიმე ჟამი კი პუტჩისტების მიერ ოკუპირებულ საქართველოს!

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საზღვრები ჯერ კიდევ არ იყო მესაზღვრეებით გამიჯნული, მაგრამ ერთი რესპუბლიკიდან (მით უმეტეს, მოსკოვიდან თბილისში) თვითმფრინავით გამგზავრება უაღრესად გაძნელებული გახლდათ – თითქმის ყველა რესპუბლიკაში სამოქალაქო ომები მძვინვარებდნენ, თვითმფრინავებს კი საწვავი არ ჰყოფნიდათ. ღამეების თენება გვიწევდა ხოლმე აეროპორტებში, ვიდრე ადგილებიდან დავიძვრებოდით.

ის იყო, ვნუკოვოს აეროპორტში რამდენიმე დღით დაგვიანებული ჩასხდომა გამოაცხადეს თბილისის რეისზე და ყველნი წამოვიშალეთ ადგილებიდან, რომ ჩემთან ცნობილი ქართველი მხატვარი, აწ განსვენებული თენგიზ მირზაშვილი მოვიდა, რომელსაც მხოლოდ მისი შემოქმედებით ვიცნობდი და მანამდე მასთან პირადი ურთიერთობა არ მქონია. ხელში, ოთხკუთხა, მუყაოშემოხვეული და ბაწრით შეკრული ჩარჩოიანი ნახატი ეჭირა, ზომით, დაახლოებით ერთი მეტრი – ორ მეტრზე.

– უნდა დამეხმაროთ, – მითხრა მან, – ეს ფიროსმანის ნახატი გახლავთ **"ორთაჭალის ტურფა"**, რომელიც ერთ-ერთმა ქართველმა მეცენატმა ვიღაც პეტერბურგელის საოჯახო ფონდიდან დიდ თანხად შეიძინა და საქართველოს დაუბრუნა. თბილისში დაგხვდებიან და ამ ნახატს მირზაანში წაიღებენ. სამწუხაროდ, მე თბილისში გამგზავრების საშუალება არა მაქვს, უნდა დამეხმაროთ, – კიდევ ერთხელ მთხოვა მან.

უარი არ მითქვამს, ნახატი გამოვართვი და სარეგისტრაციო რიგში ჩავდექი.

მართლაც მძიმე დრო იდგა მაშინ – თვითმფრინავის ტრაპთან თუ დროზე არ მიხვიდოდი და ქართულად, უწესრიგოდ მოჯარულ ხალხის ჯგლეთაში ძალის გამოყენებით არ გაიკვლევდი გზას, შეიძლება რეისზე ვერ მოხვედრილიყავი და მაშინ მომდევნო რეისისათვის უნდა გეცადა, რომელიც, არავინ იცოდა, როდის შედგებოდა, ან საერთოდ შედგებოდა თუ არა. ამიტომ, მეშინოდა, რომ ტრაპთან მიჯარულ ხალხს ნახატი არ დაეზიანებინა. იმ რუს სტიუარტს გავუზიარე ჩემი შიში, რომელსაც თვითმფრინავის ტრაპამდე უნდა მივეყვანეთ.

– როგორ, ფიროსმანის ნახატი მიგაქვთ? – გაიოცა მან, – ბედნიერი ადამიანი ხართ, რომ ამ უდიდესი შემოქმედის ქმნილებას ხელით ეხებით! არ ინერვიულოთ, მე ყველაფერს მოვაგვარებ! – დამამშვიდა რუსი ეროვნების სტიუარდმა.

იგი ტრაპთან მიჯარულ მგზავრებთან მივიდა და მდგომარეობა აუხსნა, და მოხდა სასწაული – რამდენიმედღიანი ლოდინით გაწამებული ხალხი შუაში გაიყო და გზა გამინთავისუფლეს. ორი საათი მოვფრინავდით თბილისამდე და ამ დროის მანძილზე თვითმფრინავში არ დარჩენილა ადამიანი, რომელიც არ მოსულიყო და იმ მუყაოსათვის, რომელშიც სურათი იყო შეფუთული, ხელი არ დაედოს. სიწმინდესავით ეპყრობოდნენ, პირჯვარს ისახავდნენ...

– თქვენ მუზეუმის თანამშრომელი ბრძანდებით? – მკითხა გვერდით მჯდომმა ერთმა მამაკაცმა.

– არა-მეთქი. დაწვრილებით როცა ავუხსენი, რომ მე პირადად არც კი ვიცნობ მხატვარ თენგიზ მირზაშვილს, რომელმაც ეს ნახატი გამომატანა-მეთქი, კინაღამ გადაირია.

– ეს სურათი რამდენიმე მილიონი დოლარი მაინც ღირს და უცხო კაცს როგორ განდოთო! – ლამის იყვირა მან.

– კი მაგრამ, ეს ჩემია, თქვენია, ნებისმიერი ქართველისაა და ამიტომ, რამდენიც არ უნდა ღირდეს, მის ხელშეუხებლობაზე ყოველმა ქართველმა უნდა იზრუნოს-მეთქი.

შევატყე რომ ვერაფერი შევაგნებინე, დროდადრო ამოოხვრით გადახედავდა ხოლმე სურათს, ალბათ კვლავ იმაზე ფიქრობდა, თუ რამდენად შეიძლებოდა გაყიდულიყო ფიროსმანის ნახატი...

შუადამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა თბილისის აეროპორტში დავეშვით; ნახატი დარბაზში შევიტანე, სადაც ბატონ თენგიზ მირზაშვილის დანაპირების თანახმად ხალხი უნდა დამხვედროდა, რომელთაც სურათს ჩავაბარებდი. მაგრამ დარბაზში არავინ გამოჩენილა – სახელმწიფო გადატრიალება ახალი მომხდარი იყო, ქალაქში კომენდანტის საათი გამოეცხადებინათ და ალბათ ამ მიზეზის გამო დამხვედრები აეროპორტში ვერ მოვიდნენ.

რამდენიმე საათი ველოდე, მგზავრობით ვიყავი დაღლილი, მაგრამ შინ ვერ წავიდოდი, ვიდრე სურათს არავინ მოაკითხავდა. იქვე ვიღაც მძღოლი იდგა, გასაღებს ატრიალებდა თითზე, ეტყობა ისიც ელოდა ვიღაცას. უკვე თენდებოდა. იმ მძღოლს გამოვესაუბრე:

– ნუკრიანიდანა ვარ, რძალსა და ძმისშვილებს ველოდები, – მაგარ კახურ კილოზე მითხრა.

– უნდა დამეხმარო, – ვთხოვე, – ნუკრიანიდან მირზაანამდე შორი არ არის, ფიროსმანის ნახატი გამომატანეს მოსკოვიდან, ხალხი უნდა დამხვედროდა, რათა სურათი მირზაანში წაეღოთ, მაგრამ, ეტყობა ვერ მოვიდნენ. მე იქ გამგზავრებას ალბათ რამდენიმე დღე ვერ მოვახერხებ და მეშინია ამდენ გადატანა-გადმოტანაში სურათი არ დაზიანდეს. იქნებ პატივი დამდო და ეს სურათი მირზაანში, ნიკალას სახლ-მუზეუმში მიიტანო. ფულსაც გადავიხდი!

– აი, ეგ კი აღარ უნდა გეთქვა, – კვლავ მძიმე კახურით მისაყვედურა, – ნიკალა ფიროსმანი ყველას გვეკუთვნის და მისი მირზაანში გადატანა ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი პატივისცემისათვის კი ფული როგორ გამოგართვა...

სურათი გადავეცი და დიდი სულიერი შვება ვიგრძენი. ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ამ ქართულ სიწმინდეს რამე საფრთხე შეექმნებოდა. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა სრულიად საქართველო იყო ჩაბნელებული, შემცივნებული, მშიერი, მწყურვალი, ჩაუცმელ-დაუხურავი, მაგრამ მაინც ღირსეული და ამაყად თავაწეული!

ორი თვის შემდეგ მირზაანში მომიწია ჩასვლა. ფიროსმანის სახლ-მუზეუმში მივედი და უზომოდ გავიხარე, როცა საექსპოზიციო დარბაზში ნიკო ფიროსმანის შედევრი **"ორთაჭალის ტურფა"** ვიხილე. არავისთვის მითქვამს, რომ ეს სურათი მე და იმ ნუკრიანელმა კაცმა, რომლის სახელი და გვარიც კი არ მიკითხავს, მივასვენეთ და წმინდა ადგილზე დავუდეთ ბინა.

დღევანდელი გათვლით, ვიღაც გადამთიელისათვის ეს სურათი სამ მილიონ დოლარზე მეტი ღირს. ქართველი კაცისათვის კი მას ფასი საერთოდ არ გააჩნია.

ასევე არ გააჩნია ფასი ვაჟას ნაქონ და ხელშენახებ ვერცხლის ნივთებს, რომლებსაც ვიღაც არაკაცები კინაღამ თავისი ბინძური ხელებით წაეტანენ.

როცა ქვეყანაში მუზეუმს ძარცვავენ, ისე, როგორც ეს ამას წინათ მოხდა წინანდალში, როცა ეკლესიის სიწმინდეებს იტაცებენ და გადასადნობად იმეტებენ, ეს არ გახლავთ თუნდაც მძიმე დანაშაულის ერთეული შემთხვევა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მთელი ერი დაავადებულია და მას სერიოზული მკურნალობა სჭირდება.

ჩვენ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში დაგვისვა მძიმე დიაგნოზი შესანიშნავმა რუსმა მწერალმა ასტაფიევმა, როცა პირუთვნელად გვითხრა, რომ ქართველი ერი ავად არისო. ჩვენ კი, მკურნალობის ნაცვლად, ხელერთპირად ავიჯაგრეთ და ლამის ჯოხით მივუარდით ასაკოვან ადამიანს – ეს როგორ გვაკადრეო.

მისი რჩევისათვის რომ მოგვესმინა, ალბათ იმ უამრავ უსიამოვნებას ავიცდენდით თავიდან, რომელიც საერთაშორისო არენაზე ულახავს სახელს სრულიად საქართველოს!

გაიხსენეთ, როცა ჩვენი ერთ-ერთი ეკლესიის მძარცველი დააპატიმრეს, არავის მოუკითხავს მისი საგვარეულოსათვის, ასეთი ნაძირალას საქციელისათვის პასუხი თქვენც მოგეთხოვებათო. განა ეს ერის ავადმყოფობა არ არის?

სწორედ ამიტომ შეახეს ბინძური ხელი ვაჟა-ფშაველას მუზეუმს ცხოველებად ქცეულმა ლოთებმა თუ ნარკომანებმა თუ სხვა ჯურის სალახანებმა.

მაგალითი არა აქვთ თუ რა – ჩვენი ხელისუფლების ინიციატივით მაღალჩინოსანმა არაკაცებმა ჯერ დვით აღმაშენებლის ძეგლს შეახეს თავიანთი უწმინდური ხელი, მერე ხელისუფლების ფავორიტმა მწერლებმა თამარ მეფის ბუდუარში შეიხედეს და სიბინძურე შეაწუწეს ჩვენს წმინდან მეფეს, ვიღაც ვაიწერალმა ერეკლე დეისაძემ იმით დააგვირგვინა ყველაფერი რომ თავისი **"საიდუმლო სირობა" მიართვა ქართველ ხალხს**...

მერე კი თავად გვიკვირს – საიდან მოგვიმრავლდნენ საქართველოში გადაგვარებული ადამიანები, რომელთაც სიწმინდეების შებღალვა ხელის აუკანკალებლად შეუძლიათო.

მალე თუ არ მოვეგეთ გონს, ჩვენი განათლების სისტემის გადამკიდეებს ისეთი გადაჯიშებული თაობა შეგვრჩება ხელში, რომელთათვისაც ქართულ სიწმინდეებს არავითარი მორალური, სულიერი თუ რელიგიური ღირებულება აღარ ექნებათ.

ეს კი წმინდან წამებულთა კიდევ ერთხელ მოკვდინების ტოლფასი გახლავთ!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის" აკადემიის
ნამდვილი წევრი

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.

ივანე ჯავახიშვილი
ქართველ ერის ისტორია 9

11
სქართველოსთვის ოვეგაღლეული ენახოლოგი...

დავით ქობალია

რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?
6 კუკური ფიფია

ჰომეროსის კოლხური ოდისეა
8 როლანდ ჯალაღანია,

ქოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე
კლიმენტი შელია 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.

მივიწყებული სახეები (გრიშა დადიანი)

გრიშას შვილებიდან ყველაზე უმცროსი – დავითი (ქუქურია) 1928 წელს ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა. მას ოქსფორდის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, პროფესიით ელექტროინჟინერი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ახლოსაც არ გაიკარა და ამიტომ, იძულებული გახდა, ერთხანს ქუთაისში ბავშვთა სახლის დარაჯად დამდგარიყო... მაგრამ სავსებით გასაგები მიზეზის გამო დიდხანს იქაც არ გააჩერეს. საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე დაბალ თანამდებობებსაც კი არ ანდობდა თავადაზნაურთა წრის წარმომადგენლებს. სასოწარკვეთილი და ცხოვრებაზე გულაყრილი ადამიანი ცოტა ხანში ბერად აღიკვეცა, მაგრამ მუდმივმა დარდმა და მძიმე განცდებმა თავისი საქმე გააკეთეს – ორი წლის შემდეგ დავითმა დედის ხელში დალია სული...

ვინმე, ფრანგი ქალიშვილის ბებასადმი – თავისი ერთადერთი სიყვარულისადმი – მიწერილი გაუგზავნელი ბარათები და რუდუნებით შედგენილი დღიური მისთვის საფლავში ჩაუტანებიათ. ახლობლების ხსოვნას შემორჩა ქუქურიას განუმეორებელი ხმითა და გრძნობით ნამღერი – **"თავო ჩემო"** და **"Гори, гори, моя звезда"...**

ბედისწერას არც კონსტანტინე (ჯუგუ) გაუნებივრებია. ბედნიერი ბავშვობა, სოფელში უზრუნველი ცხოვრება, შემდეგში ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიით და პეტერბურგის პაჟთა კორპუსის მკაცრი ეტიკეტით შეიცვალა. ასე ინება მისმა ბიძამ – უჩა დადიანმა. მრავალრიცხოვან და-ძმებისგან გამორჩეულ, ბედის ნებიერ ჯუგუ დადიანს იმპერიის ამ უაღრესად პრესტიჟულ სასწავლებელში უნდა ესწავლა. მაგრამ მან სრული კურსის დამთავრება არ ისურვა და სამშობლოში დაბრუნდა. შემდეგ აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომის ავსტრიის ფრონტზე, **"ველური დივიზიის"** ოფიცრობა, გაუთავებელი ბრძოლები...

იშვიათი აღნაგობის კონსტანტინე, უბადლო ჩუბინი და მოჯირითე, ქალისა და ლხინის ტრფიალი, ქართული და აფხაზური სიმღერების, რუსული და ბოშური რომანსების განუმეორებელი შემსრულებელი იყო. ქართულ პოეზიაზე უზომოდ შეყვარებულმა **"ვეფხისტყაოსანი"** ზეპირად იცოდა. არაერთხელ შესიტყვებია ლექსებით თანამედროვეთ.

ჯუგუ, დადიანების უძველესი გვარის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ, მაგრამ არანაკლები სულიერი და ფიზიკური მშვენიერებით გამოირჩეოდა მისი მეუღლეც – პაუსია დავითის ასული დგებუაძე.

მამის ბოლო გადასახლებაში ყოფნას მისი ვაჟი, აგული დადიანი იგონებს: **"დედას შესახებ თავშეკავებით მეკითხება. ვგრძნობ მის შინაგან დაძაბულობას. ერთხელ კი თავი ვერ შეიკავა: – მე რომ მცოდნოდა, ასეთი ბედი გვექნებოდა, ასეთი მძიმე დრო დაგვიდგებოდა, მას ცოლად არ შევირთავდი, სიკვდილს ვირჩევდი..."** ჯუგუ დადიანის გაუთავებელი დაპატიმრება-გადასახლება 1943 წელს აქტიუბინსკის ციხეში დასრულდა...

1950-1970-იანი წლების აფხაზეთის ინტელიგენციისათვის კარგად იყო ცნობილი, ერთ ოჯახად მცხოვრები დების – პაუსია დადიანისა და მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფუცუ დგებუაძე-ფულარიას სახელი. ოთარ ჭურღულია მწერალი ქალისადმი მიძღვნილ ნარკვევში წერს: **"ფუცუს მშობლები დავით და ქრისტინე დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ. ჰქონდათ მდიდარი ბიბლიოთეკა და შვილებსაც უნერგავდნენ წიგნისა და მამულის სიყვარულს. ქრისტინე თანამშრომლობდა პერიოდულ პრესასთან და წერდა საინტერესო ლექსებს.**

ქრისტინე, ამავე დროს, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას... პოეტი ქალი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო ცნობილ მწერლებთან და მოღვაწეებთან: აკაკი წერეთელთან, გიორგი შარვაშიძესთან, დავით კლდიაშვილთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან... სწორედ ამ წრეში იზრდებოდა პატარა ფუცუ... ყალიბდებოდა მისი შეხედულებები, მსოფლმხედველობა, კულტურა..."

დების, პაუსია დადიანისა და ფუცუ დგებუაძე-ფულარიას სახლი სოხუმში აფხაზი და ქართველი ინტელიგენციის დამაკავშირებელი დიდი კერა იყო. ქალბატონ ფუცუს ისტორიული რომანის **"ოქროს ბეჭედის"** შექმნაში დიდი წვლილი მიუძღოდა ქალბატონ პაუსიასაც. **"ამ სქელტანიანი რომანით მწერალმა მკითხველ საზოგადოებას გადაუშალა ჩვენი ისტორიისათვის ჯერ კიდევ შეუცნობი უბანი საქართველოს წარსულისა. ეს არის XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს ცხოვრება... აქ ერთმანეთს ერწყმის ძველი და ახალი, მომავალი და წარმავალი... ნაწარმოები მით უფრო საინტერესოა, რომ ავტორი თვით იყო ბევრი აღწერილი ამბის მომსწრე და მონაწილე, პირადად იცნობდა ნაწარმოების პერსონაჟების მრავალ პროტოტიპს... დები ერთად უმკლავდებოდნენ შიშის ეპოქას, აფხაზსა და ქართველ ახალგაზრდობას დაუზარელად უყვებოდნენ წინაპართა საგმირო საქმეებზე, მუდამ მზად იყვნენ რჩევა-დარიგებისათვის და, რაც უმთავრესი იყო, აფხაზისა და ქართველის ძმობისა და მეგობრობის, მუდამ მხარში დგომისა და სიყვარულის მოწადინეებად აღესრულნენ...**

ქალბატონ პაუსიას, თავისი არც თუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, უამრავი წინააღმდეგობა შეხვედრია. საოცარი თხრობა იცოდა – ზუსტი, მახვილი და მართალი, ღვარძლის გარეშე.

სიძველეთა სიყვარული მან ჩამინერგა. მან მაჩუქა პოეტ გიორგი შარვაშიძის მიერ ოდესღაც მისადმი მიძღვნილი ავტოგრაფიანი ფოტო. მის მიერ სხვადასხვა დროს გადმოცემული ძველი სურათები საფუძვლად დაედო ჩემს ფოტოკოლექციას. პაუ-დედასაგან (ასე მიმართავდნენ მას) გავიგონე პირველად გიორგი და მერი შერვაშიძეების, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სანდრო ახმეტელის სახელები... ვის ამბავს არ გაიგებდით მისგან, ვისთან არ იყო შენახვედრი. მის თვალწინ ჩაიარა XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის უმძიმესმა ცხოვრებამ. საათობით შეეძლო ახმეტელის დასის სპექტაკლებზე, შემდგომ მათ ტრაგედიაზე საუბარი. ჟრუანტელის მომგვრელი იყო ლავრენტი ბერიასთან მისი შეკამათების ამბის მოსმენა:

"რა მექნა, შვილო, სანათესაოში ყველა კაცი დაჭერილი იყო. ერთადერთი გადარჩენილი ძმის ჩეკას კლანჭებში ჩაგდებამ აზრი დამიკარგა, მგონი ღირსეული სიტყვიერი დუელი გვქონდა. გამიმართლა და გადავრჩი".

მისი თაობის კულტურული ცხოვრების არც ერთი მოვლენა არ დარჩენილა, რომ პაუსია დადიანი წერილობით ან ტელეგრამით არ გამოხმაურებოდა.

ემიგრაციაში მყოფმა ნინომ, მარიამმა და ლევანმა ვერასოდეს იხილეს მამულის მიწა. აუსრულებელ ოცნებად დარჩა ათი დედ-მამიშვილიდან ეულად დარჩენილ ლევან (ჯონჯი) დადიანისათვის სამშობლოს ხილვა. მას არ ჩამოესვლებოდა საბჭოთა საქართველოში, მაგრამ ის უკანასკნელი სიხარული მაინც გაჰქვა, რომ სიცოცხლეს მკვიდრად აგრძელებდა მისი საგვარეულო და უახლესი შთამომავლობა.

სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ის ჯერ ევროპაში ცხოვრობდა. შემდეგ ამერიკაში დაემკვიდრა. სამჯერ შექმნა ოჯახი, მაგრამ შვილი არ გასჩენია. სიცოცხლის ბოლოს კეთილდღეობა არ აკლდა, ნოსტალგიის უკურნებელი სენით დაავადებულს, 63 წლის ასაკში გულმა უმტყუნა. მისი ყველა წერილი სამშობლოსა და ნათესავების მონატრებითაა აღსავსე. ამ ბარათების თვალის გადავლებაც საკმარისია, ემიგრანტის მწარე სვე რომ შეიგრძნო. უფროსი რძლისადმი – ელისაბედ (მემე) ჯაიანისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს კიდეც:

"ჩემო ძვირფასო მემე! მოგეხვევი და დაგიკოცნი ძვირფას ხელებს, ისეთი გახარებული და დაბნეული ვარ, ვერ აღგიწერ, ისე იმოქმედა ჩემზე ყველა თქვენი ამბავის გაგებამ, ყველა კარგი, ნასწავლი, სამშობლოსათვის გამოსადეგი თქვენი შვილები და შვილისშვილები ჩემი უკანასკნელი სიხარულია". მეორეგან კი ძლივს იკავებს ცრემლს: **"ღმერთო ჩემო, ეს რა სასჯელია ასეთი, რომ თქვენს უნახავად მოვრჩე წუთისოფელს აქ, სადღაც, როცა ერთი დღით თქვენი ნახვა საუკუნედ ღირს"**-ო.

ერთ-ერთ წერილში ჯონჯი დადიანი სიყრმის მეგობარს, მაშინ 80 წელს მიღწეულ, გვანჯი ჩიქოვანს ახსენებს. კოლორიტული პიროვნება იყო გვანჯი ჩიქოვანი. ამ ოცდაათიოდე წლის წინ, ზუგდიდის ქუჩებში, სამეგრელოს ნებისმიერ ადგილას, სადაც კი საზოგადოებრივი საქმე განიხილებოდა, უეჭველად შეხვდებოდით გოლიათური აღნაგობის, თვალტანად, მუდამ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ, დინჯად მოსაუბრე სანდომიან მოხუცს.

გვანჯი ჩიქოვანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უფროსი თაობის აფხაზურ საზოგადოებაშიც. მის ნებისმიერ სიტყვას თანაბარი პატივით ისმენდნენ როგორც ქართველები, ასევე აფხაზები. ასე ამბობდნენ, აფხაზებს გვანჯი თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენო.

იმ წერილში ჯონჯი დადიანი გვანჯის ცხოვრებიდან ერთ შემთხვევას იხსენებს. მეოცე საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთსა და სამეგრელოში განთქმულ ყაჩაღად ითვლებოდა სამურზაყანოელი თავადი – გიდი თადას ძე ემუხვარი. მისი გაყაჩაღება ასე მომხდარა: ვინმე მარღანიამ მის ძიძიშვილებს უსამართლოდ ცხენის ქურდობა დააბრალა და დააჭერინა. ამის გამგონე გიდი, კაზაკ-რუსებს მიუვარდა და შეეცადა ძიძიშვილები გაენთავისუფლებინა. შეიარაღებული შეტაკებისას მას ერთ-ერთი კაზაკი შემოაკვდა. პოლიცია კარგა ხანს დევნიდა, მაგრამ მოხერხებული და უშიშარი ვაჟკაცი ყოველთვის უსხლტებოდათ ხელიდან. ბოლოს, თავადს მობეზრდა ტყეში ცხოვრება და მთავრობას ჩაბარდა. მას თორმეტი წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. შვიდი თვის შემდეგ, დედის გარდაცვალების გამო, ემუხვარი გაიქცა და აფხაზეთში დაბრუნდა. გაგრძელდა მისი დევნა.

ერთ დღეს, ავადმყოფ ემუხვარს ძიძიშვილის, კოწია დადიანის სასახლისათვის შეუფარებია თავი. თავადი კოწია ოჯახთან ერთად იმხანობას თავის დასთან – მაია დადიანთან ყოფილა სტუმრად. სასახლე გიდის დისშვილის, ახალგაზრდა გვანჯი ჩიქოვანისათვის ყოფილა ჩაბარებული. გვანჯიმ ბიძამისი, სასახლიდან მოშორებით, ტყეში გადამალა. პოლიციამ როგორღაც გაიგო ეს ამბავი და იმ არე-მარეს ალყა შემოარტყა. ემუხვარმა ორი პოლიციელი მოკლა, მაგრამ თვითონაც მძიმედ დაჭრილმა ალყა ვერ გაარღვია და დაიღუპა. ხელისუფლებამ მომხდარის გამო, ხანდაზმული კოწია დადიანი, მისი უფროსი ვაჟი მუშნი და გვანჯი ჩიქოვანი დააპატიმრა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)რამაზ კუპრას ხსოვნას ეძღვნება "ოდაბადე, ოდაბადე!.."

მურად-ბეი მარშანია

კონსტანტინე დადეშქელიანი და დატალი ანჩაბაძე-დადეშქელიანისა

ოთარ კონსტანტინეს ძე დადიანი აფხაზ მეგობრებთან ერთად



ალექსანდრე (შირინ-ბეი) კონსტანტინეს ძე შარვაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

(გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს კლიმენტი შელია წიგნიდან)

"იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე"

ლევან სანიკიძე

ფორმაციულ საზოგადოებაში ნამდვილი დემოკრატიული წყობილება არ არსებობდა და არც არსებობს. რომის დემოპრატია (პლებეები და პატრიციები) მხოლოდ საზოგადოების ერთი ნაწილისათვის იყო დემოკრატიული, საბერძნეთში არისტოკრატები და დემოკრატები ერთმანეთს ცვლიდნენ, მაგრამ **"ნორმალური დემოკრატია"** არ ერთს არ ჰქონია (გავიხსენოთ ათენი, სპარტა).

დღევანდელი დასავლური დემოკრატია, რომელიც კაცობრიობის ეტალონადაა აღიარებული, არ არის ნამდვილი დემოკრატია – ის დიდი ფულის დემოკრატიაა. ამერიკაში რესპუბლიკელები უფრო კონსერვატორები არიან, დემოკრატები ოდნავ ლიბერალები. ფაქტობრივად, ორივე პარტია თავისი საქმიანობით ერთი პარტიაა ორი ფრაქციით, განსხვავება ტაქტიკაშია. ამერიკელ ამომრჩეველს სხვა პარტიებისათვის ხმის მიცემა არ შეუძლია, ეს სრული უაზრობაა, ამიტომ უკეთესსა და უარესს შორის **"უკეთესს"** არჩევენ, თავისი ხმით უნდათ ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა. (930 წელს (23 ივნისი) დაარსდა მსოფლიოში უძველესი პარლამენტი – ისლანდიის ალტინგი. საუკუნეების შემდეგ ამერიკის **"ახალი"** დემოკრატია-კონგრესი და სენატი ყველაფერს აკეთებენ, რომ **აშშ**-მა მსოფლიო ბატონობას მიაღწიოს). ასეა დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც.

არ შეიძლება იმის დაჯერება, რომ კაცობრიობა აღფრთოვანებულია კაპიტალისტური დემოკრატიით. ამის მაგალითია ისიც, რომ დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში არჩევნებზე გაიმარჯვეს მარქსისტულმა და მარქსისტებთან დაახლოებულმა პარტიებმა, სხვა ძალებმა, მაგრამ მსოფლიო კაპიტალიზმმა ამ ქვეყნებში გადატრიალება მოახდინა, ხოლო ზოგ ქვეყანაში დემოკრატია სისხლში ჩაახშეს. ასე იყო პარიზის კომუნიდან ჩილემდე – ორივეგან რევოლუციას სისხლიანი გაკვეთილი უჩვენეს. რას ერჩოდნენ ამერიკელი ოლიგარქები გვატემალას ხელისუფლებას, არბენსის მთავრობას, რომელიც სრულიად დემოკრატიული გზით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ძმებ დალესებს იქ უდიდესი ბანანის პლანტაციები ჰქონდათ. ალენ დალესი დაუმალავად აცხადებდა – გვატემალას ხელისუფლება უნდა დაემხოსო და დაამხეს კიდეც; რა უნდოდათ ირანში, გრენადაში, ვიეტნამში, სადაც ტყეებსაც კი წამლავდნენ; რა უნდოდათ ჩრდილოეთ კორეაში, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშას აფრიალებდნენ; რა უნდოდათ ერაყში, მაგრამ იქ ნავთობია! – თურმე ატომურ იარაღს არ ამზადებდნენ – ამ ალმით შეიჭრნენ ერაყში დასავლეთის ქვეყნები; რატომ ასამართლებს **აშშ** ერაყის პრეზიდენტს სადამ ჰუსეინს და ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიდერებს?! რატომ ჩემულობს **აშშ** მსოფლიოს მოსამართლეობას? **აშშ** უეროვნებო ქვეყანაა. ასევე თავგამოდებით ცდილობენ ეროვნული ნიშნები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები სამუდამოდ დაუკარგონ სხვა ქვეყნებსაც. დასავლეთის ქვეყნებს, განსაკუთრებით **აშშ**-ს კარგი, დიდი მეგობრული ურთიერთობა აქვს საუდის არაბეთის (იქ დიდი ნავთობის მარაგებია განთავსებული) ზღვარსგადასულ, დრომოჭმულ აბსოლუტიზმთან, მეფის ხელისუფლებასთან.

ამერიკელები ახლადგამარჯვებულ ანტიდასავლურ რეჟიმებს მაშინვე დაესხმიან და პირველივე დღიდან აბსოლუტურ ლიბერალიზაციას მოითხოვენ, მაშინვე ქვეყანას არევენ და სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობენ (მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიწევს. განა ასე არ მოექცნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას, რომელიც თავისუფალ არჩევნებში გამარჯვების წყალობით მოვიდა საქართველოს სათავეში? – **"ილორი"**). თუ ახალგაზრდა ხელისუფლება ეცდება დისციპლინის განმტკიცებას დემოკრატიის ერთგვარად შეზღუდვის ხარჯზე, ამ ხელისუფლებას ტირანულად გამოაცხადებენ და ოთხივე მხრიდან შეესევიან (გვატემალამ, ჩილემ ოლიგარქების სიმდიდრის ნაციონალიზაცია მოახდინეს, დასავლურმა **"დემოკრატიამ"** გამარჯვებული ხელისუფლება სისხლში ჩაახშო). უკვირთ, **"რატომ არ არის სრული და უმაღლესი დემოკრატია კუბაში"**? იქ რომ ლიბერალიზაცია დაუშვან, მათაც ორ კვირაში გვატემალას ან ჩილეს ხელისუფლების გზას გაუყენებენ. ამრიგად, მესამე სამყაროს ქვეყნებში ოლიგარქები რაც უნდათ, იმას სჩადიან, ბაზარი ლიბერალურია – დასავლეთის ქვეყნების ოლიგარქებს ფული ბევრი აქვთ, საინფორმაციო საშუალებები – უძლიერესი სატელევიზიო არხები, გაზეთები, გამომცემლობები – მილიარდერების ხელშია და დემოკრატიის ეფექტურ ილუზიას ქმნიან. არ შეიძლება ამ ქვეყნებმა არ **"გამოიღვიძონ"**, დროთა ვითარებაში, არ შეიძლება, ამ ქვეყნებში არ მოხდეს საყოველთაო გამოსვლები, ჯანყი ამორალური დასავლეთის წინააღმდეგ. ოლიგარქები მადას ვერ შეიზღუდავენ, შემოსავალს ვერ დაიკლებენ. არსებობს ასეთი გზები: ან ოლიგარქების, როგორც კლასის ლიკვიდაცია, ან აჯანყება, ომი და სისხლისღვრა.

ცნობილია, რომ რუსეთმა უამრავი სხვისი მიწა-წყალი შემოიერთა, ერთ რუსულ სახელმწიფოდ გააერთიანა. ის ამჟამად მსოფლიოსათვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ქვეყანაა. დასავლეთში ინგლისი უძველესი კოლონიური ქვეყანა იყო, მაგრამ ინდოეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, მას ბრიტანეთის ნაწილად არასოდეს აღუქვამს. დღეს ამერიკული დოლარი მსოფლიოს საშიშროებას უქმნის. ასევე საშიშია სავალუტო ფონდები, ევროპული და მსოფლიო ბანკები, რომლებიც იჭრებიან სუსტ ქვეყნებში და ვითომ დახმარებას უწევენ ამ ქვეყნებს. კაპიტალისტი ერთ დოლარს არ ჩადებს, თუ იქიდან ერთნახევარი-ორი დოლარი არ ამოიღო.

ისევე როგორც ფაშიზმი, რუსული კომუნიზმიც მისი საშინელი სადამსჯელო სტრუქტურით, კაცობრიობისათვის მიუღებელი იყო, მაგრამ რუსულ სოციალიზმს ბევრი კარგიც ჰქონდა, რომლის გადმოღებაც შეიძლებოდა.

მაგრამ ერთი ცხადია: **"ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრება კაპიტალიზმის სისტემაში წარმოუდგენელია. შეუძლებელია პოლიტიკური თანასწორობის მიღწევა იქ, სადაც ადამიანებს შორის უფსკრულია – ერთორ პროცენტს მილიონები და მილიარდები აქვს, დიდ უმრავლესობას კი საარსებო მინიმუმი, ან სრულიად არაფერი. როგორ შეიძლება თანასწორობაზე ლაპარაკი, სადაც ხალხის ათი პროცენტი ფუფუნებაშია, ოხმოცდაათი პროცენტი – ნაგავში! რევოლუციები, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ყოველთვის იმიტომ ხდებოდა, რომ მჩაგვრელები ცოცხალი თავით არ თმობდნენ თავიანთ ქონებას. მაგრამ დღეს დასავლეთი მხოლოდ ბოლშევიკებს ლანძღავს რევოლუციისათვის. თვითონ დასავლეთის სამყაროც რომ რევოლუციებმა და სისხლის ოკეანეებმა წარმოშვეს, ეს აღარ ახსოვთ! დასავლეთში მოქმედებს ფორმულა ოთხი შეფარდებული ექვსთან, ან სამი შეფარდებული შვიდთან; ინფორმაციის მეოთხედი ან მესამედი – სიმართლე, დანარჩენი – ტყუილი და ჭეშმარიტების სრული ილუზია გარანტირებულია"** (თ. მირიანაშვილი).

ნუთუ კაცობრიობაც სცდება, შეცდომებს უშვებს? ალბათ, სცდება, რადგან კაცობრიობა ადამიანებისაგან შედგება. როგორ ეგუება კაცობრიობა კაპიტალიზმს, ოლიგარქებს – რად სჭირდება ერთ ადამიანს ათეული მილიარდები, მილიონები. განა არ შეიძლება იცხოვრონ საშუალო შემოსავლებით, შექმნან წვრილი თუ არა – საშუალო საწარმოები და ეს ასეული მილიარდები ხალხის კეთილდღეობას მოახმარონ. ასეთი გულუბრყვილო არა ვარ, რომ დავიჯერო: მილიარდერები ოდესმე მილიარდებს, თავის ქონებას ხალხს გაუნაწილებენ, პირიქით, მათ კიდევ მეტის მოხვეჭა უნდათ! ოლიგარქები საზოგადოებამ უნდა აიძულოს დათმონ თავისი მილიარდები. კაცობრიობა ოდესმე მივა ამ დასკვნამდე? ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ადამიანთა ნაწილი შიმშილობს, უსახლკაროა. აფრიკის ბევრ ქვეყანაში, აზიაშიც არა მარტო ბავშვები, არამედ მოზრდილებიც შიმშილით იხოცებიან. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კვების პროდუქტები ყველას რომ გაუნაწილო, არ ეყოფა. იმასაც ამტკიცებენ, რომ მალთუსის თეორია ძირითადად სწორია. დარვინის შვილისშვილი დალტონ დარვინი ამტკიცებდა, რომ ჩვენი პლანეტისათვის ატომურ იარაღზე უფრო საშიშია მოსახლეობის სიჭარბე.

მონათმფლობელური წყობილება მოსახლეობის უმრავლესობისათვის განვითარების უმძიმესი საფეხური იყო – მონა **"თავისუფლად"** იყიდებოდა და იცვლებოდა, მონათმფლობელი და ე.წ. თავისუფალი ადამიანები გლადიატორთა ბრძოლებით ერთობოდნენ, მაგრამ მონა არ შიმშილობდა, მონათმფლობელი მას საცხოვრებელს (კარგს თუ ცუდს) და საჭმელს აუცილებლად აძლევდა – მონას უნდა ემუშავა. ასევე იყო ბატონყმურ, ფეოდალურ წყობილებაშიც. ყმა გლეხები, სხვა გლეხები იყიდებოდა ცალ-ცალკე და სოფლებით (გავიხსენოთ გოგოლის **"მკვდარი სულები"**), მაგრამ მებატონე იძულებული იყო ყმებისა და სხვა გლეხებისათვის საარსებო პირობები შეექმნა. კაპიტალიზმის პირობებში ასეთი გარანტია არ არსებობს. საქართველოში სამხედრო გადატრიალების შემდეგ 1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში რომ ჩამოვიდა, მალევე განაცხადა: იქნებიან მდიდრები და ღარიბები; ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს, აუცილებლად იქნებიან დარიბები, ღატაკები – ეს საქართველოს ხელისუფლების ბრალი არ არის. ეს კაპიტალიზმის თანამდევია, კაპიტალიზმის ბუნებაა.

ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა ფინანსების, გართობის, საინფორმაციო საშუალებების, ტექნოლოგიების და მოდების სამყაროს ყველაზე მდიდარი პიროვნებების სია. სწორედ ეს მილიარდერები არიან ჩვენი სამყაროს უბედურების მიზეზი.

აღნიშნულ ასეულს სათავეში უდგას რუპერტ მერდოკი, მეექვსე ადგილზეა **აშშ**-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი; მეცხრე ადგილზეა ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი, რომლის პოპულარობა იმდენად მაღალია, რომ მას 2008 წლის არჩევნებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ. კომპანია **"მაიკროსოფთის"** პრეზიდენტი ბილ გეიტსი გაჭირვებით მოხვდა მილიარდერთა პირველ ათეულში; **აშშ**-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი, რომელიც თავის იწონებს გლობალური დათბობის პრობლემებზე მუშაობით, 33 ადგილიდან მე-19 ადგილზე გადავიდა; რუსი ფინანსისტი და ნავთობის მაგნატი, ჩუკოტკის გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი 50-ე ადგილიდან 30-ე ადგილზე აღმოჩნდა. მას ერთი ნაბიჯით გაუსწრო ყოფილმა მსახიობმა, კალიფორნიის ამჟამინდელმა (2007 წ.) გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა. სამწუხაროდ ასეთია საზოგადოების დიდი ნაწილის **"ფილოსოფია"** – საზოგადოების მეთაურად, საკუთარ გამგებლად, თავიანთ მძარცველებს – მაგნატებს, მილიარდ-მილიონერებს, მდიდრებს ნიშნავენ, ზოგჯერ არჩევნების გზითაც **"ინიშნავენ"** თავიანთ მმართველებად. ეს ადამიანები ჰაერიდან ხომ არ იღებენ მილიარდებს და მილიონებს, ყველა ეს ხალხის ჯიბიდან ამოღებული თანხებია. ყველა არ შეიძლება იყოს მაგნატი მილიარდერი ან მილიონერი, ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი რატომ უნდა იყოს გაუსაძლის მდგომარეობაში, რა დაუშავებიათ? ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ: მაგნატების მიერ მოხვეჭილი სიმდიდრე დაახლოებით თანაბრად მთელ საზოგადოებას გაუნაწილოთ, რა მდგომარეობა შეიქმნება მსოფლიოში. მაგრამ **"კეთილდღეობის"** კაპიტალიზმი არ შეიძლება არსებობდეს, მთავარია, ვინ ვის აჯობებს. ყველასთვის ცნობილია პოპულარული გამოთქმა: **"ადამიანი ადამიანისთვის მგელია"**.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო წყობილება საქებარი არ იყო – არსებობდა, როგორც აცხადებდნენ, არა პროლეტარიატის, არამედ პარტიის სულშემხუთველი დიქტატურა, მაგრამ მოსახლეობის სოციალური დაცვა კარგ დონეზე იყო: ყველა ადამიანი, რიგის მიხედვით უფასო ბინებს იღებდა, მაღალ დონეზე იდგა სწავლა-განათლების საქმე. ამ მხრივ მას ვერავინ შეედრებოდა, მათ შორის არც **აშშ**; საბჭოთა მეცნიერებმა პირველებმა გაუშვეს ხელოვნური თანამგზავრი და კოსმოსში პირველებმა გაიყვანეს ადამიანი. ვისაც უნარი ჰქონდა, ყველა უფასოდ სწავლობდა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, არ იყო უმუშევრობა, უფასო იყო სამედიცინო მომსახურეობა, დაბალი იყო წამლის, გაზის, ელექტრობის, ბინის გადასახადი (კომუნალური მომსახურეობა), მოსახლეობის არცერთი ფენა არ იყო შეჭირვებული. კაპიტალიზმის პირობებში კი ეს დადებითი ასპექტები სარკესავით ჩანს, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

რუსული სოციალიზმი უვარგისი იყო, მაგრამ კაცობრიობის მომავალი აუცილებლად იქნება სოციალიზმი, ნამდვილი სოციალიზმი.

* * *

იოსებ სტალინს დიდი დამსახურება მიუძღვის რუსეთისა და მსოფლიოს წინაშე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მისმა სამხედრო სტრატეგიამ იხსნა რუსეთი და მთელი მსოფლიო ფაშიზმისაგან. უზარმაზარი, ჩამორჩენილი ქვეყანა მსოფლიო განვითარების შარა-გზაზე გამოიყვანა. ასევე, რუსეთის წინაშე დიდი დამსახურება აქვს ლავრენტი ბერიას. სამაგიეროდ, რუსეთი (ნიკიტა ხრუშჩოვი, ლეონიდ ბრეჟნევი და სხვა ანტისტალინისტები – **"ილორი"**) მათ ვერაგულად გაუსწორდა, რადგან ისინი რუსები არ იყვნენ.

რუსეთის წინაშე ლავრენტი ბერიას დამსახურების მხოლოდ ორი მაგალითი: 1941 წლის ოქტომბერში, როდესაც გერმანელები მოსკოვის მისადგომებთან იყვნენ, მოსკოვის ფრონტზე შემოაგზავნეს – გადმოსხეს ათასზე მეტი დივერსანტი, რომლებმაც კარგად იცოდნენ რუსული ენა, ჰქონდათ შინსახკომელების საბუთები, ეცვათ შესაფერისი ფორმის ტანსაცმელი. დიდი ცდების მიუხედავად, მათ კვალს ვერ აგნებდნენ. ლ. ბერია გამოიძახეს ტულის ფრონტიდან და მიიღო სტალინის მტკიცე დავალება მოსკოვის ფრონტის გერმანელი დივერსანტებისაგან გაწმენდის შესახებ. ლავრენტი ბერიამ მოითხოვა: პირველი – წარმოედგინათ მოსკოვის ფრონტზე მყოფი შინსახკომელების სია, რაც სწრაფად გაკეთდა; მეორე – ყველა ფორმით, ყველა საშუალებით ეცნობებინათ ფრონტზე მომუშავე თითოეული შინსახკომელისათვის, გაეხადათ შინსახკომის მუშაკის ფორმა და გადაეცვათ სამოქალაქო ტანისამოსი; მესამე – დაეკავებინათ და ადგილზე გაენადგურებინათ ყველა, ვისაც შინსახკომელის ფორმა ეცმეოდა. სახელმწიფო საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე იოსებ სტალინი მივიდა ლავრენტი ბერიასთან, მარჯვენა ხელი მხარზე დაადო და თქვა: დღეს ეს მეორე ბისმარკიაო. ამით ლავრენტი ბერიას ახალი მოშურნეები უთუოდ მოუმრავლდებოდა: ეს რა უბრალო საქმე ყოფილა და ჩვენ როგორ ვერ მივხვდითო.

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ზახაროვის გაფრენამ, მის მიერ მოპოვებული ინფორმაციების მესაზღვრეებისადმი გადაცემამ, რომელიც ოპერატიულად მიეწოდა ჯერ ბერიას და შემდეგ კი ასევე ოპერატიულად აღმოჩნდა სტალინის მაგიდაზე, ყველაფერს დაუსვა უკანასკნელი წერტილი.

ახლა მხოლოდ ის იყო საჭირო, რომ სათანადო მითითება მიეცა ტიმოშენკოსათვის, ჟუკოვისათვის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარ კუზნეცოვისათვის, რათა მათ ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე მზადყოფნაში ჰყოლოდათ საზღვრისპირად განლაგებული სამხედრო ნაწილები და ფლოტი და დალოდებოდნენ მოვლენათა განვითარებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ დაძაბულობა მატულობდა, 21 ივნისს სტალინმა მეორე დირექტივა გამოსცა.

ესე იგი, როგორც ადრე ამტკიცებდნენ იური მუხინი და არსენ მარტიროსიანი, პირველი დირექტივა მტრის თავდასხმისათვის მზადების თაობაზე, სტალინმა გამოსცა 18 ივნისს, მუხინის სადაზვერვო გაფრენის დასრულებისთანავე.

სხვა მტკიცებულება ამ ფაქტის თაობაზე მე არ გამაჩნია, გარდა იმისა, რომ 14 ივნისს საკავშირო დეპეშათა სააგენტომ გააკეთა შესაბამისი განცხადება, 18 ივნისს კი ზახაროვმა განახორციელა სადაზვერვო ფრენა. მე თითქმის ორი წელიწადი დამჭირდა ამ დოკუმენტის მოსაპოვებლად და მის გასაანალიზებლად. ახლა, თავად მკითხველმა გამოიტანოს დასკვნა, თუ რაოდენ სარწმუნოა ჩემი ვარაუდი.

მე ვფიქრობ, რომ ზუსტად ავსახე ის, თუ რა ხდებოდა მაშინ საბჭოთა კავშირში. რამდენად მოდიოდა იმ დღეების ფსიქოლოგიური დატვირთვა სტალინზე და ბერიაზე. სხვა ბევრი ვინმეებისაგან განსხვავებით, სწორედ ამ ორმა ადამიანმა გამოავლინა იმ მძიმე დღეებში არნახული სტოიციზმი და კომპეტენტურობა.

ამასთან, მაშინ ბერია ორჯერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე: უპირველესად, როგორც ურთულესი სასაზღვრო დაზვერვის ქსელის შემოქმედმა, რამაც უზრუნველყო მნიშვნელოვანი სტრატეგიული მონაცემების შეგროვება, მეორედ კი მაშინ, როცა ოპერატიულად მიაწოდა სტალინს ზახაროვის მიერ მოპოვებული მონაცემები.

არის სხვა ფაქტებიც, რომლებიც ბერიას ნიჭზე მეტყველებენ.

მაგალითად, ადმირალი კუზნეცოვი თავის მემუარულ ნაწარმოებში **"წინადღეს"**, წერს:

"საკავშირო დეპეშათა სააგენტოს 14 ივნისის განცხადება განსაკუთრებით ალოგიკურია ახლა, როცა ჩვენ ვიცით, თუ როგორი რეაგირება მოახდინა მასზე ჰიტლერმა. 17 ივნისს, ე.ი. ამ განცხადების გამოქვეყნებიდან სამ დღეში მან გასცა "ბარბაროსას" გეგმის ამოქმედების ბრძანება 22 ივნისს. სწორედ ამ დღეებში, კერძოდ კი 17 ივნისს შეინიშნებოდა გერმანიის ფლოტის გააქტიურება, რაც მათი ჩანაწერებითაც დასტურდება..."

მაგრამ სწორედ აქაა ყველაფერი ლიგიკური! საკავშირო დეპეშათა სააგენტო რომ ზონდაჟი ყოფილიყო (და იგი ასეც იყო), 17 ივნისს კი სტალინს ჩაეტარებინა მეორე ზონდაჟი, როცა ჰიტლერს მოლოტოვის ბერლინში ჩასვლა შესთავაზა, ფიურერს, თავისი უარის შემდეგ, მაშინვე (17 ივნისს) უნდა გაეცა **"ბარბაროსას"** გეგმის ამოქმედების ბრძანება. არც იგი გახლდათ ბრიყვი. რეიხის ჯარები მზად იყვნენ. შეიძლება ფიურერი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ როცა ნახა, რომ მას სტალინი სხვა გამოსავალს არ უტოვებდა, რადგან მისი უარის შემდეგ მზადყოფნაში მოიყვანდა თავის ძალებს, ფიურერი მიხვდა, რომ მოულოდნელობის ფაქტორი დარტყმის ქვეშ დგებოდა.

და ჰიტლერმა საბოლოო ბრძანება გასცა.

არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩემს ვარაუდს. პაულიუსის მე-6 არმიის 376-ე ქვეითთა დივიზიის 767-ე გრენადერთა პოლკის ყოფილი მეთაური ლუიტპოლდ შტეიდლი ზუსტად გადმოგვცემს თავის მოგონებებში იმდროინდელ მოვლენებს. ომის წინა დღეებში შტეიდლი პოლკის ბატალიონს მეთაურობდა, რომელიც ბელოსტოკის შვერილზე იდგა. აი, რას იტყობინებოდა იგი:

"18 ივნისს განკარგულება მივიღეთ რომ წინასაწარ მითითებულ ადგილებში 24 საათის განმავლობაში მოგვეხდინა 600 ცხენისა და ფორნების რეკვიზიცია. აქცია ელვისებურად ჩატარდა ვითომ საპოლიციო-ვეტერინალური ეგიდით... ახლა ყოველ ასეულს თავისი გამწვევი საშუალებები გაგვაჩნდა. ჩვენ წინაშე იდგა ამოცანა, რომ მაქსიმალურად მობილურები ვყოფილიყავით და არ გაგვძნელებოდა გადაადგილება სოფლის მეორეხარისხოვან გზებზე და უგზოობის პირობებშიც კი.

მაგრამ მაინც არავის სჯეროდა, რომ მდგომარეობა სერიოზული იყო. წარსულში არაერთხელ ხდებოდა ისე, რომ ჰიტლერი ხშირად აწყობდა საომარი ძალების დემონსტრირებას (სწორედ ამიტომ არ ეჯერა სტალინსაც ზონდაჟამდე, რომ ჰიტლერი ომს დაიწყებდა — ს.კ.)... დივიზიის შტაბში არაფერი იცოდნენ იმის თაობაზე, თუ რა განაზრახი ჰქონდა ვერმახტის მთავარსარდლობას..."

როგორც ხედავთ, აქაც სწორედ 17-18-ში მოსალოდნელი ომის თაობაზეა საუბარი. ვფიქრობ, რომ ეს არ გახლავთ შემთხვევითობა.

უკანასკნელი, რაც ამ მოვლენასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, არის ის, რომ სტალინი ერთგული ხალხისაგან უზრუნველყოფილი იყო ამომწურავი ინფორმაციით, თუმცა იყვნენ მის გარემოცვაში ღალატში გაწაფული ადამიანებიც, რომელთაც მოგვიანებით **"გამოიჩინეს"** თავი. სწორედ ისინი ამტკიცებდნენ სტალინის სიკვდილის შემდეგ, რომ ბელადს გამოეპარა გერმანელებისაგან მოსალოდნელი ომი და მოუმზადებელი შეხვდა მას.

ჩვენ უკვე გავაცამტვერეთ ეს მოსაზრება. ახლა კი მინდა გაგაცნოთ ის ხალხი, რომლებიც საკუთარი ზნეობის დეფიციტის მიზეზით, ან **"დემოკრატი"** პოლიტკორექტორების დაწოლის გამო, ან საკუთარი უმეცრებითა თუ საქმეში ჩაუხედაობით ღალატობენ საკუთარ უმაღლეს მთავარსარდალ იოსებ სტალინს და მის ერთგულ თანამებრძოლს ლავრენტი ბერიას.

დავიწყოთ იმით რომ, ქალბატონ ვოზნესენსკაიას წიგნის გარეკანის მეორე გვერდზე გამოსახულია მისი ავტორი სამხედრო ფორმითა და კრაველის ფაფახით, ფოტოს ქვეშ კი მოთავსებულია შემდეგი შინაარსის ტექსტი:

"ჩვენს სპეციალიზირებულ ჯგუფს დავალებული ჰქონდა საზღვარგარეთის მთელი რეზიდენტურის მიერ მოწოდებული იმ ინფორმაციის გაანალიზება, რომელიც ეხებოდა ჰიტლერის სამხედრო მეთაურთა საომარ გეგმებს, რის საფუძველზეც უნდა მოგვემზადებინა მოხსენებითი ბარათი. საამისოდ ჩვენ ვეყრდნობოდით შედარებით საიმედო წყაროთა მიერ მოწოდებულ ცნობებს, ვამოწმებდით ჰიტლერის მიერ საბჭოთა თავდასხმის თაობაზე ინფორმაციის გადმომცემ თითოეულ აგენტს" (რამდენად **"ეფექტური"** იყო ეს შემოწმება, დასტურდება იმითაც, რომ მათ ვერ გამოავლინეს ორივე მხარეზე მომუშავე აგენტ **"ლიცეისტის"** ხრიკები — ს.კ.)...

"ჩვენი ანალიტიკური დასკვნა გახლდათ საკმაოდ ვრცელი, დასკვნა კი მოკლე და ნათელი — ჩვენ ომის ზღურბლზე ვიმყოფებით.

1941 წლის 17 ივნისს, მე, "ზემდეგისა" და "კორსიკელის" მიერ მოწოდებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით ვამთავრებდი ამ მნიშვნელოვან დოკუმენზე მუშაობას. მისი დამამთავრებელი აკორდი ასე ჟღერდა:

"უკვე დამთავრებულია გერმანიის მიერ ჩატარებული ყველა სამხედრო ღონისძიება, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად იყო გამიზნული. დარტყმა შეიძლებოდა განხორციელებულიყო ყოველ წუთს.

ხაზს ვუსვამ — ეს იყო 1941 წლის 17 ივნისს.

იოსებ ბესარიონის ძე გაეცნო ჩვენს მიერ მომზადებულ დოკუმენტს და მაგიდაზე მოისროლა. "ეს ბლეფია! — ავად გამოსცრა მან კბილებში, — პანიკაში ნუ ჩავარდებით და სისულეებს თავი გაანებეთ. წადით, და უფრო საფუძვლიანად გაერკვიეთ საქმეში".

ეს მოწოდებულია მკითხველისათვის არა როგორც ბელეტრისტიკა, არამედ როგორც ისტორიული ფაქტი. და მასში სწორედ ის სტალინია წარმოჩენილი, რომლის პორტრეტსაც ხატავდნენ წლების განმავლობაში მისი გარდაცვალების შემდეგ... ტირანი, გონებაჩლუნგი, ჯიუტი, რომელსაც არ სურს თვალი გაუსწოროს რეალობას, რომელიც ოთხი დღის შემდეგ უკვე მწარე რეალობად ექცა მთელ საბჭოთა კავშირს...

უფრო თავხედური ვერსია აქვს წამოყენებული მწერალ ა. სუხომლინოვს თავის წიგნში **"ვინ ხართ თქვენ, ლავრენტი ბერია"**, რომელსაც მოგვიანებით უფრო დაწვრილებით განვიხილავ. მასში მოყვანილია ის რეზოლუცია, რომელიც თითქოს სტალინმა წააწერა ერთ-ერთ მოხსენებით ბარათზე:

"ამხანაგ მერკულოვს. თქვენი ინფორმატორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გერმანიის ავიაციის შტაბიდან, შეგიძლიათ, უკანალში ამოისვათ. ეს "წყარო" კი არა, "დეზინფორმატორია..."

შემდეგ სუხომლინოვი წერს: **"ეს უცენზური სიტყვები სტალინმა არაც თუ დაწერა, არამედ ორჯერ გაუსვა ხაზი. ეს ყველაფერი არქივში ინახება..."** რა გაეწყობა, ხრუშჩოვისა და გორბაჩოვის არქივში დღეს უხვად მოიპოვება ისეთი **"საბუთები"**, რომელიც სტალინის ეპოქაში, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობდა. მაგრამ, არქივი არქივისაგან განსხვავდება. და რაოდენ სამწუხაროა, როცა ინსინუაციის შეთხზვა ხორციელდება არა ჭორებზე დაყრდნობით, არამედ რაღაც შეთხზული დოკუმენტების საფუძველზე. მხედველობაში მაქვს წიგნი **"ჰიტლერის საიდუმლოებები სტალინის მაგიდაზე"**, რომელიც გამოვიდა ვოსკრესენსკაიას წიგნის გამოცემიდან ორი წლის შემდეგ და სუხომლინოვის წიგნის გამოცემიდან ათი წლის შემდეგ. და ვოსკრესენსკაიამ თავისი კრებული 161-162 გვერდებზე გამოაქვეყნა მართლაც თავზარდამცემი სიცრუეები, რომელსაც ალბათ ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება მსოფლიო ბელეტრისტიკის ისტორიაში.

ჯერ ერთი, ეს გახლდათ არა **"კრებსითი მემორანდუმი"**, სადაც თავმოყრილი იქნებოდა უცხოეთის ყველა რეზიდენტის მიერ მოწოდებული მონაცემები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მერკულოვის მოხსენებითი ბარათი **№2279/M,** რომელიც შედგენილი იყო სტალინის, მოლოტოვისა და ბერიას სახელზე 1941 წლის 17 ივნისს. მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა ბერლინიდან **"ზემდეგისა"** და **"კორსიკელის"** მიერ გამოგზავნილი შეტყობინება №4261 და №4262, რომელიც დათარიღებული იყო 1941 წლის 16 ივნისით.

აქვე შევნიშნავ, რომ გორჩაკოვის ტიპის დეზინფორმატორები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბერიას სისტემატურად უგზავნიდნენ ცრუ შეტყობინებებს ვიღაც მითიური **"საიდუმლო ფრონტის"** თანამშრომლები **ალმასი** და **კარმენი**, თავს არიდებენ ისეთი რეალური პიროვნებების დამოწმებას, როგორებიც იყვნენ ზემდეგი და კორსიკელი. სწორედ ისინი აწვდიდნენ ცენტრს ინფორმაციებს გერმანელთა მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე, მათ შორის 1941 წლის 16 ივნისსაც. და ის ფრაზა, რომელსაც თავის ნაწარმოების პირველსავე გვერდზე საკუთარ ქმნილებად წარმოგვიდგენს ვოსკრესენსკაია, სწორედ **"ზემდეგ"** შულცე-ბოიზენს ეკუთვნის. სწორედ აქედან წარმოდგება ისეთი უცნაური ტერმინები, როგორებიცაა: **"...ღონისძიებები... სსრკ-ს წინააღმდეგ შეიარაღებული კონფლიქტისათვის მზადება..."** (მზვერავები ხომ არასოდეს არ ხმარობდნენ ამგვარ ტერმინებს).

თავად ბერლინიდან გამოგზავნილი შეტყობინებები არ იყო ამომწურავი და შეიცავდა მეორეხარისხოვან მონაცემებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს შულცე-ბოიზენის **("ზემდეგი")** და ფარნალის **("სიცილიელი")** ღვაწლს. მზვერავი გადასცემს ცენტრს ყველა იმ ინფორმაციას, რაც მის ყურსა და თვალს მოხვდება, მისი რანჟირება და ანალიზი კი უკვე ცენტრის ანალიტიკოსების ამოცანაა.

რაც შეეხება სტალინის რეაქციას მერკულოვის მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათზე, სრულად მოვიყვან ტექსტს, რომელიც მოთავსებულია ზემოთხსენებული კრებულის № 120 დამატების 232 და 233 გვერდებზე:

"როცა 1941 წლის 17 ივნისს წარმოდგენილ აგენტურულ მონაცემებს გაეცნო, სტალინმა სასწრაფოდ თავისთან იხმო სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი ვ.ნ. მერკულოვი და საგარეო დაზვერვის უფროსი პ.მ ფიტინი. ბელადი ძირითადად ფიტინს ესაუბრებოდა. ფიტინი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ამომწურავად მოახსენა "ზემდეგისა" და "კორსიკელის" თაობაზე და ახსნა, თუ რატომ ენდობოდა მათ დაზვერვა. სტალინმა შენიშნა: "წადით, ყველაფერი დაუზუსტეთ, კიდევ გადაამოწმეთ ეს მონაცემები და მომახსენეთ..."

ცნობები იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა 17 ივნისის საუბარი, შემოგვინახა ფიტინმა. და ამ ცნობებში წარმოჩენილია სულ სხვა სტალინი, ჭეშმარიტი და არა ჯიუტი, უაღრესად ფრთხილი და უმაღლესი პასუხიმგებლობის გრძნობით გამსჭვალული სახელმწიფო მოღვაწე. მითითებული კრებულის № 120 დამატებაში ასევე აღნიშნულია, რომ სტალინის მიერ 1941 წლის 17 ივნისს გამოცემული დავალების საფუძველზე, რომელიც მომზადდა საგარეო დაზვერვისაგან მიღებულ შეტყობინებებზე (იგი ცნობილია როგორც **"ზემდეგისა"** და **"კორსიკელის"** კალენდარული ცნობები, რაც მოიცავს პერიოდს 1940 წლის 6 სექტემბრიდან 1941 წლის 16 ივნისამდე), დაიწერა 1941 წლის 20 ივნისის ბრძანება. მასში თავმოყრილი იყო ყველა ძირითადი შეგროვებული ცნობა, სადაც საუბარი იყო მოსალოდნელ ომზე და ის წყარო, საიდანაც აგენტმა მოიპოვა ეს მონაცემები. ალბათ ვოსკრესენსკაიას სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში. მაგრამ კრებულის № 120 დამატებაში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, მოხვდა თუ არა ეს მონაცემები 20 ივნისს სტალინის მაგიდაზე. მან ხომ ბრძანება გასცა, რომ კიდევ ერთხელ გადაემოწმებინათ აგენტურული მონაცემები და დაუჯერებელია, რომ ფიტინი ყურად არ იღებდა ბელადის მიერ მიღებულ დავალებას.

კრებულში ასევე თავმოყრილია მერკულოვის მიერ სტალინის, მოლოტოვისა და ბერიას სახელზე 18 ივნისს გაგზავნილი მოხსენებითი ბარათები №2294/M, 2295M და 21 ივნისის №2422/M, 2431M და 2433M , ბოგდან ქობულოვის შეტყობინება №2342M, №2342M რომელიც დათარიღებულია 1941 წლის 19 ივნისით და №2411M და №2412 M რომელიც დათარიღებულია ამავე წლის 20 ივნისით.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).

კოც ღორონთი ვაწანციდა...
თის სოთინი ვაგთახვამე,
უტუ ჯარცი ქიმშარდასინ,
იყუაფუ იშენთ ხვალე,

მუშ გემოშა ვემიაკუსი,
ვაბირე დო ვემიახვალე,
ბრელ გილადგორ, მარა დუდიშ
უჯგუშ ვაბძირ შხვა ოხვამე.

კინ მა ვორექ ჩქიმ დუდიში
ოხვამე დო ოწანაფე,
გურ ზარი რე – უშუალდუ,
შურ – სანთელი ოთანაფე,

ათე გურ დო შური შქასი
იყუაფუ ოჩხანაფე,
მარა დღაშა ვემმაგორუ,
ვამობაღუ ოჭყანაფე.

ღორონთქ დოჭყუ თი უშქური
ევაქ კიბირ გიაშქუნი,
დო "მუშ" ყვანაშ ოთასუშა
ბორო ადამ მიაშქუნი.

თიშ უკული ქიანასი
ვართ ღურ უღუ დო ვართ შქუნი,
ცოდაქ მარდის გინულუ დო
დოჭარგალუ გერქი შხური.

ცას მუნაფას მუს ომონკუ,
დიხას ცოდა ომონკუნი,
ღორონთ ვარა მუშენ ვარწყე
ჩე უჩაქი დობორკინი?!
მუ სანთელი ეიალე
ჭყალას ჭყალა მოკონკუნი

მუ გეჩიათ გურქ ქალმაჭუ,
ვეთხუებუდ ჭარასინი,
მოკოდ კინე დირთიკო დო
ქიგმონწყუკო შარასინი;

მარგალურო მუ ბჭარიკონ,
ქომიწუკო მალასინი,
მარა ძახინ ვაგამგონუ,
ნაქურექი მალასინი.

ეშე ჯინა მომივარი,
შურანთხელოო ქაწომჭოფუ,
ყუჩა მიდმოჩანგალუ დო
კარ კილეთი გემნოსოფუ,

ჩქიმ ნაჭარა – ჩე დო უჩა
მოხუშუ დო აკოსოფუ:
– ღორონთქ თაში ისხუნუა...
თოლშე ჩილამურქუ ქოფუ.

თუ კაცს ღმერთი არ სწამს, იგი
არ ილოცებს ტაძარს შინა,
უტუს ჯარშიც რომ ერიოს,
ის იქნება მაინც მარტო.

ვერც გემოზე დაიკვნესებს,
ვერც იმღერებს, ვერც ლექსს დაწერს,
თავზე უფრო უკეთესი –
სალოცავი მე ვერ ვნახე.

თავად მე ვარ ჩემი თავის
ტაძარი და საფიცარი,
გული ჩემი ზარია და
სული – აღდგომის სანთელი.

ამ გულსა და ამ სულს შორის
იქნებოდა მზიანეთი.
მაგრამ დღემდე ვერ მივაგენ,
აღარ მყოფნის ცოდნა, ღონე.

ო, დასწყევლოს ღმერთმა ვაშლი –
ევამ მალვით რომ ჩაკბიჩა
და ადამი თავის ყანის
დასათესად რომ გაუშვა.

იმას აქეთ ამ ქვეყანას
არც ძილი აქვს და არც შიში.
კეთილს სძლია ბოროტმა და
ცხვარს გაავლო მგელმა მუსრი.

ცას ღრუბლები არ ამძიმებს
ისე, როგორც მიწას ცოდვა,
ღმერთი მაინც რად არ ხედავს,
შავმა თეთრი რომ დაბორკა.
რა სანთელი აუვა ამ
წყევლას წყევლით გადავსებულს...

რა გითხრათ! გული ამეწვა
მუზას რომ ვეთხოვებოდი
მინდოდა დარჩენილიყო
შარაგზაზე გავეყვანე.

მეგრულად რა დამეწერა,
დაწვრილებით ეთქვა ჩემთვის...
მაგრამ არარ მომისმინა,
ნაკვალევი წაეშალა.

ამიკრძალა მზერა ცისკენ
და ჩამავლო სწრაფად ხელი,
სახლში წამაბოდიალა,
კარი მკლავით შეამტვრია.

და ნაწერი შავი, თეთრი
ხელთ მოკუჭა და დახია:
– ღმერთმა ასე ინებაო!
თვალთ ცრემლები მომერია,

გთავაზობთ ნაწყვეტებს ნაპო მესხიას წიგნიდან "როგორ გასხვისდა აფხაზეთი".

ვიდექი დერეფანში ვლადისლავ არძინბასთან ქართველი დეპუტატების თვალწინ და ვსაუბრობდით. მან ისევ შემომთავაზა ბატონ **რამაზ სიჭინავას** კანდიდატურაზე მუშაობა. მაგრამ ამჯერად მე მას არ დავეთანხმე. ის, რაც მე მოვისმინე, მინდოდა სცოდნოდაც ჩემს კოლეგებსაც – ქართული ფრაქციის წევრებს და შევთავაზე არძინბას: **"Давайте, зайдем в кабинет и поговорим с дерутатами, они должны знать правду и, желательно, чтобы эту правду узнали бы от вас..."** მან კატეგორიული უარი განაცხადა: **"Нет, я не зайду в кабинет Надареишвили. Поговорите с депутатами сами, объясните им создавшуюся ситуацию, а я поговорю со своими. Ну что ж, раз так, будем работать над кандидатурой Ломинадзе".**

მიუხედავად ჩემი განმეორებითი თხოვნისა, ის ვერ დავიყოლიე და ვერ შემოვიყვანე ნადარეიშვილის კაბინეტში. შემატოვა ხელში ეს **"ბომბი"** და ნახევრად სირბილით გაემართა თავისი კაბინეტისაკენ. მე კი დავბრუნდი ჩემს ქართველ კოლეგებთან. უაღრესად შოეკირებული ვიყავი. მეკითხებიან: **"რა გითხრა არძინბამ ასეთი..."**. კარგად მახსოვს, ვეცი ტელეფონს: ვეძებდი გივი ლომინაძეს. ვერ დავუკავშირდი. მაშინ დავავალე მის მოადგილეებს, რომ მოეძებნათ, რათა იგი სასწრაფოდ მოსულიყო უმაღლეს საბჭოში. მაგრამ ამაოდ! როგორც მოგვიანებით ავთო იოსელიანისგან შევიტყვე, ბატონი გივი ამ დროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის – მის კაბინეტში ე.წ. ვეჩესთან იჯდა და ალოდებოდა ზარს თბილისიდან **"გოსსოვეტიდან"**. ბატონმა ავთომ, რომელიც თან ახლდა თბილისში თამაზ ნადარეიშვილს, მოგვიანებით მითხრა ისიც, რომ იქ ჩემი კანდიდატურა არც განხილულა. თბილისში ბატონი თამაზის მიერ შეთავაზებული იქნა სამი კანდიდატურა შემდეგი თანმიმდევრობით: ლომინაძე, ყოლბაია, სიჭინავა. როდესაც შევარდნაძემ იკითხა, თურმე: **"სად არის მესხია, მისი კანდიდატურს რატომ არ დგას?"**, ბატონ თამაზს უთქვამს: **"ბატონმა ნაპომ თავისი კანდიდატურს თავად მოხსნაო"**.

ეხლა კი დეპუტატებს ვეუბნები: **"უნდა შევიდეთ სხდომათა დარბაზში, სესიაზე, რადგან ბატონი თამაზის მიერ დაპირებული ზარი თბილისიდან უკვე იყო და ლოდინს აზრი არა აქვს"**-მეთქი.

ყველა გაოგნებული იყო, არ იცოდნენ, თუ რა ხდებოდა. მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი: უნდა სევსულიყავით დარბაზში, იქ უნდა მეთხოვა, კიდევ ერთი საათით გადაგვედო სესიის დაწყება და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის განხილვა. ეს დრო მჭირდებოდა იმისთვის, რომ გამოჩენილიყო **გივი ლომინაძე** და გვესაუბდა მასთან. ვთხოვე ბატონ **შოთა ხეცურიანს**, როგორც უხუცეს დეპუტატს, რომ ამდგარიყო და ეთხოვა სხდომის დაწყების კიდევ ერთი საათით გადადება. ის ასეც მოიქცა, მაგრამ არძინბამ უპასუხა: **"Нет, мы больше ждать не будем, сегодня не уйдем так, чтобы не назначить Председателя!"** ვხედავდი ჩემს ჩანაფიქრს ჩავარდნა ემუქრებოდა, ამიტომ, დაუკითხავად მივედი მიკროფონთან და რუსულ ენაზე მივმართე დარბაზს: **"კოლეგებო, რამდენიმე წუთის უკან, ყველას თვალწინ შედგა მნიშვნელოვანი საუბარი ჩემსა და ბატონ არძინბას შორის. ჩემმკა ქართველმა კოლეგებმა იციან ვის და რას ეხებოდა ეს საუბარი. არ ვიცი, იცით თუ არა თქვენ, რომ ეს საკითხი ფრიად სერიოზულია. ადამნიანი, რომლის თაობაზეც ვისაუბრეთ მე და ვლადისლავ გრიგორიევიჩმა, ამჟამად აქ არ აღმოჩნდა. იგი წუთიდან წუთზე მოვა. მოგვეცით მასთან გასაუბრების საშუალება. ამიტომ, გთხოვთ, კიდევ ერთი საათის გადავწიოთ სხდომის დაწყების დრო, შემდეგ კი დავბრუნდებით დარბაზში და შევუდგეთ მუშაობას"**. ვთქვი ეს და, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, არძინბამ გადადო სხდომის დაწყება. ჩვენ ისევ შევიკრიბეთ თამაზ ნადარეიშვილის კაბინეტში. არ გასულა 10-15 წუთი და გივი ლომინაძემ შემოაღო კარები. მე შევაჩერე იგი, ჩავჭიდე ხელი, ერთად გამოვედით დერეფანში და მივიყვანე სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთი საათის წინ არძინბასგან მასთან დაკავშირებული თავზარდამცემი ინფორმაცია მივიღე. მოვუყევი მას ყველაფერი, რაც მოხდა და ვეკითხები: **"რა ხდება, ნუთუ არ გახსოვთ თქვენ, რა მოგიწყვეს აფხაზმა დეპუტატებმა ორიოდე თვის წინ ორი სასესიო დღის განმავლობაში? თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენი ხმები არ გყოფნით და თქვენი კანდიდატურა განწირულია, იგი უეჭველად ჩავარდება, ამასთან ერთად, აფხაზეთის საზოგადოების ქართული ნაწილის ინტერესებიც დასამარდება. თქვენ იღებთ თქვენს თავზე ასეთ დიდ პასუხისმგებლობას"**-მეთქი?!

იგი მპასუხობს: **"თუ თქვენ, ქართველი დეპუტატები მხარში ამომიდგებით, იქაც არიან ადამიანები, რომლებიც მომცემენ ხმას!"**.

ცხადი იყო, რომ საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, შევწყვიტე მასთან საუბარი და დავბრუნდით დეპუტატებთან. მე მათ დეტალებში მოვახსენე ჩემსა და ვლადიმერ არძინბას შორის საუბრის შინაარსი. არ დამიმალავს ისიც, რომ აფხაზური მხარე მხარს უჭერდა რამაზ სიჭინავას კანდიდატურას. იქვე სიტყვა-სიტყვით გავიმეორე ჩემსა და გივი ლომინაძეს შორის დერეფანში შემდგარი საუბარი და ყველა დეპუტატის გასაგონად, კიდევ ერთხელ ვეკითხები ბატონ გივის: **"ხართ თქვენ მზად იმისათვის, რომ თქვენი კანდიდატურის ჩავარდნის შემთხვევაში იტვირთოთ პასუხისმგებლობა ყოველივე იმისათვის, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს?"** იგი იგივეს მპასუხობს: **"თუ თქვენ მხარში ამომიდგებით, აფხაზებშიც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მხარს დამიჭერენ"**.

მახსოვს, მისი ეს სიტყვები ეჭვის ქვეშ დააყენა დეპუტატთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით – ვახტანგ ყოლბაიამ. მან თქვა: **"საშიშია ერთი კანდიდატურით გასვლა, უპრიანი იქნება 2-3 კანდიდატურით თუ გავალთ!"**

კიმი ჯაჭვლიანმა შემოგვთავაზა **გივი ლომინაძის** კანდიდატურასთან ერთად **ვახტანგ ყოლბაიას** და **რამაზ სიჭინავას** კანდიდატურებიც დაგვესახელებინა. ამაზე ბატონმა გივიმ უმაყოფილება გამოთქვა და გვთხოვა: **"თუ ჩემი კანდიდატურა დადგება, გთხოვთ, მარტო გამიშვათ". რამაზ სიჭინავამ** და **ვახტანგ ყოლბაიამ** მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა და ასე, იძულებული აღმოჩნდით ერთი კანდიდატურით გადავსულიყავით სხდომათა დარბაზში, სადაც უნდა განგვეხილა მეტად მნიშვნელოვანი – მთავრობის ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი.

აქ, ალბათ, უადგილო არ იქნება, თუ ერთ ასეთ დეტალსაც დავაზუსტებთ: ამ მოწვევის უმაღლეს საბჭოს მუშაობა ჯერ არ ჰქონდა დაწყებული, რომ შეიქმნა ე.წ. შემთანხმებელი კომისია, რომლის წევრები ჩვენი მხრიდან გახლდათ ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ მჟავია და თემურ ლორთქიფანიძე. ამ კომისიას ცოტა მოგვიანებით მეც შევუერთდი. კომისიის პირველ სხდომაზე შევიტყვე რომ ადრე, მხარეებს შორის უკვე ყოფილა მიღწეული შეთანხმება პირველსავე სესიაზე უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეების არჩევის თაობაზე. ახლა, სასესიო სხდომამდე ორი დღით ადრე, ამ კომისიაზე აღმოვჩნდით ფაქტის წინაშე: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევი კანდიდატურა ცალკე განიხილებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ადრე მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმებული ქართველი კანდიდატურა დღის წესრიგში უკვე არ იყო და, ცხადია, საკითხის ამ ფორმატში გადაწყვეტა დაინტერესებულ ჯგუფს ხელს არ აძლევდა.

სწორედ აქ, ასეთ პრინციპულ საკითხებში გამოვლინდა საარჩევნო კანონის შორს გამიზნული მზაკვრული, რომლის მიხედვითაც სადეპუტატო ქვოტები 28-26-ზე იყო გადანაწილებული.

ამდენად, უხეშად დაირღვა ადრე მიღწეული შეთანხმება.

ვხედავდი რაც ხდებოდა. აღვნიშნე კიდეც, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრანმ ჩემი რეპლიკა უყურადღებოდ დარჩა. სხვები, როგორც აფხაზური, ასევე ქართული მხარე სდუმდნენ. ამ სხდომას, სხვათა შორის, ესწრებოდნენ არადეპუტატებიც – **გივი ლომინაძე** და **ანრი ჯერგენია.** სწორედ ის არადეპუტატები, სარგებლობდნენ გადამწყვეტი ხმის უფლებით და მათ შორის მიმდინარეობდა ძირითადი დიალოგი. არსებითად, ისინი წყვეტდნენ ყველა საკითხს.

ეს ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელი იყო.

რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?

მართალია, აკად-სმა საიდუმლო ტექსტში გამოყენებული ასონიშნები სწორად ამოიკითხა, მაგრამ ტექსტის ენა და შინაარსი დაუდგენელი დარჩა.

ტექსტის ქართული ტრანსლიტერაცია, თანხმოვანი ბგერებით გამოხატული სიტყვები და სამ ადგილას, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი ბგერების აღსანიშნავად გამოყენებული, იბერიული ენისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ბგერა ჸ მიგვანიშნებს, რომ წარწერის ენა წმინდა იბერიულია. ამასთან, ტექსტი დაქარაგმებულია, მაგრამ იოლად იშიფრება ე.წ. მეგრული ენით:

ქარაგმა გახსნილი ტექსტი ასეთია:

[მ]ა[შო] ნ[ჷ]. ჰ[ჷჷ], ს[ი] ჸ[ოი] რ[ინა], ფუ[ნაშო] ტ[ოი] ბ[ე]რ[ე] თჷ[კოჩო]; ზი[ი],

ზი[ი] ვ[აით] ხ[იილი], კ[უერი] ლჷლ(ჷ) პ[ი]ტ[ია]ხშ[ი] ფ[ა]რსმ[ა]ნ[ი]

მ[აფათ] ლ[ე]ქ[ჷნო], [მ]ან[ა]თ[ე]თ ზი[ი], ავ[აი] დ[ო] მ[ა]ნგ[ო] ნ[ჷში] ვ[ა]ნ[ები] სიჰ[ამე].

ვ[ა]ქ[ა]ბირ[ე], არ[ეი] ვ[აი]-ს[იჰამე] თ[იში], ჸ[ოი]-ბადი რ[ინაში] ბ[ა],

თ[ჷ] [კოჩო] რ[ინელი] ბ[ა] ს[ი] ზი[ი], ხ[იი] სჷ[მილი] ფ[უ]რ[ი]ნვ[ელც] გ[ჷნელი] მ[აფა] დი[ე]ქ[ჷნი]; ბ[ე]რ[ე]

ზი[ი] [მ]აგ[უ]რო ფ[ურინველიში], რ[ინაშო] ბ[ა]; თჷ[კოჩო] რ[ინელი] ბ[ა] ს[ი] ზი[ი]

ფ[ა]რსმ[ა]ნ[ი] მ[აფათ] ლ[ე]ქ[ჷნო], ჰ[ჷჷ] ბ[ა] ლ[ექჷნო], ჰ[ჷჷ] ბ[ა] ლჷ[ნიფერი] ქ[იმინი]; მა

ზი[ი] ფ[უ]რ[ი]ნვ[ელ]შ[ორო] [მა]ლა[ფარო] გ[აფილი] მი[თ]რ[ე], ვ[აით] ჰ[ჷჷ] ქი[მი]ნ[ი]

ტ[ი]ბ[უ] ვ[ა]შ[ჷ]ფერ[ი] იჰვჰ[ს] ჰჷქ ზ[ი] ბ[ე]რ[ე]

[მ]ა[ჟირა] [მ]ინ შ[ჷ] [მა]ლ[ჷმ]ა[რი] დ[ო] მ[აფათ] ჸ[ოფილი] იჰვჰ[ს] მ[ა] ნ[ჷ]

ტ[ო]ბ[ა] ვ[ა]თ[ებული] ვ[არე] მა[ჟირა] [მ]ითინ[ი] ბ[ო]შ[ი] ნ[ო]თ[ე] გ[ა]გ[ანია] ზ[ჷნელი].

აქ გამოყენებულია დაქარაგმების ყველა ხერხი, რომლებიც აღწერილი აქვს ივ. ჯავახიშვილს თავის **„ქართული დამწერლობათ მცოდნეობა ანუ პალეოგრაფიაში“**, რომელიც გამოსცა 1923 წელს, ე.ი. 17 წლით ადრე, ვიდრე აღმოაჩენდა არმაზის ბილინგვას.

ამ ტექსტის ქართული თარგმანი ასეთია:

უზენაესო შემოქმედო, ყველგანმწვდომო, შენ ჰქმენ ყოფიერება, ადუღება-ამაღლებისათვის ტოვე შვილი თავკაცად; გაწვრთენ,

გაწვრთენი ტანჯვით შობილი, კვერე ჩვილი პიტიახში ფარსმანი

მოქნილი მეფედ, მანათებლად გარწთვენი, ატანჯე და მსგავსად ღვთისა არ ანებე სიამე;

არ ამღერე, არიე ტანჯვა-სიამე მისი, ქმენ-ბადე სიცოცხლისათვის მემკვიდრე;

თავკაცად ყოფიერი მემკვიდრე შვი განტვირთულ ფრინველს დამსგავსებულ მოქნილ მეფედ: შვილი

გაწრთვენ-გარდაჰქმენ მსგავსად ფრინველისა სიცოცხლისათვის. მემკვიდრე, თავკაცად ყოფიერი მემკვიდრე შენ გაწრთვენი

ფარსმანი მოქნილ მეფედ, ყველგანმწვდომ მოქნილ მემკვიდრედ; ყველგან მწვდომი მემკვიდრე [შურდულივით] გავარდნადი ჰქმენი, პიროვნება

გარწთვენი [ისეთი] ფრინველივით მონავარდედ აგებული ვინც არი, სიმწრით (ანუ ოფლის ღვრით) ყველგანმწვდომი ჰქმენი;

სითბოუხსოვარი უზენაესი შემოქმედისთვის ყველგანმწვდომად გაწრთვენი შვილი.

ვინ ახსოვს უზენაეს შემოქმედს მეორე-მეომარი და მეფედ ყოფილი, პიროვნება წყარო სიცოცხლისა.

სიბრძნე უსასრულო (ანუ ზეკაცი) არ არის მეორე ვინმე ვაჟი მნათობი, მოგიზგიზე ანთებული.

ამავე სამარხში აღმოჩენილი მეორე სტელა (წარწერა №1) უფრო განიერია და დაწერილია უფრო დიდი მოცულობის თოთხმეტ სტრიქონიანი ტექსტი, მაგრამ სტელის მარცხენა მხარე მთელ სიმაღლეზე ჩამოჭრილია 15-20 სმ სიგანით და თითქმის მთელი ტექსტი დიაგონალურადაა წაშლილი, ისე რომ დასაწყისის მხოლოდ მცირე ნაწილის ამოკითხვა შეიქნა შესაძლებელი.

აქაც საიდუმლო დამწერლობითა და დაქარაგმული საიდუმლო ენითაა შესრულებული წარწერა და მისი ქართული ტრანსლიტერაცია ასეთია:

მლჷქ(?) მჰრდტ მლქ რბ ბრჰ ზჷ ფრსმნ მლქ რბ'ნჰ შრ [გს]

ბრჰ ზჷ ზჷვხ რბვნჷნ 'ნჰ შრგს ფჷტხშ. მჷჰრდტ [მლქ]

მჷლ' ვჰქჷნ მჷლ' ['] მრჷთ ჰნ ჷჰვჷნ . . .

ქარაგმა გახსნილი ტექსტი ასეთია:

მ[აფა] ლექ[ჷნი] მ[ი]ჰრდ[ა]ტ[ი], მ[აფა] ლ[ე]ქ[ჷნიში] რ[დჷ] ბ[ა], ბ[ე]რ[ე] ჰ[ჷჷთ] ზი[ილი] ფ[ა]რსმ[ა]ნ მ[აფა] ლ[ე]ქ[ჷნიში] რ[დჷ] ბ[ა], [მ]ა-ნ[ჷ] ჰ[ჷჷ] შ[ა]რ[ა]-გ[ა]ს

ბ[ე]რ[ე] ჰ[ჷჷთ] ზი[ილი], ზი[ილი] ვ[აით] ხ[იილი] რ[ინაშო] ბ[ა] ვ[აით] ნ[ჷ] [ქიმ]ინ [მ]ა-ნ[ჷ] ჰ[ჷჷ] შ[ა]რ[ა] – გ[ა]ს ფიტ[ია]ხშ[ი] მიჰრდ[ა]ტ[ი] მ[აფა] ლ[ე]ქ[ჷნი]

მალ[მ]ა[რი] ვ[აით] ჰ[ჷჷ] ქი[მი]ნელი], მალ[მ]ა[რი] [მ]ა მ[ით] რე[დჷ] თ[ჷ] [კოჩო] ჰ[ჷჷ] ნ[ჷ] [ჸ]ი ჰ[ჷჷთ] ვ[აით] ი[ჸი] ნ[ჷთ]

ქართული თარგმანი:

მოქნილი მეფე-მირდატი, მოქნილი მეფის იყო მემკვიდრე, შვილი. ყველგანმწვდომად გარწვთნილი ფარსმან მეფე მოქნილისა იყო მემკვიდრე, პიროვნება, ყველგანმწვდომი სიცოცხლის წყარო გზა-ზეგანს

ყველგანმწვდომად გაწვრთნილი მემკვიდრე, სიცოცხლისათვის ტანჯვით შობილი მემკვიდრე, გზა-ზეგნის პიტიახში მირდატი მოქნილ მეფედ.

მეომარი ტანჯვით (ოფლის მღვრელ დატვირთვებზე წვრთნით) ყველგან-მწვდომად ქმნილი მეომარი პიროვნება ვინც იყო თავკაცად, ყველგანმწვდომი სიცოცხლის წყარო ტანჯვით (ოფლისმღვრელ დატვირთვებზე წვრთნით) იქმნა სიცოცხლის წყაროდ . . .

ვფიქრობთ, წარწერა საიდუმლო დამწერლობითა და ენით შესრულებულია იმიტომ, რომ ყველა, თვალსაჩინო იბერიულ ძეგლებს დაუნდობლად ანადგურებდნენ, მაგრამ, რის ამოკითხვასაც ვერ ახერხებდნენ იმისი განადგურებაც დაიწყეს და რადგან ამ სტელზე აღარ შეიძლებოდა ილუზიის გამომწვევი ტექსტის დამატებით დატანა, თვითონ წაშალეს, რომ ბილინგვად წოდებული წარწერა გადაერჩინათ.

აქ ფარსმან I-ის მემკვიდრის-მირდატ II-ის ქებადიდება იმიტომ არის აღწერილი, რომ **ქართები** მის დროსაც ცდილობდნენ გამოყოფოდნენ იბერებს, მაგრამ მისი მოქნილი პოლიტიკის წყალობით შენარჩუნებული იქნა ერთიანობა, რაც მისი მომდევნო მეფის-ქართამ I-ის დროს ვერ მოხერხდა.

რადგანაც იბერიის დაცემისთანავე დაიწყო ყველა იბერიული მონაპოვარის პირისაგან მიწისა აღგვა, საჭირო შეიქმნა საიდუმლო წარწერების შესრულება და, სწორედ, 1940 წელს აღმოჩენილი ძეგლები შესრულებული უნდა იყოს 523 წლის შემდეგ, მაგრამ ილუზიის შესაქმნელად საჭირო იყო გასაგები ენით წარწერის დამატება და ბერძნული ტექსტი დაამატეს, მაგრამ მაინც სახიფათო იყო მისი თვალსაჩინოდ დატოვება და დამარხეს უცხედროდ, სამარხის კედლების ილუზიის შესაქმნელად. ასე სასწაულით გადაურჩა ეს ძეგლი განადგურებას.

იბერიის დაცემის შემდეგ შეიქმნა ჯერ ლაზიკის, შემდეგ აფხაზეთის სახელწოდებით იბერიული სახელმწიფო, მაგრამ ქართების მიერ სამეფოს სტატუსის მოპოვების შემდეგ, ისევ დაიწყო მეხსიერებაში შემორჩენილი იბერიული კვალის ინტენსიური წაშლა და ის დღემდე არ განელებულა. ქართი მოღვაწენი ბრწყინვალედ იცნობდნენ ბერძნულ-რომაულ წყაროებს იბერებზე, მაგრამ შეგნებულად, როგორც შოთა ძიძიგური აღნიშნავს, გვერდს უვლიდნენ მათ და ყველა საერთო იბერიული მონაპოვარი შესაძლებლობის ფარგლებში ქართლური ტომობროვი სახელით მონათლეს, ხოლო დანარჩენის სხვა ერისთვის მიკუთვნებას, ან საერთოდ მოსპობას შეუდგნენ. იბერებს სახელი მეგრელით შეუცვალეს და ე.წ. მეგრული ენა, ქართლურის III საუკუნეში ჩასახულ კილოკავად გამოაცხადეს. იბერიის მეფენი ქართლის მეფენი გახდნენ, პეტრე იბერი-პეტრე ქართველად, ლაზთა მონასტერი იერუსალიმში – ქართველთა მონასტრად და იბერიული დამწერლობანი ქართულ დამწერლობებად, მაგრამ უცხოურიდან გადმოღებულად მონათლეს.

ცხადია, ყველაფერი ეს იბერიული კვალის წასაშლელად კეთდებოდა, მაგრამ ჰქონდათ კი გააზრებული, იბერიული კვალის წაშლა მოუტანდა თუ არა სიკეთეს ჯერ **ქარდებად**, შემდეგ **ქართებად** წოდებულ ყოფილ იბერებს?

გამორიცხულია, პრობლემა სწორად გადაიჭრას მხოლოდ ერთი კუთხით დანახული სურათის მიხედვით გაკეთებული დასკვნის საფუძველზე. აუცილებელია, მრავალმხრივი და გლობალური მასშტაბით ხედვა.

არათუ სახელმწიფოებრივი, არამედ ნებისმიერი პრობლემა ცხელ გულზე და გაბოროტებული გონებით გადაჭრილი, ყოველთვის ტრაგიკულია, მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი და უცვლელი კანონზომიერების საფუძველზე. და რამდენადაც „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამჟღავნდეს და დამალული, რომ არ გაცხადდეს“, ნათელია რომ იბერიული ღირებულებების და კვალის წაშლა კატასტროფულია ქართველებისათვის, ხოლო ნაყიდი ქართული გვარის მატარებელი სომხების და ჟიდ-მასონებისათვის კი სანუკვარი ოცნების აღსრულება. მაგრამ ღმერთმა მოგვივლინა ბრძენი და თავდადებული მამულიშვილებიც, რომელთა წყალობაა იბერთა მოდგმის დღემდე არსებობა. და ახდა ივანე ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება **„ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურ, ან სავანურ შტოს“**-ო (ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1908, გვ 20); უკვე ნათელი ეფინება იმ ჭეშმარიტებას, რომ **იბერები მეტყველებდნენ იბერიულ** (იგივე, ე.წ. მეგრულ) **ენაზე და დამწერლობა და მწიგნობრობა ჰქონდათ ქრისტემდე რამდენიმე ათას-წლეულის წინათ, თანხმოვნური მეტყველების დროიდან.**

ამ თამამი განაცხადის საფუძველს გვაძლევს შემდეგი არგუმენტები:

პეტრე იბერს, 11 წლისას ბიზანტიაში მასწავლებლად გააყოლეს **იოანე ლაზი** (რუფუსი – რუფუში), რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა (ლაზთა ენა იბერიულია);

გუბაზ მეფის მკვლელობის გამო გამართულ საჯარო კრებაზე გამოსული ორატორის – **აიეტის** ისტორიულ სიტყვიდან ცნობა: „გაქრა კოლხთა დიდება, ამიერიდან აღარ ვეღირსებით იმას, რომ სხვას ვბრძანებლობდეთ, **ისიც უნდა ვიკმაროთ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევდომი იყო . . .“** (ეს ქვეშემდომი იყო ქართები, რომლებმაც იბერიის დაცემის შემდეგ, სპარსეთის მხარდაჭერით, ძალაუფლება ხელთ იგდეს);

ბიბლიური **დაბადება** დაწერილია, სულ მცირე ოთხი ათასი წლეულის წინათ იბერიულ ენაზე;

მარტვილში, ალანიას გაზე აღმოჩენილ ქვებზე ამოკვეთილი ასონიშნები და განსაკუთრებით, ჩვილის თავი წარწერით **ჭხრ**;

1940 წელს მცხეთის რაიონში, ს. არმაზში აღმოჩენილი სამარხის ქვებზე შესრულებული წარწერების საიდუმლო ენა-იბერიულია;

ყველა უძველესი ეთნიკურ-ტომობრივი, თუ რეგიონის სახელების, ტოპონიმებისა და ჰიდრონიმის ეტიმოლოგია იბერიული (ე.წ. მეგრული) ენით ირკვევა;

ჩვენი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) იბერიული წარმოშობისაა, რაზეც ასანიშანთა მოხაზულობანი და სახელდებანი მეტყველებენ;

იბერიული მოდგმის ენების ლექსიკის ურთიერთ შესატყვისი ძირისეული ფორმების მნიშვნელობა და ეტიმოლოგია ირკვევა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენით;

ე.წ. მეგრული ენის მიერ დღემდე შენახული უნიკალური მონაცემები, შესწავლილი და წარმოდგენილი მ. და ც. ძაძამიების მიერ.

ხშირად თანამოაზრენიც მსაყვედურობენ: ყველაფერში მართალი ხარ, მაგრამ ძალზედ მკაცრი და პირდაპირიო, საქმისთვის აჯობებდა მეტი დიპლომატიურობა გამოიჩინო და ზოგი რამ შერბილებულად თქვაო.

მართალია, ზომიერება და დიპლომატია დიდი სიბრძნეა, მაგრამ რაც ჭეშმარიტებაა, ყოველ შემთხვევაში, რაც მე ჭეშმარიტებად მიმაჩნია („მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“-ს პრინციპით), პირდაპირ ყოველგვარი შერბილებისა და გაზვიადების გარეშე უნდა ვთქვა.

როცა ვამცნე გამოცემა შეიდტომეულისა („მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათ წარმომავლობა“), ერთმა ენათმეცნიერმა, თითქოს ბზიკს ეკბინოს, წამოხტა და ტირილნარევი ხმით წამოიყვირა: „მოღალატეა მამანტი ძაძამია“. შეიძლება, ჩემი მოკრძალებული გამოკვლევებიც ზოგი „მეცნიერის“ შეგნებაში ღალატად ჩანდეს, რადგან, შეიძლება, ე.წ. მეგრული ენის ფენომენის წარმოჩენა, საერთო ქართული ღირებულებების დაჩრდილვად ეჩვენება. იქნებ, მათ თვალსაწიერში, ე.წ. მეგრული ენის ფენომენის დაკნინება და მისი ქართული ენის ახ.წ.აღ-ის III საუკ. წარმოშობილ კილოკავად წარმოჩენა, შემდეგ ქართველი ერის ცნობიერებაში ასეთად ჩაკირვა-დამკვიდრებაა პატრიოტიზმი?

ასეა თუ ისე, ამისთვის იბრძვიან პროფ. ტ. ფუტკარაძე და მისი თანამოაზრენი. ამ მიზნით გამოდიან მოხსენებებით უნივერსიტეტებში პროფესორი-მასწავლებლებისა და სტუდენტების წინაშე, აკეთებენ მოხსენებას საპატრიარქოში, გამოსცემენ სტატიებს და შრომებს (მაგ., ტ. ფუტკარაძემ გამოსცა წიგნი „ქართველები“, სადაც მისი აღნიშნული ნაშრომი დაბეჭდილია სამ (ქართულ, რუსულ და თურქულ) ენაზე, რომელშიც ე.წ. მეგრული და სვანური ენები ქართულის კილოკავადაა გამოყვანილი. და აქ არაჩვეულებრივი არაფერია. ქართველისათვის, რომელმაც ქართულის გარდა, სხვა ე.წ. ქართველური ენები არ იცის, რამდენადაც მჭერმეტყველი, რამდენადაც ერუდირებული არ იყოს იგი, რანაირი სამეცნიერო ტიტულები არ ჰქონდეს მოპოვებული, ქართულია დედა ენა და არ შეიძლება მისთვის სხვა ქართველური ენები უცხო ენა არ იყოს. ამიტომ მეგრული ენის ფენომენზე და მისი ენობრივი მონაცემების უნიკალურობაზე მტკიცებები ასეთ მეცნიერებს, ბუნებრივია, გააღიზიანებს და ამიტომაც იბრძვის ბატონი ტარიელ ფუტკარაძე ე.წ. მეგრული ენა ქართულის დიალექტად წარმოადგინოს. მაგრამ ენის ზედაპირული ცოდნა, რომელსაც პატივცემული მეცნიერები მეცნიერულ ცოდნას უწოდებენ, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მეცნიერი ამა თუ იმ ენის სრულყოფილ მცოდნედ ჩაითვალოს.

კუკური ფიფია,
ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.
(დასასრული შემდეგ ნომერში)

ზუგდიდში იეღოვას მოწმეები მომრავლდნენ

ზუგდიდში ძალიან მომრავლდნენ ეგრეთ წოდებული იეღოვას მოწმეები. მიუხედავად მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობისა, მათ ზუგდიდის ცენტრში უკვე თავიანთი სასახლეც გააჩნიათ, რომელიც ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში მშენებარე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის წინ წამოჭიმეს.

იეღოველები ზუგდიდში ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ დადიან, დააქვთ თავიანთი საზიზღარი ბროშურები და ფართო აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან, რაც ზუგდიდელთა გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. ზუგდიდელი დავით წურწუმია გულისტკივილს გამოთქვამს ამის გამო და ამბობს, რომ **“ხალხს მოთმინების ფიალა თანდათან ევსება და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში იეღოველები უმალვე პოლიციას უძახებენ”.**

თუ შევარდნაძის ხელისუფლების დროს იეღოველები ასე თუ ისე, შეზღუდულები იყვნენ და ასე აქტიურად ვერ მოქმედებდნენ, ამჟამინდელი ხელისუფლების მხარდაჭერითა და თანადგომით გათამამებულები არიან და მათი თავხედური მოქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ზუგდიდის რაიონის სოფელ ნაწულუკუში ორჯერ გრანდიოზული მრავალათასიანი კონგრესიც კი ჩაატარეს. მოსახლეობა კი შიშისაგან ხმას ვერ იღებს, რადგან იეღოველების მიერ გამოძახებული პოლიცია მათ გისოსებს მიღმა გაისტუმრებს.

ზურაბ ქაფიანიძე: ეს ” მოუშორებელი ჭირი” რაც შეიძლება მალე უნდა მოშორდეს პრეზიდენტის სავარძელს, სანამ ყველა ერთად დავუღუპივართ

მსახიობ ზურაბ ქაფიანიძისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს **“ნაგავი”** ხელისუფლების მოშორებაა. ამის თაობაზე საქინფორმს მსახიობმა წარმომადგენლობითი სახალხო კრების მსვლელობისას განუცხადა.

ქაფიანიძეს მიაჩნია, რომ სააკაშვილი საქართველოსათვის **“მოუშორებელი ჭირია”** და რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოშორდეს ქვეყნის ლიდერის პოსტს. **“ამ ხელისუფლებას არ ნამუსი აქვს, ადრც სირცხვილი და არც თავმოყვარეობა. ეძახე რამდენიც გინდა “წადი!” მე რომ პრეზიდენტი ვიყო და ამდენი ხალხი ჩემი წინააღმდეგი იყოს, თავმოყვარეობა მაქვს და წავიდოდი აქამდე. მაგრამ სააკაშვილს არც ნამუსი და არც თავმოყვარეობა არ გააჩნია!”.**

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმერთო, შენ დაგვიფარე ამათგან!

ქალბატონო ჩიტო-ჩიორა თაქთაქიშვილო (აფსუს, რა კარგ გვარს ატარებ?) და ბატონო დავით სოროსიშვილდარჩიაშვილო!

როგორ ბრძანდებით თქვენი **"ნაცებით"**? ხომ კარგად? იმედია, ჭამის მადა კარგი გაქვთ... შემოსავალთან ერთად. ადამიანი რომ შემოგხედავთ, ისეთი ფრთიანი ანგელოზების შთაბეჭდილებას ტოვებთ (ეკრანიდან), რომ თქვენი მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველო ყვავის, საქართველოში ხალხი ბედნიერად ცხოვრობს (ისე იცხოვრეთ თქვენ და თქვენიანებმა, როგორც ჩემი და ჩემისთანას ოჯახი ცხოვრობს!).

თქვენი თქმით, ომი არ წაგვიგია, ტერიტორიები არ დაგვიკარგავს და სოფლის მეურნეობა აყვავებულია. ისე აყვავდით თქვენ! მარჩენალდაკარგულ ოჯახებს მთლიანად გაუუქმეთ შეღავათები იმიტომ, რომ არ იქნა თქვენი სტომაქების ამოყორვა!

ასფალტი დავაგეთო!..

სადაც დაადგეთ, უკვე აყრილია. ფასადები სადაც გადაღებეთ, უკვე აიქერცლა! დავით ბაქრაძე დაღუპული მებრძოლების ძეგლებს ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებს რომ აძლევდა, სად არის დანაპირები... თუ აგვისტოს ომმა ჩაყლაპა?

ქალბატონები და ბატონებო! ჩემი შრომის სტაჟი ნახევარ საუკუნეზე მეტია. ამიტომ მინდა მოგცეთ ერთი რჩევა, რომელმაც შეიძლება საქართველოში მდგომარეობა შეცვალოს დადებითისკენ. დათქვით რომელიმე დღე და ადგილი, სადაც შეიკრიბებიან საკუთარი ნებით მოსული თქვენი მომხრეები და არა ავტობუსებით ძალით მოყვანილი თბილისელები! სასურველია, ადგილი იყოს ღია და არა დახურული, იმიტომ, რომ სხვებმაც დაინახონ, რამდენი მომხრე გყავთ! აი, მერე კი გამოჩნდება თეთრი და შავი სიმართლე!

"ნაცებო"! დავიღალეთ თქვენი – ყველას ერთ შაბლონზე მეტყველების გამო. მსჯელობისას ყოველი თქვენგანი თითქმის ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებთ. სად ვარჯიშობთ, ან ვინ გყავთ მასწავლებელი?

ხომ იცით ბრძნული გამოთქმა: **"დრონი მეფობენ და არა მეფენი"**. ხელისუფლებაში სულ ხომ არ იქნებით? მერე სად აპირებთ ცხოვრებას? ხალხს თვალებში ხომ უნდა შეხედოთ? ისე ნუ იზამთ, რომ ბოლოს გვიანი იყოს!

გაუბედურებული მამა
ანზორ დანელია

P.S. საინტერესოა, რუსეთი რომ არ არსებულიყო, თქვენს უსუსურობას და ქვეყნისადმი უდიერ დამოკიდებულებას ვის დააბრალებდით?!

რაჭაში ხიდი ვინ აადეოქა?!

თქვენ ისე გაინტერესებთ საქართველო, როგორც მე – ტრინიდადი და ტობაგო.

თქვენ და თქვენისთანებს საქართველო მხოლოდ სახრავად გინდათ!

ლაზეში დო მარგალეში

ლაზეში დო მარგალეში,
მარგალეში დო ჭანეში,
ვა ვორეთ დო, მუშენ ვორდათ
შხვაშა მიოჭარალეში...

ჯიმათ მიოფუჩინალეფს
ართი ნერი ეთოპუნა,
ქიდვეკვირათ, ლაზ-ეგრეფი
ართი ნერო გეროყუნა...

კოლხეფიშ გამნაყარ ვორეთ,
ართ ქვარაშე გიმნაულა,
ლაზონაშა ვამიტენა,
– მოკო ლაზონაშა ულა...

მიდგარენს გურს გასოფანსგ
კოლხ-ლაზ-მარგალიში შინა,
გინობჭყვიდათ, ჯუმალეფი,
ჯვეშობურო ართო რინა...

მუთუნ ქომოლობა ვარე
შხვაში უღუშ ეთორინა...

ჯუმა, მოზოჯ ნანოღუშა

მიფშათ არქეოპოლისშა,
საარიკოს ქუგოძირა,
ფუთქურამი ქუალეფი
სონს ინგარა, მუს იბირა...

მიარე ბორჯქ მიკიილუ,
ტეხირ მიშ დო ასეთ მურსი,
დიდა-მოკაშ ჩილამური
ქუალეფშე გიშმაფუნსი...

ჩქინ მაფეფი თაქ ზოჯუნდეს
მაფემს ოსქვანდესინ ფერო,
– ჯინჯმანგარო, ღმალიერო,
დუდიშულო, ჩამიერო...

ორქოშ ყორშემს მილებირდეს
მაფშალიეფ ხონარწკონდა,
ირფელს ქიგეჩიებუქი
თექ მუთ ქორდუნ, ქუგოკონდა...

ჯუმა, მოზოჯ ნანოღუშა,
საარიკოს ქუგოძირა,
ფუთქურამი ქუალეფი
წკონდა კოლხურო იბირა...

ზუგდიდარემს

ჯიმალეფი, ოცქვაფური
თქვანი ბრელი მოკო ბჭარე,
გოიმორძგვანი, შურ დო გურით,
კოჩანიერ ზუგდიდარეფს...
ცირეფს ლერსის
ქუგოილუანთ,
გოპირელს დო
გაპირალეფს...

წანა რე მუსხი

ღიუ-დაუ ბორჯის გეთხიებუდი,
ვაუხუჯანდუ ჩქინ წორო რინა,
ირ დათხიასიშური გურშახ
მაკორობუდუ
ართ სქან ხოლოშიქ გემილეღუ
გვერიშ ლაკარტი
დო თიშ უკული
ვაიზარებუქ, წანა რე
მუსხი...

რამაზ კუპრა

არ აყვავდა მისი ვარდი...

(ნოშრევან ჯიშკარიანის მოგონება)

რთულია და ამავე დროს ადვილია, წერო ადამიანზე, რომელთანაც ცხოვრებაში არ გქონია ურთიერთობა, მაგრამ ადვილია გაშიფრო მისი გულის ფიქრები მისივე განვლილი გზით, კერძოდ: კაცურკაცობით, ნამოღვაწარით, პოეზიით, შინაგანი მრწამსით...

ნოშრევან ჯიშკარიანი გახლდათ პიროვნება, რომელზედაც შესაძლებელია ძალიან ბევრი რამ ითქვას. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მას იმდენი სიკეთე უკეთებია ამ ქვეყანაზე, რომ მშობელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გადის წლები, ის კი ისევ რჩება ადამიანობის, კაცობის ეტალონად.

ნოშრევან (ჯამბულ) შალვას ძე ჯიშკარიანი დაიბადა 1953 წლის 29 დეკემბერს, მარტვილის რაიონის სოფელ ნაგვაზაოში, ცნობილი ფილოლოგების ოჯახში. დაამთავრა ქვედა ნაგვაზაოს საშუალო სკოლა წარჩინებით, ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. თარგმნიდა და წერდა ლექსებს. დიახ, მოცალეობის ჟამს უწერია ლექსები. მისი პოეზია ტერენტი გრანელის პოეზიის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ტერენტის მსგავსად მისი ლექსები სევდითა და პატრიოტიზმითაა გაჟღენთილი. როგორც პოეტი, იგი შეუსწავლელია, მაგრამ საკმარისია წავიკითხოთ და დავრწმუნდებით, რომ მისი შემოქმედება გაჯერებულია მაღალი პოეტური ოსტატობით.

კოშკსა ვაგებდი ოცნების
ღრუბელი ფერხთით მეწვინა,
ის რა ვიცოდი, რომ თურმე
სიკვდილს ჩემს კარზე ეძინა...

ლექსი, რომელიც მან დიდ ქართველ პოეტს, შეიძლება ითქვას, მის სულიერ ძმას, ტერენტი გრანელს მიუძღვნა, თითქოსდა წინასწარმგრძნობელურია:

ყველა მიზანი – ნაცარწაყრილი,
ყველა ოცნება – გადაბელილი,
მიწასთანა და ცასთან გაყრილი
სული – ლექსებად გადაწერილი.

და მაინც, რატომ უყვარდა ასე იმ დროისათვის არც თუ ასე დაფასებული პოეტი? ალბათ იმიტომ, რომ მასავით უშუალო, თავმდაბალი, სპეტაკი სულის პატრონი იყო. ტერენტის მსგავსად ნოშრევანიც სამშობლოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა, უმღერდა სოფელს, რაიონს, სამშობლოს, თავის ოდაბადეს.

შენს ქარს გავყევ მოუსავლეთს,

შენს მზეს თვალი გავუსწორე,
შენი წვიმა თმას მიზრდის და
სულ ვერა ვგრძნობ ვით მასველებს...

წარსული, აწმყოს მოჩვენებითი სიმშვიდის ფონზე (**დანაღმულ სიჩუმეში ყივის მამალი** – ნ. ჯიშკარიანი) ეგებება ახალგაზრდა კაცი მომავლის, ცისკრის მნათის ამობრწყინებას, ყველაფრის მიუხედავად სჯერა, რომ საქართველო გადარჩება. სამწუხაროა, რომ სამშობლოზე ასე შეყვარებულმა ადამიანმა ვერ ნახა დამოუკიდებელი, ბორკილახსნილი სამშობლო.

ნოშრევან ჯიშკარიანის ცხოვრება, როგორც თვითონ გვიმხელს ლექსებიდან – ქალი და ლექსია, რასაკვირველია პარტიოტიზმთან, ტრადიციებთან, ადათ-წესთან, ვაზთან ნაზიარები. მის პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა სილამაზისადმი ტრფობას, უფრო კონკრეტულად, ქალისადმი ლტოლვას. უყვარდა მამაპაპური – ღვინო, დუდუკი, ქალები... ამით ბევრი რამეა ნათქვამი.

ჩვენს შორის მყოფი, სიცოცხლეში ჯერ კიდევ სათანადოდ არდაფასებული კაცის საზომი ერთეული ადამიანობა გამხდარა. შოთასმიერი ჩაგონებით, **"სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელსა"** – უცხოვრია და ულაღია. უკეთებია კარგი, დახმარების ხელი გაუწვდენია იმათთვის, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა და იმათთვისაც, ვისაც საერთოდ არ იცნობდა. დიდთან დიდი ყოფილა, პატარასთან პატარა და რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია და რითაც მტკიცდება დიდბუნოვნება ამა თუ იმ მოკვდავისა – გლეხთან გლეხი. განსაკუთრებულად ჰყვარებია ქართული გლეხური სუფრა, გლეხის დარდით გაბოლილი ბუხარი, მეგრული სიტყვის ეშხი, ჩვენებური სალაღობო სიმღერები, კოლხური მიწის ოხშივარი...

ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა!..

ნოშრევანმა იცოდა მეგობრობისა და სიყვარულის ფასი, მისთვის უცხო იყო ღალატი, მჯიღისცემა, დასმენა, შური, მოძმეთგაცემა... მეგობრობდა ბევრ ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, რომელთა შორის გამოვყოფდით თანარაიონელებს – თამაზ ბაძაღუას, ბუთხუზ მანტუას, თენგო ახალაიას, რომლებმაც მასავით ნაადრევად, ტრაგიკულად დატოვეს წითისოფელი. დღესაც მოწიწებით იხსენებენ სოფელსა თუ უნივერსიტეტში ნიჭიერ, საქვეყნოდ ცნობილ, მეგობრისა და ვაჟკაცობის დამფასებელ ქართველ კაცს. ამ მრწამსით იცხოვრა. 1988 წლის 9 თებერვალს კი 34 წლის ასაკში განგებამ მოაცილა საწუთროს და იმიერში ზეკურთხეული სახელი არგუნა.

"სიტყვით ვერ გამომითქვამს ჩემი სიმძიმილი. დიდად ნიჭიერი, ყველასათვის საყვარელი, შესანიშნავი მომავლის მქონე ახალგაზრდა ვაჟი, დაუვიწყარი ნოშრევანი გამოგვეცალა ხელიდან. მეგონა ის აიღებდა ჩემს კუბოს, ბუნებამ კი სხვაგვარად, საზარლად იზრუნა მის ბედზე. განუზომელის ჩემი მწუხარება მომხიბლავი ნოშრევანისადმი, უახლესი მეცნიერების თაობის შესანიშნავი წარმომადგენლისადმი... როგორი ერთგული, პატიოსანი, ყოველმხრივ დამშვენებული უმცროსი მეგობარი დავკარგე!" – ასე გამოეთხოვა იმ ცრემლიან-ტკივილიან დღეს მას მწერალი აკაკი გაწერელია.

ამ დარდიანმა, თავმდაბალმა, მაღალი ზნეობის მატარებელმა ადამიანმა ისიც დაიმსახურა, რომ გარდაცვალებიდან ოცდაორი წლის შემდეგ მასზე ილაპარაკონ, როგორც ცოცხალ პიროვნებაზე.

...ის თავის ხალხში არასდროს მოკვდება. ლექსი, რომელიც მის საფლავს ამშვენებს, სამუდამოდ დარჩება ქართულ პოეზიაში:

არ აყვავდა ჩემი ვარდი,
არ შემოჯდა მაფშალია,
გულს ლოდივით მაწევს დარდი,
სულის წყარო დამშრალია.

დაბოლოს, მისი სიცოცხლე ამ ქვეყნად იყო, რაღაც – ღვთაებაზე ცოტა, რაღაც – სიცოცხლეზე მეტი.

P.S. *ახალი საქართველოს მშენებლობისათვის მნიშვნელოვანია ჯეროვნად დაფასდეს ღირსეული ადამიანების ღირსეულად განვლილი გზა. მომავალ წელს ქვედა ნაგვაზაოს სკოლა იმ ტაძართა რიცხვს შეუერთდება, რომელთაც გადააბიჯეს საუკუნეს. ვფიქრობ, რომ დროული და კარგი იქნება, თუ ყურად იღებენ ჩვენს, სოფლის მოსახლეობისა და სკოლის კურსდამთავრებულების თხოვნას და სკოლას* **ნოშრევან ჯიშკარიანის** *სახელს მიანიჭებენ.*

ბესიკ გვაზავა,
სტუდენტი, "თავისუფალი პრესის" ჟურნალისტი.

ზუგდიდში ზაზა გოროზიას ახლო გარემოცვის წევრები დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდის კინოთეატრ **"ატრიუმის"** გენერალური დირექტორი თემურ ჩიქოვანი, საკრებულოს ყოფილი წევრი, საფოსტო ბანკის ყოფილი მმართველი ირაკლი გოგოხია და **"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის"** ყოფილი თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას პირადი მძღოლის ძმა, ბიზნესმენი ბარამია დააკავეს.

დაკავებულები საწვავთან დაკავშირებით უკანონო გარიგების წარმოებაში არიან ეჭვმიტანილები. სამივე დაკავებული გუბერნატორ გოროზიას გარემოცვის წევრია, მათი ადვოკატი დაზმი შეროზია კი – დათა და ბაჩო ახალაიების. ზაზა გოროზია ამჟამად სამუშაო ვიზიტით იმყოფება ბრიუსელში და, როგორც აცხადებს, არავითარ ინფორმაციას არ ფლობს. ამ თემაზე კომენტარს არც სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსი თენგიზ გუნავა აკეთებს.

ჯანდაცვის ახალი მინისტრი სახელმწიფო რეკეტის ახალ კერას ქმნის

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის – ბატონ ანდრო ურუშაძის განცხადებით, 2011 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის აფთიაქებში წამლების უმეტესობა ექიმის დანიშნულების გარეშე აღარ გაიყიდება. შეზღუდვები არ შეეხება მხოლოდ სიცხის დამწევ და ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტებს, რომლებიც პირველადი მოხმარების კატეგორიას განეკუთვნებიან.

ამასთან, ექიმს ეკრძალება პაციენტისათვის მედიკამენტის გამოწერა რომელიმე ფარმაცევტული კომპანიის სასარგებლოდ, ასევე, მათ სარეკლამო რგოლში მონაწილეობა.

სრულიად საქართველოს მოსახლეობა უაღრესად აღშფოთებულია, განსაკუთრებით – პენსიონერები. დღეს ექიმთან პოლიკლინიკაში ვიზიტი 10 და მეტი ლარი ღირს, რომ აღარაფერი ვთქვათ სპეციალიზირებულ კლინიკებზე. მოსახლეობას კი ყოველ ჯერზე ამ თანხის გადახდის საშუალება არ გააჩნია. ექიმს რომ ვიზიტისას რეცეპტის გამოსაწერი ფული გადაუხადოს, შემდეგ წამალს ვეღარ შეიძენს. წარმოიშვა უამრავი შეკითხვა, რომლებზეც პასუხს თავს არიდებენ შესაბამისი სამსახურები. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე საკმაოდ აგრესიულად გვიპასუხეს, რომ ამ ინიციატივას ჯერ კანონის სახე არა აქვს და როცა მიეცემა, შემდეგ ყველა თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებთო. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურიდან კი რიხიანად გვითხრეს (თუმცა თავისი ვინაობა არ გაგვიმხილა), სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებისათვის ექიმისგან რეცეპტის მიღება სადაზღვევო პოლისის მომსახურებაში შევა. სხვებისთვის კი, რეცეპტის მიღება პოლიკლინიკებში ექიმთან ვიზიტის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, ანუ ფასიანი! ჯანდაცვის სამინისტროს **"მხედველობიდან გამორჩა"** ის **"უმნიშვნელო წვრილმანი"**, რომ საქართველოს დაძვალტყავებული მოსახლეობის ძირითად ნაწილს ექიმთან მისასვლელი სამგზავრო ფული და პოლისები არა აქვს!

საქინფორმი

ჰომეროსის პოლხური ოდისეა

(გაკეთებული არაფერია, ყველაფერი გასაკეთებელია)

ცივილიზაციას არ ახსოვს ხელოვანი, რომელსაც ჰომეროსზე დიდი ლიტერატურული ძეგლი აეგოს. მაგრამ ისტორიას უყვარს არაორდინალური ხუმრობა – დაბადოს ბრმა ან ყრუ გენიოსი, რომლებიც გვიტოვებენ განუმეორებელ მუსიკალურ და ლიტერატურულ ძეგლებს.

ისტორიამ ჰომეროსი ბრმა და დაუძლურებულ მოხუცად შემოგვინახა, თუმცა ათასწლეულებს გადასწვდა მისი ომახიანი ხმა და დღესაც უამრავ საიდუმლოებას შეიცავენ მის მიერ მარმარილოში ნატიფად გამოკვეთილი გმირები...

"ტალანტურია ადამიანი, რომელიც ახვედრებს იმ სამიზნეს, რომელსაც ვერ ახვედრებენ სხვები, გენიალურია ადამიანი, რომელიც ახვედრებს იმ სამიზნეს, რომელსაც ვერ ხედავენ სხვები!" – ამბობდა ლაროშფუკო.

ჰომეროსის ნაწარმოებები ლეგენდად იყო მიჩნეული მანამ, ვიდრე თვითნასწავლმა გერმანელმა არქეოლოგმა, გენიალური შამპოლიონის საქმის დირსეულმა გამგრძელებელმა, ასევე ჭეშმარიტად გენიალურმა მკვლევარმა ჰენრიხ შლიმანმა ერაყში არ გათხარა ჰისარლიყის მთა, სადაც გადმოცემის თანახმად ისტორიამდელი ციხე-ქალაქი ტროა მდებარეობდა. სწორედ ამ გათხრებმა გააცოცხლეს მანამდე ლეგენდად მიჩნეული რეალური პიროვნებები – ბერძენთა მეფე აგამემნონი, ტროას მეფე პრიამოსი, უფლისწულები ჰექტორი და პარისი, ორ უდიდეს კულტურას შორის განხეთქილების მიზეზად ქცეული პირმშვენიერი ელენე, დევგმირი აქილევსი...

და თუ ჰომეროსის **"ილიადა"** რეალურ ფაქტებზე აგებული ნაწარმოებია, რატომ არ იქნება ასევე რეალურ ფაქტებზე აგებული მისი ასევე გენიალური ქმნილება **"ოდისეა"**?

ჯერ კიდევ 26 საუკუნის წინათ, მსოფლიოს ისტორიის მამად აღიარებული ჰეროდოტე წერდა, რომ ოდესღაც კოლხებს დამწერლობა ჰქონიათო. ისეთი ზუსტი და პედანტი ისტორიკოსი, როგორიცაა ჰეროდოტე, რომელიც კონკრეტულად ათარიღებდა ყოველ ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს, არასოდეს გამოიყენებდა გაურკვევლობის მიმანიშნებელ სიტყვას **"ოდესღაც"**, მას რომ კოლხური დამწერლობის აღზევებასა და გაქრობათან დაკავშირებულ თარიღებზე თუნდაც რაიმე ინფორმაცია არ ჰქონოდა.

ჰომეროსის ინტერესი ამ იდუმალებით მოსილი მხარისადმი მეტყველებს იმაზე, რომ კოლხური დამწერლობა და ცივილიზაცია მკვდარი იყო უკვე მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული რომაული ცივილიზაცია და ის-ის იყო იქმნებოდა ელინური ცივილიზაცია.

სწორედ ამიტომ **"გამოუშვა"** ჰომეროსმა ითაკას მეფე იასონი კოლხეთში იმ **"ოქროს საწმისის"** დასაუფლებლად, რომელიც დღესაც მეცნიერ-ისტორიკოსთა თავსატეხად არის ქცეული – იყო ეს მართლა ცხვრის ტყავი, თუ ისტორიული კატაკლიზმების გამო გაქრობის პირამდე მისული ცივილიზაცია, რომელსაც სხვა ქვეყანაში გადატანა და აღორძინება სჭირდებოდა. ამხელა ხელმოსაჭიდი სხვა ერებს, თუნდაც იგივე სომხებს რომ ჰქონდეთ, ხომ წარმოგიდგენიათ როგორ იზრუნებდნენ ამ ფაქტის მთელ მსოფლიოში გასაჟღერებლად. ჩვენ კი გვაქვს და კარის მეხოტბედ ქცეული ლომოურების, ლორთქიფანიძეების, მასხარაშვილებისა და სხვა ვაი-ისტორიკოსების გამოისობით ვერაფერში გამოგვიყენებია!

ამიტომ, მე მრცხვენია, ჩვენი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მაგიერ. ისე ვჩქმალავთ ამ ისტორიულ მოვლენას, რომ თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მაგრამ **"კოლხთმოძულეობის"** უკურნებელი სენით დაავადებულ ჩვეს მეცნიერებს რომ ვაკვირდები, სულაც არ მაკვირვებს მათი სიყრუე და სიბრმავე **"ბრმა"** და **"უძლური"** ჰომეროსის ნაწარმოებისადმი. როგორ შეიძლება რეალობის განცდა არ დაგეუფლოს ჰომეროსის მიერ კოლხეთში გამოგზავნილი გმირებისადმი, მაშინ, როცა შლიმანმა გააცოცხლა **"ილიადის"** გმირები და კონკრეტული ადგილი მიუჩინა მათ კაცობრიობის ისტორიაში. მით უმეტეს, რომ როგორც ჰომეროსის, ასევე სხვა ისტორიამდელ ავტორთა ნაწარმოებებში ხშირად გაკრთება ხოლმე ქართული სიტყვა.

ზოგჯერ ამ სიტყვათა მსგავსება მეცნიერთა გაოგნების მიზეზი ხდება ხოლმე. მაგალითისათვის ავიღოთ ხმელთაშუაზღვეთის ავტოხტონების ეტრუსკების რიცხვითი სახელები. ცნობილია 6 რიცხვითი სახელი, რომელთა დაწერილობა აღმოაჩინეს სათამაშო ქვებზე – კამათლებზე. წახნაგებზე წერტილების ნაცვლად იყო სიტყვები. სწორედ ეს სიტყვები აღნიშნავდნენ ციფრებს ერთიდან ექვსამდე. **"ცალ", "კი", "სა"** (ანუ **"შა"**), **"თუ", "ჰუთ", "მახ"**. აი, აქ გამოკრთებიან ქართული სიტყვები **"ცალი"** (ერთი), **"სამი", "ხუთი"**.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, განა ვანის ნაქალაქარის გათხრებისას ნაპოვნი უნიკალური ოქროს ნივთები არ აღძრავენ იმის ეჭვს, რომ იგი უძველესი ცივილიზაციის აკვანი იყო და სწორედ აქ შეიძლებოდა ჩაეშვა ღუზა **"არგოს"**, რომელმაც კოლხეთის იდუმალ სამყაროში ჩამოიყვანა იასონი და მისი თანამგზავრები.

როგორც ცნობილი ქართველი მწერალი რომან მიმინოშვილი აღნიშნავდა, **"უკანასკნელ დროის გამოკვლევათა მიხედვით ჩანს, რომ ჰომეროსის პოემების როგორც ცალკეული დეტალები, ეპიზოდები თუ გმირთა სიტყვები, ისე სიმღერები (ქებანი), სიმღერათა ჯგუფები და მთლიანად მთელი პოემები გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება"**. მართლაც, ეს არის წრიული კომპოზიციის პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბებულია სახვით ხელოვნებაში გაბატონებული გეომეტრიული სტილის შესაბამისად.

ქართველი პროფესორის გია კვაშილავას მიერ **"ფესტოსის დისკოს"** გაშიფვრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კოლხურ ცივილიზაციაზე დაფუძვნებული კრეტა-მიკენის ცივილიზაციის შემდგომ საბერძნეთის ხელოვნებაში განვითარდა გეომეტრიული სტილი, რომელიც ემყარებოდა დეტალებისა და თემა-მოტივების ურთიერთშეთანხმებას (კოორდინაციას) და მკაცრ ურთიერთდამოკიდებულებას (სუბორდინაციას). სწორედ **"ფესტოსის დისკოთი"** მტკიცდება, რომ გეომეტრიული ხელოვნების სრულყოფილება წრიული კომპოზიციის საშუალებით მიიღწეოდა, რომლის დროსაც ორნამენტები და მოტივები განლაგებულნი არიან ცენტრთან და ერთმანეთთან დაკავშირებით სიმეტრიულად. ეს კოლხური ფორმა სისხლხორცეულად ჰქონდა შთვისებული ყოველ ბერძენ ხელოვანს და, როგორც მეცნიერებმა გაარკვიეს, ტროას ომის უზარმაზარ პანორამასაც თავისი დროის ყველაზე დიდი ხელოვანი ჰომეროსიც ასევე ხედავდა. მსოფლიო მეცნიერებამ **"ფესტოსის დისკოს"** კოლხურ (მეგრულ) ენაზე გაშიფვრა გიგანტურ ისტორიულ ნაბიჯად მიიჩნია, განსხვავებით ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსისა და გაზეთისა, რომელთაც ლამის თაღლითად შერაცხეს ავტორიტეტულ მეცნიერთა მიერ გენიალურ მკვლევარად აღიარებული ქართველი პროფესორი (მათემატიკოსი!) ბატონი გია კვაშილავა. მან **"ფესტოსის დისკო"** გაშიფრა მაშინ, როცა ცნობილმა ენათმეცნიერმა აიზენბერგმა საჯაროდ განაცხადა: **"ასი წელი ვერ ხერხდება ამ დისკოს გაშიფვრა, და ვინაიდან მის კვლევით სამუშაოებზე თანხების ხარჯვა უაზრობად მიგვაჩნია, ეს პრობლემა დახურულად უნდა გამოვაცხადოთო"...**

მაგრამ, დავუბრუნდეთ კვლავ ჰომეროსის თემას – მიუხედავად საქართველოში არსებული აჭრილი დამოკიდებულებისა, მსოფლიოს ავტორიტეტულ მეცნიერთა მიერ **"ილიადას"** კომპოზიციური ცენტრი მაღალ დონეზეა შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით **"ოდისეაზე"**.

მსოფლიო დონის მეცნიერთა მიერ გამოთქმულია მრავალი ვარაუდი, რასაც ანტიკური ტრადიციაც უჭერს მხარს, წინაბერძნული და იბერიულ-კავკასიური ტომების, მათი კულტურების ნათესაობის შესახებ. მათ ძირითად მეცნიერულ საყრდენს სწორედ არგონავტების მოგზაურობა და ამირან-პრომეთეს მითის იგივეობა წარმოადგენს. უაღრესად საინტერესოა ცნობები, რომელიც **"ილიადაშია"** განთავსებული და გარკვეული ინფორმაციის მომცველია წინაბერძნული, ესე იგი, პელაზგური მოსახლეობის შესახებ. სწორედ მათი წარმომავლობის გამოკვლევა უნდა იქცეს ქართველ მეცნიერთა შემოქმედებით ორიენტირად, რაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ იძვრის მკვდარი წერტილიდან. დღეს მხოლოდ აკადემიკოსი ისტორიკოსი ბატონი კლიმენტი შელია და კიდევ რამდენიმე პროფესიონალი ისტორიკოსი თუ მუშაობს ამ მიმართულებით, დანარჩენები კი ამ საშვილისშვილო საქმის მოყვარული ინჟინრები და სხვა ტექნიკური დარგების წარმომადგენლები არიან, თუმცა, ვის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ ისინი პროფესიონალ ისტორიკოსებზე ნაკლებად პროდუქტიულები არიან.

არადა, დიდი თავსატეხი და გამოსაძიებელი არაფერია იქ, სადაც ყველაფერი ლამის ხელისგულზე დევს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პელაზგების თაობაზე ჰეროდოტეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს აქვს მოყვანილი თავის დიდებულ ნაშრომში **"ბერძნული ლიტერატურის ისტორია"**: **"თუ რა ენას ლაპარაკობდნენ პელაზგები, დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ. თუ შეიძლება ვიმსჯელოთ იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ ტირსენიის ქალაქ კრესტონში და რომლებიც ოდესღაც იმათი მეზობლები იყვნენ, ვისაც ჩვენ დღეს დორიელებს ვუწოდებთ, და მაშინ ცხოვრობდნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც ამჟამად თესალიოტი ჰქვია; თუ შეიძლება ვიმსჯელოთ აგრეთვე იმ პელაზგების მიხედვით, რომელნიც ჰელესპონტში დასახლდნენ პლაკიასა და სკილაკებში და რომელნიც ათენელებს შეუერთდნენ (და რაც პელაზგური ქალაქები იყო, ყველამ შეიცვალა სახელი), – თუ შეიძლება ამის მიხედვით ვიმსჯელოთ, პელაზგები ბარბაროსულ ენაზე ლაპარაკობდნენ."**

განა ამ სიტყვებით არ დასტურდება, რომ ჰეროდოტეს დრომდეც საბერძნეთში ცხოვრობდა ხალხი, რომლებიც საკუთარ თავს პელაზგებად მოიხსენიებდნენ, ბერძნები კი მიიჩნევდნენ, რომ ისინი ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ, ე.ი. არაბერძნულ ენაზე.

ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში მსოფლიოში **"ბარბაროსთაგან"** დაწინაურებული გახლდათ მხოლოდ კოლხური ფენომენი (რასაც, თუნდაც ამ ქვეყნისადმი ჰომეროსის დაუოკებელი ინტერესიც ადასტურებს) და რატომ უნდა გამოირიცხოს ის ვერსია, რომ ჰეროდოტეს მიერ წარმოდგენილი პელაზგები სწორედ კოლხური ცივილიზაციის ფესვებზე იდგნენ.

ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ არაფერი გვაქვს წესიერი და საქართველოს გულშემატკივარი სომხების საწინააღმდეგო. ჩვენ მხოლოდ იმ გაქართველებულ სომეხ ისტორიკოს ლომოურებს და საქართველოს სომხური ხელისუფლების მაამებელ ისტორიკოს ვაიქართველ მასხარაშვილებს ვებრძვით, რომლებიც სიკვდილის შიშით ერიდებიან ჰეროდოტეს თემასთან გაკარებას. გასაკვირი ამაში არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰეროდოტეს არც თავის რუქებში და არც თავის ტექსტებში არსად აქვს ნახსენები სომხეთი, როგორც ამიერკავკასიაში მდებარე სახელმწიფო, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ჰეროდოტეს დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-V საუკუნეში) კავკასიაში სომხეთი, როგორც სახელმწიფო, საერთოდ არ არსებობდა და იგი მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ხოლო, რაც შეეხება კოლხეთს, მას უკვე ჰეროდოტეს დროს მიიჩნევდნენ მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად, რომელიც გარკვეული კატაკლიზმების შედეგად გაქრობის პირად იყო მისული.

ამასვე ადასტურებს სულმნათი ივანე ჯავახიშვილი თავის დიდებულ ნაწარმოებში **"ქართველ ერის ისტორია"**. ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. ამ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **"თვით ცნობილი ენათმეცნიერი ო. შრადერი ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს. ევროპიული ბრინჯაოს სახელი Bronze წარმომდგარია სპარსული "ბირინჯ"-ისაგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართულ ენა-კილოკავების საზოგადო სახელისაგან სპილენძი, სვანურად – სპილენძ, მეგრულად – ლინჯ, სომხურად – პლინძ, რაც უდრის "სპილ-ენძ"-ს სპირ ენძს, და სპერის, ანუ ისპირის მადანსა ნიშნავს. (ეს ახსნა ნიკო მარს ეკუთვნის).**

ბერძნების მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათო. თვით ელადაში ხომ სპილენძი ცოტა იყო და უფრო აზიიდან შემოტანილ მადნით მიდიოდნენ იოლას. თითბირის სახელებიკი ზოგიერთ ევროპიულ ენებში – მაგალითად გერმანულად messing, ანგლოსაქსურად masting, ძველნორმანულად messing, პოლონურად mosiandz ჰქვიან, – მოსსკნე, ანუ მოსსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსსინიკები იყვნენ თითბირის ხელობაში განთქმული. ამ მადნის მეორე სახელიც "თითბერი" ნამდვილი ქართულია და ნიშნავს "თუთ-ფერი", ე.ი. მთვარის (მეგრ. თუთა, ქართულად თთუც) ფერის მადანს.

რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველ ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნულ სახელიდანა სჩანს: "ხალიფს, ხალიბდიკოს" ხალიბების ტომის სახელწოდებიდან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც ხალიბების გაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო.

ერთი სიტყვით უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველ ტომებისაგან არის შთვისებული, ან არა და მათ სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადადა მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით."

სამწუხაროა, რომ ის, რაც აინტერესებდა დიდ ივანე ჯავახიშვილს, სრულიადაც არ აინტერესებს არც საქართველოს ხელისუფლებას და არც მას მიტმასნილ ისტორიკოსებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვანის ნაქალაქარი დიდ საიდუმლოებას ინახავს და აქ საჭიროა მასშტაბური მეცნიერული კვლევების წარმოება, რომლის ხარჯი სახელმწიფომ უნდა გამოჰყოს და ეს საშვილისშვილო საქმე არ შეიძლება დამოკიდებული გახდეს მხოლოდ ქველმოქმედებასა და ბიზნესმენთა მიერ საიდუმლოდ გაღებულ მოწყალებებზე, რადგან საქართველოს სომხური ხელისუფლება არავის აპატიებს მისი სურვილის საწინააღმდეგო კომპანიის დაფინანსებას და პრობლემას შეუქმნის ნებისმიერ მეცენატს.

მე არ გახლავართ ენათმეცნიერი და კვლევით საკითხებში ამაზე შორს ვერ წავალ, მაგრამ შევეცადე გადმომეცა არა მხოლოდ ჩემი გულისტკივილი იმის გამო, რომ დღემდე მიჩქმალული რჩება კოლხეთის უმდიდრესი ისტორიული ფესვები, რაც მსოფლიოს მრავალ ავტორიტეტულ მეცნიერთა მტკიცებით წარმოადგენს კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანს.

არიან ხალხები, რომელთაც დიდი და საინტერესო ისტორია არ გააჩნიათ, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ თავიანთი წარსულის შესალამაზებლად. ჩვენ კი პირიქით ვიქცევით – ზურგშექცევით ვდგავართ იმ სინამდვილესთან, რაც მსოფლიო ისტორიის საამაყო ფურცელს წარმოადგენს!

ეს არ გახლავთ მხოლოდ მეცნიერული გულგრილობა და კოლხეთის მდიდარი წარსულის ანგარებიანი უგულვებელყოფა.

ეს დიდი ეროვნული დანაშაულია, რომელსაც არასოდეს გვაპატიებს მომავალი თაობა!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისის"
აკადემიის წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

თავი მესამე

ქართველების ეროვნული წარმართობა

ვიდრე 1901 წელს პროფესორ ნიკო მარრის გამოკვლევა **"Боги языческой Грузии по древнегрузинскимъ источникамъ" (З. В. О. Арх. Общ. წიგნი XVI)** არ დაიბეჭდებოდა, ჩვენის წარსულის მკვლევარნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ **"ქართლის ცხოვრება"**-ში კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართობის შესახებ ჭეშმარიტი ცნობებია შენახული: არმაზი, ზადენი, გა, გაცი, აინინა და ითრუჯანი — ქართველ ხალხის ღვთაებებად ითვლებოდნენ. მაგრამ ნ. მარრმა დაამტკიცა, რომ ქართულ საისტორიო წყაროების ცნობები ეროვნულ კერპთაყვანისმცემლობის გამომხატველი არ არის და არაბების ბატონობის დროინდელ რომელიღაც ქართველ სასულიერო მწერლის მიერ შეთხზული უნდა იყოს. ნ. მარრზე წინადაც პროფესორმა მაქსიმე კავალევსკიმ თავის საყურადღებო გამოკვლევაში **"Закон и обычай на Кавказъ"** ჩვენი ხალხის მრავალი ზნე-ჩვეულებანი და სარწმუნოებრივი თქმულებები განიხილა და სპარსულ მაზდეიანობის, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის მოძღვრების ნაშთად აღიარა. ამ უკანასკნელ დროს დასასრულ ბ.კ. ინოსტრანცევმა დაამტკიცა, რომ ახალწლის დღესასწაულის ზოგიერთი თანამედროვე ჩვეულება იმავ სარწმუნოებრივ მოძღვრების გავლენის ნაშთს წარმოადგენს **(იხ. Древнейшия арабския известия о праздновании Науруза въ сасанидской Персии, З. В. О. Арх. Общ. წიგნი XVI)**. სხვა მკვლევარებს ახალი არაფერი არ უთქვამთ, პირიქით იმათაც-კი, რაც უკვე გამორკვეული იყო, ვერ ისარგებლეს მათ (იხ. ამის შესახებ ჩემი ბიბლიოგრაფია საქართველოს შესახებ **"Визант. Время."** 1904 წ. წიგნი XI, №3 და №4). ამგვარად ნ. მარრის, მ. კოვალევსკისა და კ. ინოსტრანცევის გამოკვლევამ ძველი წარმოდგენა ქართველი ხალხის წარმართობისა და კერპთაყვანისმცემლობის შესახებ ძირიანად შეარყია. თუმცა კვლევის ასპარეზი მოსუფთავდა, მაგრამ ამასთანავე ძირითადი საკითხი ქართველ ხალხის წარმართობის შესახებ გამოურკვეველი დარჩა. ის რაც წინად გვწამდა დარღვეულია, ახალი ცნობები კი არ მოიპოვება. ერთ დროს თითქმის იმედი დაკარგული მქონდა, რომ ეს საყურადღებო საგანი ახლო მომავალში, ვიდრე ახალი წყაროები აღმოჩნდებოდა, გამორკვეულიყო. მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენ აწინდელ თქმულებებსა და ზნე-ჩვეულებებსაც-კი წარმართობის საყურადღებო ნაშთი აქვთ შერჩენილი. გამოსაკვლევი საგანი რომ უფრო გაადვილებულიყო და მარტივი გამხდარიყო, უნდა თავდაპირველად გამომერკვია, თუ როგორდ იხატება ჩვენი ხალხის აზროვნობაში უზენაესი ღვთაება. ამ საკითხის შესწავლა, რასაკვირველია, ზდაპრებისა და სხვა თქმულებების განხილვის საშუალებით შეიძლებოდა. ჩვენი თემისთვის ფრიად საყურადღებოა ერთი ს. ბარალეთის მიერ ჩაწერილი თქმულება **"იესო ქრისტესი, ელია წინასწარმეტყველისა და წმინდა გიორგის"** შესახებ. სამწუხაროდ, თქმულება ქართულად არ არის დაბეჭდილი, მხოლოდ რუსული თარგმანია მოყვანილი. **"ერთხელ იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი ერთად გზად მიდიოდნენ. ბევრი რომ გაიარეს, მოიღალნენ და ერთ ადგილას დასასვენებლად და პურის საჭმელად დასხდნენ. იქვე მგზავრების მახლობლად ერთი მეცხვარე ცხვრის ფარას აძოვებდა. მიუგზავნეს ელია მეცხვარეს, სადილად ერთი ბატკანი მოგვეციო. მივიდა ელია მეცხვარესთან და უთხრა: "გულკეთილო მეცხვარე, ერთი ბატკანი მაჩუქე"**-ო.

"თუნდაც ნახევარი ფარა მიირთვი, ოღონდ-კი მითხარ, ვინა ხარო" უპასუხა მეცხვარემ. **"მე ელია წინასწარმეტყველი ვარო. პურის მოსავალს გაძლევთ, თქვენ ყანას წვიმას ვუგზავნი ხოლმე და გლეხკაცის ჭირნახულს მფარველობას ვუწევო"**, უთხრა ელიამ.

— ვაჰმე! ჩემი ღმერთისა არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს გაგიტეხამდიო! — უპასუხა მეცხვარემ.

— რათა, რაზე ხარ ჩემზე გულმოსულიო, — ჰკითხა ელიამ.

— რაზედა და: დასთესავს პურს ერთ დღიურ მიწას საწყალი ქვრივ-ოხერი ან ვინმე ღარიბ-ღატაკი, შენ მისდგები, არც აცივებ, არც აცხელებ, და იმ ყანას სულ ჩაულეწავო.

დაბრუნდა ელია წინასწარმეტყველი ხელცარიელი თავის ამხანაგებთან და უამბი ყველაფერი, რაც მეცხვარემ უთხრა. ახლა თვითონ იესო ქრისტე წავიდა მეცხვარესთან და ბატკანი სთხოვა.

— თუნდაც ნახევარი ფარა ინებე, ოღონდ-კი მითხარ ვინა ხარო, — უთხრა მეცხვარემ.

— მე შენი უფალი ვარ, ქვეყნის შემოქმედიო.

— ვაჰმე,— მიუგო მეცხვარემ, ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს თავს გაგიტეხამდიო.

— ისეთი რა დაგიშავე მერე? — ჰკითხა იესო ქრისტემ მეცხვარეს.

— რა და ის, რომ ჭაბუკს წუთისოფელს გამოასალმებ-ხოლმე, ბევრ ისეთ მოხუცებულ ადამიანს-კი, რომელსაც ცხოვრება მოჰბეზრებია, ცოცხალს ატარებ ხოლმე დედამიწის ზურგზედაო, მიუგო მეცხვარემ.

ასე დაბრუნდა იესო ქრისტეც ცარიელტარიელი. ახლა ადგა და წმინდა გიორგი მივიდა მეცხვარესთან. მეცხვარე რომ შეეკითხა წმინდა გიორგის, ვინა ხარო, უპასუხა:

— მე წმინდა გიორგი ვარ, გაჭირვების დროს რომ შემეხვეწებით ხოლმეო. მე გიფარავთ ავ-სულებისა და ეშმაკებისაგან და თქვენის მტანჯველის ხელისგან გიხსნით ხოლმეო.

მეცხვარემ რომ წმინდა გიორგის სიტყვები მოისმინა, შესძახა:

"მთელი ფარა მომირთმევიაო" და მის წინ მუხლი მოიყარა. პურის ჭამას რომ მორჩნენ, იესო ქრისტემ კალთა დაიბერტყა და სთქვა: **"ამ მინდორზე საუკეთესო მოსავალი მოვიდეს: თითო ძნას ასი კოდი გამოსავალი ჰქონდესო".**

წმინდა გიორგიმ იესო ქრისტეს ნათქვამი მეცხვარეს უამბო და ურჩია მინდორი მოხანიო. მეცხვარეც ასე მოიქცა. რამდენმა ხანმა გაიარა და ამ საკვირველმა მგზავრებმა შემთხვევით იმ ადგილზე გამოიარეს საცა ერთ დროს ისადილეს და სადაც ეხლა ხშირი ყანა იდგა. როცა წმინდა გიორგიმ იესო ქრისტეს შეატყობინა, რომ ეს ყანა სწორედ იმ მეცხვარეს ეკუთვნოდა, რომელმაც მას ერთხელ ბატკანი დაუჭირა, ელია წინასწარმეტყველს უთხრა, ერთი ამ მეცხვარის ყანას სეტყვა აწვიე და ჩაულეწეო. წმინდა გიორგიმ მაშინვე მეცხვარეს შეატყობინა და გააფრთხილა, შენს ყანას განსაცდელი მოელისო. მეცხვარემ საჩქაროდ თავის ყანა ორ ხარის ფასად ერთ ქვრივ დედაკაცს მიჰყიდა. მოვიდა სეტყვა და ისე მირეგვ-მორეგვა ეს ქვრივის ყანა, რომ ნათესის ნაალაგევიც-კი აღარსად ჩანდა. როცა იესო ქრისტემ მეცხვარის ოინები შეიტყო, მაშინვე ელია წინასწარმეტყველს უბრძანა ქვრივის ყანა წინანდებურად აღადგინეო. ელია წინასწარმეტყველს ქრისტეს ბრძანება ჯერ არ აესრულებინა, რომ მეცხვარემ წმინდა გიორგის ჩაგონებით ქვრივ დედაკაცისგან ყანა შეისყიდა; ელიამ რომ წინანდებური მოსავალი აღადგინა, მეცხვარემ პურის მკას მიჰყო ხელი და თითო ძნისაგან ასასი კოდი გამოსავალი აიღო.

ეს თქმულება ფრიად საყურადღებოა, იმიტომ, რომ იქ მოქმედობს და ერთი ერთმანეთს ეჯიბრება სამი წმინდა არსება: ერთი იესო ქრისტედ არის დასახელებული, მაგრამ რაკი იგი თვით თავის თავს შემოქმედს ეძახის, იმიტომ, ამ შემთხვევაში, იესო ქრისტეს მაგიერ **ღმერთი შემოქმედი** უნდა ვიგულისხმოთ, მის ხელშია ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე; მეორე პირი ელია წინასწარმეტყველია, რომელიც, როგორც თქმულებიდანა სჩანს, ტაროსის და ავდრის, წვიმა-სეტყვის მბრძანებელია; მესამე — წმინდა გიორგი არის; იგი, როგორც თქმულებიდანა სჩანს, ადამიანის მფარველია, მეტადრე გაჭირვების დროს, და კაცს ყოველგვარ ბოროტებისა და უბედურებისაგან იხსნის ხოლმე.

თუმცა, ჩვეულებრივ საქრისტიანო მოძღვრების მიხედვით ამ სამ პირთა შორის ყველაზე მაღლა ღმერთი შემოქმედი უნდა იდგეს, მერე ელია წინასწარმეტყველი, შემდეგ კიდევ წმინდა გიორგი, მაგრამ ამ ხალხურ თქმულებაში უფროს-უმცროსობა სულ სხვანაირად არის დასურათებული; ღმერთი შემოქმედი ისეთ შესაბრალის მდგომარეობაშია, რომ მეცხვარისაგან ერთი ბატკანიც-კი ვერ მიუღია სადილად; პირიქით იგი ემუქრება კიდეც ღმერთს: **"ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს გაგიტეხავდიო".** ცხადია, მთავარ ღვთაებას მეცხვარე ასეთ თავხედობას ვერ გაუბედავდა; ხოლო მისივე ნათქვამი — **"ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს"** — უფრო ცხადად გვიჩვენებს, რომ მეცხვარეს იმ ღმერთისა, **ქვეყნის შემოქმედისა**, არ ეშინია, იმიტომ, რომ იგი **"მისი ღმერთი"** არ არის. **მეცხვარეს ღმერთი** სულ სხვა ღვთაებაა. ღმერთი შემოქმედი შურის მაძიებელია და მეცხვარეს დასჯას უპირებს. მაგრამ ამასთანავე არ იცის რა ხდება ქვეყანაზე, ისიც კი ვერ გაუგია, რომ წმინდა გიორგიმ ორჯერვე მისი განზრახვა გასცა და მეცხვარემ პირველად თავისი ყანა ქვრივ დედაკაცს მიჰყიდა და ამით ღვთის რისხვა თითონ თავიდან აიცდინა და ღმერთმა და ელიამ უცოდინარობით მეცხვარის მაგიერ ქვრივი დასაჯეს, ხოლო მეორედ მეცხვარემ ღვთის წყალობა, რომელიც ღმერთმა ქვრივს უბოძა, ყანის ყიდვით თავის თავს მოუხვეჭა. ერთი სიტყვით თქმულებაში ღმერთი უძლურ არსებად არის გამოხატული: მას არ შეუძლიან წმინდა გიორგის მეცხვარის ქომაგობა დაუშალოს, საიდუმლოების გამომჟღავნების აკრძალვა კი ვერ მოუხერხებია და ისიც-კი არ იცის, თუ რა ხდება ქვეყანიერობაზე, ან როგორ და რას ახერხებენ ადამიანები მის სასჯელის თავიდან აცდენად. ამ გვარად ჩვენა ვხედავთ, რომ ამ თქმულების ღმერთს ქრისტიანობის მოძღვრების ძლიერ, ერთ-არსება, ყოვლის-მცოდნე და ყოვლისმხილველ შემოქმედ ღმერთთან არაფერი აქვს საერთო. არც ელია წინასწარმეტყველმა მიიღო თავაზიანი პასუხი მეცხვარისგან: ბატკანს ვიღა სჩივის, მეცხვარე პირიქით იმასაც დაემუქრა **"ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, თავს გაგიტეხავდიო".** მაგრამ თქმულებიდან ცხადადა სჩანს, რომ ელია მაინც შემოქმედზე დაბლა სდგას, იგი მას ექვემდებარება და მის ბრძანებას ასრულებს.

ამ თქმულებაში უმთავრესი მნიშვნელობა და ძალა წმინდა გიორგისა აქვს: მხოლოდ იმის წინ იყრის მუხლს ის თავხედი მეცხვარე, რომელიც შემოქმედსა და ელია წინასწარმეტყველს თავის გატეხვას უქადდა. მხოლოს მას შესთავაზა ერთი ბატკნის მაგიერ მთელი ცხვრის ფარა. წმინდა გიორგის სურვილს ვერც შემოქმედი, ვერც ილია წინ ვერ აღუდგებოდენ: რა განსაცდელი და რისხვაც არ უნდა მოელოდეს შემოქმედისა და ელიასგან მის თაყვანისმცემელს, იგი ყოველთვის იხსნის სასჯელისაგან; სხვისთვის (ქვრივისთვის) ნაბოძებ წყალობასაც კი იგი მეცხვარეს არგუნებს ხოლმე, და ღმერთსა და ელია წინასწარმეტყველს თავხედ, მათ შეურაცხმყოფელ, მეცხვარის დასჯაც კი ვერ მოუხერხებიათ. ერთი სიტყვით წმინდა გიორგი ღმერთს შემოქმედსა და ელია წინასწარმეტყველს ყველაფერში სჯობნის, იგი ყველაზე ძლიერია.

რით აიხსნება ეს უცნაური გარემოება? ვიდრე ამ მოვლენის ძირითად და არსებით მიზეზების გამორკვევას შევუდგებოდეთ, თავდაპირველად უნდა ამ მიზეზის კვალი თვით თქმულების შინაარსში ვეძიოთ. როცა ილიამ და შემოქმედმა თავიანთი ვინაობა გამოამჟღავნეს, მეცხვარემ ორივეს ერთნაირი, საკვირველი პასუხი მისცა: **"ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით გაგიტეხავდით თავსაო".** ამ შესანიშნავ წინადადებიდან ცხადადა სჩანს, რომ მეცხვარეს **შემოქმედი და ელია თავის ღმერთად არ მიაჩნია, რომ მეცხვარეს სხვა ღმერთი ჰყავს, რომლის ძლიერებაც უფრო მეტადა სწამს, ვიდრე მათი;** ეს მეცხვარეს ღმერთი შემოქმედისა და ელია წინასწარმეტყველი მტერი არ უნდა იყოს: მეცხვარეს რომ მათთვის თავი გაეტეხა, მისი ღმერთი ამ საქციელს არ მოუწონებდა, სასტიკად დასჯიდა. საყურადღებოა, რომ სწორედ იმ დროს, როცა მეცხვარე ასე უდიერად ეპყრობა შემოქმედსა და ელია წინასწარმეტყველს, მათთვის ერთი ბატკანიც ეშურება, იმავე დროს საკმაო იყო მეცხვარეს გაეგო, რომ მის წინაშე წმინდა გიორგი იდგა, რომ მაშინვე მოწიწებით პირქვე დაცემულიყო და მუხლი მოეყარა და ერთი ბატკნის მაგიერ ცხვრის მთელი ფარა ეძღვნა!.. ამ გვარი თაყვანის ცემა ამტკიცებს, რომ სწორედ წმინდა გიორგი უნდა იყოს მეცხვარის ის ღმერთი, რომლის ხათრის გულისთვისაც შემოქმედსა და ელიას ბატკნის მაგიერ კოომბალი არ უთავაზა, რომ წმინდა გიორგი არის ის ძლიერი ღმერთი, რომლისაც მას ეშინიან, განსაკუთრებით პატივსა სცემს და სხვას თუ ნახევარ ფარას მისცემდა, მას მთელ თავის ქონებას, მთელ ცხვრის ფარას შესწირავდა.

ამ გვარად, თქმულების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ღვთაებაში უმთავრესი ადგილი წმინდა გიორგის უკავია; იგი შემოქმედ ღმერთზედაც, ელია წინასწარმეტყველზედაც გაცილებით უფრო ძლიერი და ხერხიანია, კეთილი, ადამიანის მუდმივი მფარველი და ყოველნაირ ბოროტებისა და განსაცდელისგან მხსნელი.

მეორე ადგილი შემოქმედ ღმერთს უკავია: იგი სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელია, შურის მაძიებელი, მაგრამ წმინდა გიორგისთან შედარებით უძლური; იგი არც ყოვლის-მცოდნეა და არც ყველაფრის-მხილველი, მან ხეირიანად არც იცის ქვეყნიერებაზე რა ხდება, ან როგორ ამჟღავნებს მის საიდუმლოებას წმინდა გიორგი.

მესამე ადგილი ელიას უკავია; წვიმა-სეტყვისა, მეხისა, ტაროსისა და ავდრის ბატონი, იგი შემოქმედს ექვემდებარება და მის სურვილს ასრულებს ხოლმე.

ასეთ დასკვნას უნდა დავადგეთ ზემომოყვანილ საყურადღებო თქმულების განხილვის შემდეგ. მაგრამ ერთ ქართლურ თქმულების შესწავლა სრულებით საკმარისი არ არის, რომ აღნიშნულ დასკვნას წმინდა გიორგის, შემოქმედისა და ელიას შედარებით უფროს-უმცროსობისა და უფლებათა შესახებ ქართველ ხალხის საერთო რწმენად აღვიაროთ. ამისთვის, რასაკვირველია, საჭიროა, რომ საქართველოს დანარჩენ კუთხეების თქმულებითაც მტკიცდებოდეს ზემომოყვანილი დასკვნა თვითოეულ სამ ღვთაების შესახებ.

ასეთივე უძლური და უსახსროა ღმერთი შემოქმედი ქართლურ და სვანურ თქმულებებშიც: ღმერთი იქ ხამი ადამიანსავით იქცევა, წყალში ჩავარდება — სიცივისაგან არ იცის რა ქნას, წყალში სძირავს და ანგელოზები რომ არ მიეშველნენ, დაიხრჩობოდა წყალშიც. დადის და არ იცის ხოლმე რა განსაცდელი მოელის მას: მიჰყვება ვიღაცის ფეხის კვალს, მივა ლურჯ ქვასთან, ასწევს მას და იქიდან სამოელ ეშმაკი გამოხტება, ღმერთს ყანყრატოში ხელსა სტაცებს და დახრჩობას უპირებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოს გამთლიანებას მხოლოდ აფხაზეთში დაბადებული ქართველი თუ შესძლებს...

გაზეთ "ილორის" დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი, გენერალი, შევარდნაძის ხელისუფლების მიერ სრულიად უსაფუძვლოდ შერისხული და სიკვდილმისჯილი ბატონი

ლოთი ქობალია.

– ბატონო ლოთი, დიდი ხანია არ გამოჩენილხართ პრესის ფურცლებზე...

– ძალიან დაკავებული ვარ. ოჯახური მეურნეობის გაძღოლა პრაქტიკულად თავისუფალ დროს აღარ მიტოვებს. თავისა და ოჯახის რჩენის სხვა საშუალება კი მე არ გამაჩნია. მადლობელი ვარ, რომ გაგახსენდით. თუმცა, აქვე დავსძენ, რომ ჩემი პრესაში გამოჩენა ხშირად დაკავშირებული იყო ხელოვნურად შექმნილ სკანდალებთან, რათა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოეხდინა ჩემი კომპრომენტაცია. გარწმუნებთ, როგორც კი აქტიური პოლიტიკური პროცესების მონაწილე გავხდები, კვლავ მოვექცევი ხელიდუფლების მიერ ანგაჟირებული მედიის თვალთახედვის არეში...

– იქნებ წარსულის ბატალიები გაიხსენოთ...

– სიმართლე გითხრათ, სასიამოვნოდ გასახსენებელი ბევრი არაფერია, თუმცა, იყო დიდებული დღეები, როცა ზვიად გამსახურდიასთან ერთად ხალისით ვაშენებდით ახალ საქართველოს, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკას, განათლებას, მეცნიერებას. მიუხედავად იმისა, რომ არც ამ საქმის დიდი გამოცდილება გაგვაჩნდა და არც გამოცდილი კადრების სიჭარბით გამოვირჩეოდით, საქვეყნო საქმე მაინც კეთდებოდა და სწორედ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ზეობის ჟამს ჩამოყალიბდა ის ახალი სტრუქტურები, რომლებიც დღეს საქართველოს ხერხემალს წარმოადგენდნენ. ამაზე საუბარი, დღეს, სამწუხაროდ, არც მტერს უნდა და არც მოყვარეს...

– მაშ რამ განაპირობა ის, რომ მძიმე ჟამს საქართველო გვერდით არ ამოუდგა ზვიად გამსახურდიას და მის თანამებრძოლებს?

– ჩვენ მაშინ ისეთი მონსტრი დაგვიპირისპირდა, რომ მასთან გამკლავება, მოგვიანებით, თვით ძლევამოსილმა საბჭოთა კავშირმაც კი ვერ შესძლო. ეს გახლდათ ამერიკის პოლიტიკური ელიტა და მათი ბინძური მილიონები. გაიხსენეთ, რა თქვეს აქ ჩამოსულმა ამერიკელებმა ზვიად გამსახურდიაზე: **"ეს ადამიანი ჩვენ ნამდვილად არ გამოგვადგება, რადგან მდინარის საწინააღმდეგოდ მიცურავს"**. ამაზე კი ზვიადმა უპასუხა: **"მდინარეს მხოლოდ გვამები მიჰყვებიანო"**. ეს უკვე დაპირისპირებას ნიშნავდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ედუარდ შევარდნაძემ ამერიკელთა ხელშეწყობით გერმანიის გაერთიანების შედეგად ნაშოვნი მილიარდებიდან 67 მილიონი დოლარი დახარჯა იმისათვის, რომ დაქირავებული კრიმინალების ხელით დაემხო ჩვენი ლეგიტიმური ხელისუფლება და ვერაგულად მოეკლა ზვიად გამსახურდია. ხელისუფლების უზურპირების შემდეგ კი შევარდნაძემ ვერ გაიმეტა 10 მილიონი დოლარი იმ რუსი გენერლისათვის, რომელიც ამბობდა, რომ ამ ფულის სანაცვლოდ აფხაზეთს ორ დღეში გაგიწმინდავთ ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულებისაგანო. თუმცა, ეს უკვე საუბრის სხვა თემაა...

– კარგით, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. თუ შეიძლება, ცოტა რამ მოგვითხრეთ თქვენი ბიოგრაფიიდან.

– ცხოვრებაში ერთი საათი არ გამიტარებია უსაქმოდ. ახლა ვიღაცეები მიკიჟინებენ, ლოთი ქობალია პურის მანქანაზე ექსპედიტორად მუშაობდაო. ვერ გამიგია, რატომ არის სამარცხვინო ნებისმიერი სამუშაო. ხალხს პურს ვაძლევდი, ხომ არ ვართმევდი. ბოლოს და ბოლოს, ჩემი გვარი **"ქობალია"** მეგრულ ენაზე პურს ნიშნავს. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი, დღეს თოხითაც ხშირად ვმუშაობ და არც ეს მიმაჩნია სამარცხვინოდ. ჩვენს ხელისუფლებაში მოკალათებულმა იმ მუქთახორებმა იკითხონ, დღეს რომ ხალხს წურბელებივით ასხედან კისერზე. მათ აუცილებლად მოკითხავს ხალხი. მე კი წელიწადზე მეტი ვიყავი უმაღლეს ხელისუფლებაში და ჩვენი დამხობის შემდეგ არავინ მომდგომია კარზე – უკანონოდ ნაშოვნი ქონება ჩამაბარეო. ნურასოდეს გაავლებთ პარალელს გამსახურდიას ხელისუფლებისა და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა პატიოსნებას შორის, თორემ, ხალხის რისხვას დაიმსახურებთ.

– თქვენ ერთი წელიწადი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარეთ...

– არავის ვუსურვებ იმის განცდას, რაც მე მაშინ განვიცადე. კარის ყოველ გაღებაზე კამერაში მყოფ მეგობრებს ვემშვიდობებოდი, რადგან მეგონა, რომ უკვე დასახვრეტად გავყავდით. ძლიერი სულისკვეთებისა და ფსიქოლოგიის გარეშე ამგვარ სტრესს ვერცერთი ადამიანი ვერ გაუძლებს. მაგრამ იმდენი მოვახერხე, რომ, სიკვდილის მოლოდინში ლექსების წიგნიც კი დავწერე, რომელიც მოგვიანებით გამოვეცი. როგორც ჩანს, შევარდნაძის დანაშაულებრივ გარემოცვაშიც იყვნენ გულისხმიერი ადამიანები, რომელთაც იცოდნენ, რომ ჩემს მიმართ წამოყენებული ბრალდებები უსაფუძვლო იყო. მე ხომ სამშობლოს საკეთიდღეოდ ვიბრძოდი და არა პირადი გამორჩენის მიზნით. ამიტომ, დახვრეტა ხანგრძლივი პატიმრობით შემიცვალეს.

– დავუბრუნდეთ აფხაზეთის თემას. იყო ბრალდება თქვენს მიმართ, რომ დევნილებს გალზე არ ატარებდით, რის გამოც ბევრმა ჭუბერის უღელტეხილზე გადასვლა არჩია, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა...

– ესეც შევარდნაძის ხროვის მიერ აგორებული პიარი გახლდათ. მსხვერპლი უფრო დიდი იქნებოდა, ჩვენ რომ გალიოჩამჩირის გზაზე კორიდორი არ გაგვეკეთებინა, სადაც ასორმოცდაათი ათასმა დევნილმა დააღწია თავი დიდ გასაჭირს. ეს ხალხიც რომ ჭუბერით წასულიყო, თუ წარმოგიდგენიათ, რამდენი ადამიანი ვერ ჩააღწევდა სამშვიდობო ზონას (თუ არ ვცდები, ამ მოვლენებს ვრცელი წერილი უძღვნა გაზეთმა **"ილორმა"**, რომლის ავტორი დავით ქობალია გახლდათ). სწორედ ეს მსხვერპლი სჭირდებოდა შევარდნაძეს ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციისათვის, რომელიც ჯერ აფხაზეთში იყო მომძლავრებული, შემდეგ კი სამეგრელოში გადმოინაცვლა. ამიტომაც შეუსია მან **"მხედრიონი"** სამეგრელოს, რომლებიც არავის ინდობდნენ, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ უდანაშაულო ხალხს. ზოგიერთი ყოფილი მხედრიონელი ახლა ჩვენი მეგობარია და გულახდილად გვეუბნებიან, **"ზემოდან"** ბრძანება გვქონდა, რომ რაც შეიძლება მკაცრად და დაუნდობლად გვემოქმედნა, თორემ ჩვენ თვითონ დაგვხვრეტდნენო. ამიტომ არის აუცილებელი ედუარდ შევარდნაძის გასამართლება მაშინაც კი, თუ იგი უკვე ცოცხალი აღარ იქნება! ამით ჩვენ შევძლებთ **"შევარდნაძიზმის"** სინდრომისგან განთავისუფლებას, რომელიც დღეს სულისმხუთავ მაჯლაჯუნად აწევს სრულიად საქართველოს.

– მაშინ თქვენც გედებოდათ ბრალად რამდენიმე დანაშაულის ჩადენა.

– ვიცი, რაც და ვინც გყავთ მხედველობაში. მაბრალებენ ისეთ რამეს, რომლის შესახებაც მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე როცა სასამართლოს სხდომაზე ბოლქვაძის მკვლელობა დამაბრალეს, წინააღმდეგობა არ გამიწევია, რადგან ვიცოდი, რომ მაინც დახვრეტას მომისჯიდნენ და ჟურნალისტის ნამდვილ მკვლელს მკაცრი სასჯელი ავაცდინე. შეიძლება კანონის წინაშე მაშინ არ ვიყავი მართალი, მაგრამ მოვიქეცი ისე, როგორც მამაკაცს ეკადრება. შემდეგ როცა პოლიტიკას დავუბრუნდი, ხელისუფლებამ ჩემი განეიტრალება ამ საკითხის გააქტიურებით გადაწყვიტა. მე საჯაროდ გავაკეთე განცხადება იმის თაობაზე, რომ საზოგადოების თანდასწრებით შევხვდებოდი დაღუპული ჟურნალისტის ნათესავებს, რათა ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა, მაგრამ მათ ეს არ მოისურვეს. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ მზად ვარ შევხვდე ბოლქვაძის დედას, დას და მის ნათესავებს (რომლებმაც პირველი დღიდანვე იციან, რომ მე ამ საქმესთან საერთოდ არაფეტი მაკავშირებს!..), რათა ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს ჭეშმარიტება.

– მოდით, კვლავ აფხაზეთის თემას დავუბრუნდეთ. რა აზრისა ხართ საქართველოს ხელისუფლების ბოლოს-დროინდელ განცხადებაზე აფხაზებთან სახალხო დიპლომატიის განვითარებით კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე?

– გულუბრყვილო უნდა იყო ადამიანი, რომ ამგვარ განცხადებებს ერწმუნო. როგორც იტყვიან, ჩვენი ხელისუფლების **"სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა..."** ვერცერთი სახალხო დიპლომატია ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგს მანამ, ვიდრე საბოლოოდ არ მოვაგვარებთ ურთიერთობას რუსეთთან. დღევანდელ ხელისუფლებასთან საუბარი კი რუსებს არ სურთ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო. ამიტომ, ვიდრე ეს ხელისუფლება არ წავა, აფხაზეთის დაბრუნებაზე ოცნებაც კი ზედმეტია. სახალხო დიპლომატია მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, თუ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის კეთილი ნება არსებობს პრობლემების მოსაგვარებლად. ამიტომ, დაბეჯითებით ვიმეორებ: დღეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარებით დაკავებული პოლიტიკოსების მეტ ნაწილს მაღალი თანამდებობები და საკუთარი ჯიბე უფრო მეტად აინტერესებთ, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აბა მითხარით: როგორ შეიძლება გიყვარდეს აფხაზეთი ან სამაჩაბლო, თუ იგი არ გტკივა. ამიტომ, მე საჯაროდ ვამტკიცებ, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მხოლოდ აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი ქართველი თუ შესძლებს, რომელსაც იქ ნათესავთა და წინაპართა საფლავები ელოდება. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კი, საბედნიეროდ ამგვარი ადამიანი გამოკვეთილია, რომელსაც საკმაოდ დიდი პოლიტიკური წონა გააჩნია, თანაც, არა მხოლოდ საქართველოში. მოვა დრო და ამ ადამიანის ვინაობას დავაკონკრეტებ!

– ხშირად ხომ არ იცვლით პოლიტიკურ შეხედულებებს? ამა წინათ ხომ ზურაბ ნოღაიდელის გვერდით გიხილეთ.

– მე ყოველთვის მქონდა ჩემი ადგილი, მაშინ, როცა რიგითი მუშაკი ვიყავი და მაშინაც, როცა ურთულესი პოლიტიკური და სამხედრო ბატალიების ცენტრში ვიმყოფებოდი. არა ვარ ის ადამიანი, რომელიც წამდაუწუმ იცვლის შეხედულებებსა და პოზიციებს. ღმერთმა დამიფაროს, რომ ამ სიბერეში ვეძებო ჩემი ადგილი საზოგადოებაში. უბრალოდ, მინდა ერთმანეთს დავაკავშირო ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც შესძლებენ საქართველოში ხელისუფლების ხელში აღებას და ქვეყანას იხსნიან იმ დიდი გასაჭირისაგან, რაც მას დღეს ადგას. დღევანდელი ქართული ოპოზიციური სპექტრის ასე დაშლა **"ნაციონალთა"** გამანადგურებელი სტრატეგიის ნაწილია, რადგან ასე დაცალკევებულ და გათითოკაცებულ საქართველოში ისინი დაუბრკოლებლად განახორციელებენ თავიანთ ვერაგულ გეგმებს. ამიტომ არის აუცილებელი რეალურ და არა მოჩვენებით ოპოზიციურ ძალთა გაერთიანება, რისთვისაც მე ყველაფერს გავაკეთებ...

– იქნებ ის მაინც გაგვიმხილოთ, თქვენი თანამებრძოლების გარდა კიდევ რომელი პოლიტიკოსის მიმართ ხართ გამსჭვალული გარკვეული პატივისცემითა და ნდობით?

– არ დაგიმალავთ. უაღრესად სანდო და ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად მიმაჩნია სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარე, ცნობილი პოლიტიკოსი ბატონი ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. მან ეს მოძრაობა შევარდნაძის ბანდიტური ხელისუფლების მუქარების ფონზე და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩამოაყალიბა მაშინ, როცა სამეგრელოს მოსახლეობას სახელისუფლებო ბანდფორმირებები აწიოკებდნენ. იცოდა, რომ დიდი საფრთხე ელოდა, მაგრამ მაინც არ დაიხია უკან და სამეგრელოს თავისი ღირსეული ადგილი მიუჩინა მაშინ, როცა ამ ულამაზეს კუთხეს შესეული ბანდიტები ომახიანად მღეროდნენ:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და რაჭა,
ყველა ჩემი სამშობლოა,
სამეგრელოს გარდა!

შემდეგ, როცა წავიკითხე მის მიერ ოთხმოცდაათიან წლებში მომზადებული კონცეფცია – **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა"**, რომელსაც საქართველოს კორუმპირებულმა ხელისუფლებამ დუმილით აუარა გვერდი, დავრწმუნდი, რომ ამ ადამიანს გააჩნია ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გაანალიზებისა და მისი გადაჭრის გზების გამოწვლილვის ფენომენალური უნარი. თითქმის წინასწარმეტყველურია მის მიერ ჯერ კიდევ 15-20 წლის წინათ დაწერილი სტატიები, სადაც იგი დიდი უბედურების მოახლოების თაობაზე აფრთხილებდა ქართველ ხალხს. სამწუხაროდ, ყოველი მისი გაფრთხილება ავი სიზმარივით აგვიხდა. დროა, რომ სწორედ ამგვარმა პრინციპულმა და საქმის მცოდნე პროფესიონალებმა გაიკაფონ გზა საქართველოს ხელისუფლებაში...

– მიუხედავად ამგვარი მოუცლელობისა, ალბათ მაინც გექნებათ რაღაც გატაცება, რომლის გულისთვის ძირითადი საქმის გადადებას არ მოერიდებით.

– დიახ, ნამდვილად, თითქმის ბავშვობიდან მაქვს ასეთი გატაცება – ნადირობა და თევზაობა. როგორც კი თავისუფალ დროს მოვიხელთებ, წამსვე ჭურიის მიდამოებში გავრბივარ. ზღაპრული ადგილია, სადაც არც ნადირობა მოგწყინდება ადამიანს და არც თევზაობა. საღამოობით ბევრს ვკითხულობ, ძირითადად ქართულ და რუსულ კლასიკურ ლიტერატურას ვეტანები. მეცოდებიან ჩვენი შვილები და შვილისშვილები, რომელთაც უცხოურ ლიტერატურულ სუროგატს ატენიან ცხვირში. ჩვენ თუ ქართული და რუსული ლიტერატურით აღვიზარდენით, რითი ვართ ცუდები. სულიერება გვაკლია, ხასიათის სიმტკიცე, ზნეობა, რელიგიურობა თუ სტოიციზმი?

– იქნებ რამდენიმე სიტყვით გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება გაზეთ "ილორისადმი" და სურვილები მისი მკითხველებისადმი.

– **"ილორი"** არა მხოლოდ ჩემი საყვარელი გაზეთია. მას საკმაოდ დიდი ავტორიტეტი გააჩნია არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში. მასში გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისტორიულ თემებზე შექმნილი სტატიები. განსაკუთრებით გვაინტერესებს კოლხეთის მდიდარი ისტორია, სამეგრელოსთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. სადაო არაა – თუ საკუთარი ისტორია არ იცი, ვერც მომავალს დაინახავ. ტრადიცია მხოლოდ ცხოვრების წესი არ გახლავთ, იგი ჩვენი წინაპრების გულისთქმაა, ის ფენომენია, რომელმაც შემოგვინახა ყოველი ქართველისათვის წმინდა სამებად ქცეული **"ენა, მამული, სარწმუნეობა"**. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის თქვენი გაზეთის მიმართ, რომელიც ყოველ ქართველს წინაპართა მდიდარი ტრადიციების დაცვისაკენ მოუწოდებს. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ქართველებად უნდა დავრჩეთ, ევროსაბჭოში გავწევრიანდებით, ევროკავშირში თუ სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში. გაზეთ **"ილორის"** მკითხველებს და სრულიად საქართველოს ვუსურვებ, რომ გამოიჩინონ მეტი სიფხიზლე და პრინციპულობა, რათა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს სათავეში არასოდეს მოექცნენ ის შემთხვევითი, კორუმპირებული, ანგარებიანი პოლიტიკოსები, რომელთა უაზრო და მოღალატურ ქმედებებს უფსკრულისაკენ მიჰყავს ბრძოლის ქარტეხილებში ათასგზის გამოვლილი საქართველო!

ინტერვიუ მოამზადა
რ. შალამბერიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსთვის თავგადაკლული უცხოელები!..

(**Эксперименты продолжаются, но пока результатов нет**!)

თუ კი ვინმე დაუბანელს და გაუპარსავს, მოუთავებელი სახის ჭრელჩემოდნიან მგზავრს შენიშნავთ ევროპიდან (არამარტო ევროპიდან!..) საქართველოსკენ თვითმფრინავით მომავალს, უტყუარია – იგი რომელიმე ევროამერიკული ჰუმანიტარული, ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იქნება. დიდი ხანია ისინი **„მშვიდობის მტრედის, განმანათლებლის და მხსნელის“** მისიით ჩამოდიან. ამ ბოლო დროს კი, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იხუელეს!

ჩემს ბავშვობაში, იმ შეზარხოშებულ რუს ოფიცერზე მომდიოდა ბრაზი, სამშობლოსკენ მომავალ დიდ ილია ჭავჭავაძეს რომ უხსნიდა (**„მგზავრის წერილები“**) რუსეთის მისიას საქართველოს წინაშე!..

მესირცხვილებოდა – **საქართველოს და ილიას რა სჭირდა რუსის სასწავლი-მეთქი!**

ვაი, მართლა სირცხვილო! ის ცხვირგაწითლებული რუსი ოფიცერი სანატრელი გაგვიხდა იმათთან შედარებით, ვისი აღსაზრდელებადაც სახელწყეულმა **შევარდნაძემ** და მისმა სულიერმა შვილმა „**მიშამაგარიამ**“ აქცია ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლო!

მართლაც დიდ ინვესტიციებს სდებენ დასავლეთში **„ღვთის შვილთა განსწავლისათვის“** (ღმერთმა ქნას, რომ მისი მეათედი, ჩვენ, ჩვენი სამშობლოს მომავალი გენოფონდისთვის შევიძლოთ!..) და ცხადია, მათზე გაწეული ინვესტიციები სადმე უნდა გაამართლონ და რეალიზირება უყონ მიღებულ **„სწავლა-განათლებას“**.

ევრო-ამერიკული – **„მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების“** და ე.წ. **„განვითარების“** პროექტით, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველო იქცა – იდიოტთა და დაუნთა **„ცოდნის და გამოცდილების“** სარეალიზაციო პოლიგონად!

ამასთან ერთად, საქართველო **„მაღალი რისკის ქვეყანაა“** და ყველა აქ ჩამომსვლელმა უცხოელმა, იმის გარდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ღირსების ორდენს დაჰკიდებს კისერზე, ჯიბეშიც მაღალი და ღირსეული ჯამაგირი უნდა ჩაიდოს!.. თან, ერთ თვეში იმდენი – **ქართველი აკადემიკოსი 10 წელიწადში რომ ვერ აიღებს!**

ამერიკაში არ ვიცი როგორ არის, მაგრამ ჩემს სამშობლოში ასეთ წარმატებულ შვილებს, თვალზე სიხარულის ცრემლმომდგარი ქართველი დედა ეტყვის – **„დედა გენაცვალოთო!“**

მეც, თქვენს დედებს რომ ვენაცვალე და შემოვევლე, ჩვენო უცხოელო **„დამკვირვებლებო** (არ ვიცით რისი დამკვირვებლები ხართ – **სეირის ალბათ!**), **ჩვენი ბედით დიდად შეწუხებულებო!“** – მუხლის ჩოქებზე რომ დაგვიდგეს აფხაზეთი და სამაჩაბლო და შეგვეხვეწონ მობრძანდით, გვაპატიეთ თუ რაიმე გაწყენინეთ, დაბრუნდით თქვენს სახლებშიო – ეშმაკი ვერ გაგერით საქართველოდან და ცხვირს არ შეგვაყოფინებთ არცერთგან!.. თქვენი ამბავი რომ ვიცი – ბოლო წუთამდე შეასრულებთ „**ინტერნაციონალურ ვალდებულებებს**“, რათა თქვენს ჯამაგირს ცენტი არ მოაკლდეს!

თუმცა თქვენ რას გემართლებით, ან რატომ უნდა გვქონდეს თქვენი იმედი, როცა – **საკუთარ სახლში, ერთმანეთს შორის ვერ მოგიგვარებიათ ურთიერთობები!**

შარშან, დემოკრატიული ევროპის შუაგულში, სამხრეთტიროლის ოკუპაციის 91-ე წლისთავი აღინიშნა!

სხვათაშორის, უნიკალურად აღნიშნა იგი ორივე მხარემ:

სამხრეთტიროლდაკარგულმა ავსტრიამ – **გლოვით!**

სამხრეთტიროლის მიმტაცებელმა იტალიამ – **ავსტრიისათვის სამხრეთტიროლის წაგლეჯის დამკანონებელი დუჩე მუსოლინის სურათებით საახალწლო კალენდრებზე!**

მე ადრეც ვწერდი ამ საკითხზე, იგი ჩემთვის სულიერი ტკივილია და ისე ადვილად არ მეთმობა – ჩემთვის ყველა სოფელი ყველა ხეობა, ეკლესია-მონასტერი და ციხეკოშკი სამხრეთ ტიროლში ისეთივე ახლობელია, როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!

ორი წლის წინ მე და ბატონი როლანდ ჯალაღანია მიგვიწვიეს სამხრეთ ტიროლის ოკუპაციის 90 წლისთავზე. უამრავი ჩამოსული და ადგილობრივი დაესწრო **Bozen**-ში (იტალიურად – **Bolzano**) სამხრეთ ტიროლის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულთა სულის მოსახსენიებელ წირვას. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო, ჩვენ ვერ შევძელით იქ ჩასვლა, მაგრამ ავსტრიელი მწერლის და ისტორიკოსის **Rolf Steininger**-ის წიგნიდან **„სამხრეთ ტიროლი პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე“** (რომელსაც ქართულად ვთარგმნით) გადავწერეთ ერთი – 16 გვერდიანი თავი. მხოლოდ მოქმედი პირები და ადგილმდებარეობის დასახელებები შევცვალეთ აფხაზეთით და სამაჩაბლოთი, მისასალმებელი ორი წინდადება წავუმძღვარეთ და ასე მივაწვდინეთ ჩვენი ხმა 91 წლის მანძილზე სამხრეთ ტიროლის თავისუფლებას შეწირულთა ჭირისუფლებს!

ჩვენი მეგობარი, საქართველოს დიდი ქომაგი და სამხრეთ ტიროლის დიდი პატრიოტი, დოქტორ რაინერ გაისლერი გვიყვებოდა – **„წირვაზე მოსული საზოგადოება თვალცრემლიანი უსმენდა ქალბატონ ქრისტინე ფონ შპილმანს, თქვენგან გამოგზავნილ მიმართვას რომ კითხულობდა... ყველამ საკუთარ ტკივილად აღიქვა ის, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოხდაო!“**

ასე ტყუპისცალივით, წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს – **ევროპის შუაგულში – ავსტრიაში და შორეულ კავკასიაში – საქართველოში, უწყინარი ხალხების თავზე დატეხილი ტრაგედიები, რომელთა მშველელი არავინაა – არც კავკასიასა და არც ევროპის შუაგულში!**

ორივეგან, ხალხის გასაჭირზე ფული კეთდებოდა მხოლოდ და კეთდება დღესაც!

მე ერთხელ მოვუყევი, მგონი, **„ილორის“** მკითხველს ამის შესახებ, მაგრამ იმედი მაქვს იგი არ მიწყენს, თუ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ (რადგან ერთხელ და ორჯერ მოყოლა საკმარისი არ არის იმაზე, თუ რა უბედურება გვაწვეს **„ევრო-ამერიკელ მოკეთეთა“** მიერ სკალპახდილ და მანიპულირებულ თავზე!), რომ ნათლად გავიგოთ – ჩვენი პატრონი, საკუთარი თავის გარდა, არავინ არ არის დედამიწაზე და ამიტომ ამ თემას ხშირად მივუბრუნდებით, ზოგიერთი გონებადაბინდული ჩვენი თანამემამულე რომ გამოვიყვანოთ საღათას ძილიდან, რომელსაც – **ქვეყნის მთავრობიანად, ქანდარაზე გასული მისი პრეზიდენტი ელანდება და ტაშის ბათქუნით ხელისგულებს იხეთქავს!**

სტუმართმოყვარეაო ქართველი!

მეც ვიმეორებ მას, მაგრამ გულის სიღრმეში სხვა სინამდვილეს რომ ვამჩნევ (მე ხშირად მიხდება უცხოელებთან საუბრების და შეხვედრების თარგმნა და მათი მასპინძლობა!) გული მიკვდება!.. მაგრამ, რას ვიზამთ, დროს, სხვა დრო მოაქვს და ადრინდელი გულარხეინი მასპინძლობა, ახლანდელმა ანგარებითმა შეცვალა – ესეც არ უნდა გაგვიკვირდეს!

ჩვენც, ქართველებლებმაც უნდა ვაღიაროთ რომ – **„Homo Hominis Amikus** კი არა, **Lupus est!“**

ადამიანი ადამიანის მეგობარი კი არა – **მგელია!**

ამ ჭეშმარიტებით, ცხადია, ევროპაში ვერავის გააკვირვებ, მაგრამ მგლების ხროვაში ჩავარდნილ საქართველოში რომ ამის დაჯერება არავის უნდა – **ეს ტრაგიკომედიაა!**

ხშირად გვესმის მავანთაგან – **„საქართველომ უნდა იხსნას კაცობრიობა, ჩვენ განუმეორებელი მისია გვაკისრია!“**

დიდებული მოსასმენია და – **იმედს და ღირსებას მაინც გვმატებს, საარსებოს თუ არა!**

მაგრამ, ზოგჯერ გვავიწყდება – თუ ამხელა პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ თავზე, დანარჩენ კაცობრიობის წინაშე, მაშინ გვევალება კიდეც – ჯერ საკუთარი თავი გადავარჩინოთ – **„ჩვენი, ზოგადსაკაცობრიო, მისიონერული ვალის გამო!“**

ერთმა ჩემმა უცხოელმა მეგობარმა, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში, მთავრობის სახლთან გამართული **„ტაშფანდურის“** შემყურემ, დიდი გულისტკივილით და მობოდიშებით მითხრა:

„მხოლოდ სულელების გარემოცვაში შეიძლება კომფორტულად იგრძნოს თავი შეურაცხადმა! ქართველები და მათი პრეზიდენტი ამის შესანიშნავი მაგალითიაო!..“

ძნელია მას არ დაეთანხმო, მაგრამ სამწუხაროდ არც ეს არ მოიტანს არანაირ შედეგს, თუ კი ხალხი, მოსახლეობა არ მიხვდა მას რა მოელის!

შარშან თებერვალში გერმანიაში მორიგი **„ბესტსელერი“** გამოჩნდა წიგნების მაღაზიებში. მისი ავტორი გერმანული წარმოშობის ებრაელი გეორგ ფრიდმანი გახლავთ, რომელმაც ფანტასტიკურად რეალურ ფორმებში წარმოუდგინა მკითხველს წიგნი – **„შემდეგი ასი წელი“**, რომელიც დედამიწის მომავალს წინასწარმეტყველებს მომავალი ასი წლის განმავლობაში. წიგნი ინგლისურად დაიწერა და რამდენიმე თვეში მრავალ ენაზე, მათ შორის გერმანულადაც ითარგმნა. მე მას ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ არა – ჩემი ერთი გერმანელი მეგობარი, რომელმაც მისახსოვრა იგი და ვრცელი მინაწერიც მოაყოლა მას!

„ძვირფასო დავით,

დარწმუნებული ვარ, საინტერესო იქნება შენთვის და ბატონი როლანდისთვის წინამდებარე წიგნი, რომელმაც წაკითხვისთანავე ამიწეწა ფიქრები. თვალწინ გადამეშალა ცოდვილი მსოფლიოს რუქა და, ჩემი სამშობლო – გერმანიის შემდეგ, ფიქრებმა საქართველოში გადამისროლა. მაშინვე თქვენ გამახსენდით... კიდევ ერთხელ მივუბრუნდი როლანდის სარდაფში სწორუპოვარი „საფერავის“ წრუპვისას მრავალგზის ნაკამათევ თემებს – *„ბაგრატიონების მრავალსაუკუნოვანი დინასტია“, „ტრადიცია და მისი უგულვებელყოფა“, „უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა გერმანიასა და საქართველოში!“*

გამახსენდა, ჩემს ნათქვამზე – *გერმანიაში ერთ სულ მოსახლეზე მატება 0,8%-ზე დაბლა ჩამოვიდა!*

შენი კომენტარი – *გერმანელებს გაგიმართლათ, რომ ბავშვები დაბადებისას თავით მოდიან ამ ცოდვილ მიწაზე, თორემ ამიერიდან ყველა გერმანელი უთავოდ დაიბადებოდაო!*

კიდე ერთხელ ვიცინე (ქართულ გამოთქმას ვიხმარ!), ამჯერად – *„სიმწრის სიცილით!“*

ერთნაირი ბედი გველის გერმანელებს და ქართველებს მომავალი ასი წლის მანძილზე, მაგრამ, რაც გინდა გასაკვირი იყოს, თქვენ – 5 მილიონიან ქართველებს გაცილებით დიდი შანსი გაქვთ გადარჩენის, ვიდრე ჩვენ – 80 მილიონიან გერმანელებს და იგი შემდეგში მდგომარეობს:

– ჩემი სამშობლო გერმანია და გერმანელები, მას შემდეგ რაც სახელმწიფოებრივი სახე მიიღო და ცივილიზაციას ეზიარნენ, მუდამ სხვის დაპყრობაში და სხვისი მიწების შემოერთებაში იყვნენ გართულები. უამრავი პატარა ხალხები და სახელმწიფოები არსებობდნენ გერმანიის ფრთის ქვეშ. იყო სუსტი გერმანია – სუსტი და დამშეული იყო მის ფრთის ქვეშ მყოფი ხალხები და სახელმწიფოები! ძლიერი იყო გერმანია – ძლიერი და მაძღარი იყო მის ფრთის ქვეშ მყოფი ხალხები და სახელმწიფოები!

გერმანია, სხვებზე ბატონობას იყო მუდამ მიჩვეული და იგი სხვისი ფრთის ქვეშ ვერ მოთავსდება, იგი ამას ვერ აიტანს და მისი გადაშენება გარდაუვალია!

სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე საქართველოს სინამდვილეში. თუ რომელიმე ერზე ითქმის დედამიწის ზურგზე *„მათი ისტორია გამუდმებული ომების ისტორიაა!“*, იგი პირველ რიგში ქართველებზე ითქმის. ამ მამაცმა ხალხმა გაუძლო დროის გამოცდას და ათასწლეულები გამოიარა დღემდე!

ჩვენ ადრეც არაერთხელ გვიკამათია ამ საკითხზე – თუ რამ გააძლებინა საქართველოს მუდმივად სხვადასხვა დამპყრობლების უღელქვეშ!

ყოველთვის მახსოვს სამხრეთ საქართველოში შენს მიერ მოყოლილი და შენთან ერთად ნანახი ისტორიული ძეგლები, რომლებიც ხან მონღოლების, ხან სპარსების, ხანაც თურქების მიერ დაპყრობილ კუთხეში შენდებოდა!.. (საფარის სამონასტრო კომპლექსი მიდგას თვალწინ ამ სტრიქონებს რომ ვწერ!) რა ძალა შეაძლებინებდა იმდროინდელ ქართველობას ამ სასწაულებს?

შენ კარგად იცი ჩემი პასუხი – *ღრმა რელიგიურობა, ათასწლოვანი ტრადიციების და წესჩვეულებების ერთგულება, სიამაყე რომ ქართველი ვარ და ქართველად დარჩენის გენეტიკური სურვილი!*

მსოფლიოში 500 წელზე მეტხანს არცერთ დინასტიას არ უარსებია ბაგრატიონების დინასტიის გარდა! მეამაყება, რომ ამ ქვეყანაში და ამ ხალხთან ერთად მომიწია წლების განმვლობაში მუშაობამ!

თუ ქართველები არ უღალატებენ ათასწლეულების მანძილზე გამოცდილ, ზემოთნახსენებ თვისებებს – *გერმანელებისგან განსხვავებით, 21-ე საუკუნის შუაწლების კატასტროფას გაუძლებენ და რომელიმე დიდი მეზობლის **„სახურავის“** ქვეშ იარსებენ, აქამდე მოტანილ, ეროვნულ და კულტურულ სიმდიდრეებსაც წარმატებით განაგითარებენ.*

დარწმუნებული ვარ შენ და როლანდი, ჩემს არასასიამოვნოდ მოსასმენ დასკვნებს, ჩემი უსაყვარლესი ქართველების შეურაცხყოფად არ მიიღებთ – ეს მწარე რეალობაა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერც გერმანელი და ვერც ქართველი ვერ გაექცევა!

ზემოთ ვახსენე – ჩემი ერი არ არის სხვისი კალთის ქვეშ ყოფნას -მეთქი მიჩვეული. სხვები იყვნენ მუდამ მის კალთას შეფარებული. ამიტომ, მას ის იმუნიტეტი არ გააჩნია, რაც ქართველობას და იგი დაიღუპება!

ქართველები კი პირიქით – მათ ათასწლეულების მანძილზე გამოუმუშავდათ დამპყრობლებთან ბრძოლის და უკიდურეს შეთხვევაში მათი ფრთის ქვეშ ცხოვრების იმუნიტეტი, ამიტომაც თქვენ გადარჩებით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ კი ზეწოლას გაუძლებთ და არ გაგიქრებათ – *ღრმა რელიგიურობა, ათასწლოვანი ტრადიციების და წესჩვეულებების ერთგულება, სიამაყე რომ ქართველები ხართ და ქართველად დარჩენის გენეტიკური სურვილი!*

ჩემო ძვირფასო დავით, იმედი მაქვს ჩემი წერილი კიდევ უფრო დიდი ინტერესით განგაწყობს წინამდებარე წიგნისადმი და ველოდები შენგან და როლანდისგან შემოხმიანებას!

პატივისცემით

პროფ. დრ. რ. არნიმი“

წელიწადი გავიდა ამ წერილის წაკითხვიდან და მას აქამდე ვერ მივუბრუნდით. მიგვაჩნდა, რომ ჯერ კიდევ არ არის ისე კატასტროფულად ჩვენი საქმე და მოიძებნება გამოსავალი, მაგრამ ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვარწმუნებს რომ არამცთუ ფიქრის დრო გაგვაჩნია – **დიდი ხნის დაგვიანებულია კიდეც და მართლა ღვთისსასწაული თუ არა, ჩვენი გადარჩენის შანსი არ არსებობს!**

ამისი პირველი ნიშანი, ქვეყნის პირველი პირის განცხადებები და გადადგმული ნაბიჯებია, რომლებიც არა ფარულად – ღიად, გამჭვირვალედ (როგორც თვითონ უყვარს თქმა!) გაკეთებული განცხადებებია – **„რაც შეიძლება მალე უნდა გავამრიკელდეთ!“, „ინგლისური ენის უცოდინარი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი დიპლომს ვერ მიიღებს!“**

დააკვირდით, დ-რ. არნიმის გაფრთხილება ამ ორ **„განცხადება-ბრძანებაშია“** გაცამტვერებული! ჩვენ გარდაუვალი გადაშენება გვემუქრება, მანამ, სანამ გ. ფრიდმანის წიგნში დასმული საშიროება დაუდგებოდეს დედამიწის ზურგზე მცხოვრებთ!

გერმანელებს, ეტყობა, კარგად აქვთ შეგნებული კარსმომდგარი დემოგრაფიული კატასტროფა და ისინი ყველანაირ ზომებს მიმართავენ ამ უბედურებისგან თავის დასაღწევად. საქმე იქამდის მივიდა, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა – მამაკაცი მინისტრიც კი გათხოვდა, მაგრამ გვეეჭვება გერმანელთა დემოგრაფიულ კატასტროფას (მატება – ერთ სულ მოსახლეზე 0,8%-ს) რაიმე უშველოს გუიდო ვესტერველლეს თავგამოდებამ!

წარმატებას, არც სქეს და გონებამანიპულირებულ ქართველთაგან უნდა ველოდეთ, რომლებსაც ტელეეკრანს არ აცილებენ – ახალი, **„ევრო-ამერიკული გადაგვარების“** დროის სამთავრობო მედაფდაფენი!

რაც შეხება გ. ფრიდმანის წიგნს – იგი ცდება ფანტასტიკის სფეროს და საკმაოდ პრაგმატულადაა დასაბუთებული ყველა მოსალოდნელი დემოგრაფიული ცვლილებები დედამიწის ზურგზე, რომელიც უახლოეს 50 წელიწადში რადიკალურად შეცვლის ძალთა თანაფარდობას ქვეყნებს შორის და ამ ქვეყნების სახელმწიფო საზღვრებს!

ეს წერილი არ ითვალისწინებს გ. ფრიდმანის წიგნის განხილვას, მაგრამ, სანამ მკითხველი თვითონ წაიკითხავდეს მას (ჩვენ უკვე ვმუშაობთ მის ქართულ თარგმანზე!), მოკლედ გაგაცნობთ მის შინაარსს, თუ რას ეფუძნება ავტორის სენსაციური განცხადება, რომ დღემდე შემორჩენილი ორი იმპერია **აშშ** და **რუსეთი** 2050 წელს სასწაულებრივად დაიშლება:

„ამ დროისათვის მათი განვითარების დონე ზენიტს მიაღწევს, იმდენ იარაღს შექმნიან, მისი მართვის საშუალება არ ექნებათ. ტექნიკის განვითარებას ნახევარ გზაზე ვერ მოსდევს საკუთარი მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდის ტემპი, რაც იმას ნიშნავს – მათ მოწინააღმდეგეებს იარაღის წარმოება არც დასჭირდებათ, ამერიკელების და რუსების მიერ დამზადებულ საომარ მანქანებს შემოასხდებიან და დამთავრებულია კიდეც ფულის ძალით ცოდვილი დედამიწის ზანზარი!“

ეს მარტივად და ზედაპირულად!

სერიოზულად კი მკითხველი გ. ფრიდმანის წიგნს მისი ქართულად გამოცემის შემდეგ გაეცნობა.

მანამდე კი, კიდევ ერთი გულგასახეთქი ამონარიდი ამ წიგნიდან – **...2050 წლის მსოფლიო რუქაზე კავკასია მთლიანად გადაწითლებულია და იქ თურქეთის გარდა არცერთი სახელმწიფო არ ჩანს!**

ლოგიკა მარტივია – **თურქები გამრავლებას „მითაჟამური“ მეთოდით აგრძელებენ!**

ქართველები კი დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრას – **ქალის-ქალზე და კაცის-კაცზე „ევრო-ამერიკული“ დამყნობის წესით აპირებენ!**

ერთი სომხურ-აზერბაიჯანული ანეგდოტისა არ იყოს, როცა, მათ ამ საკითხზე ჰკითხეს, როგორ მიდის საქმეო:

– Эксперименты продолжаются, пока результатов нет! Оказывается, таким методом дети не рождаются-о!!!

ეს ანეკდოტი დიდი ხნის წინ ითქვა.

ასევე, დიდი ხანია – **ჩვენი მეზობლები მიხვდნენ „ექსპერიმენტის“ უაზრობას, მამაპაპურ მეთოდს მიუბრუნდნენ და საქართველოში მოსახლეობის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მატება – სწორედ მათ ხარჯზე ხდება!**

ქართველები კი ამ საქმესაც **„ვარდისფრი სათვალეებით“** უყურებენ!

ხომ არ არის ყველაფერი ეს – ევროპის და ამერიკის აეროპორტებიდან საქართველოში ჩამოფრენილი **„ჭრელჩემოდნიანი მგზავრების რუდუნების შედეგი?“**

მკითხველმა თვითონ გამოიტანოს დასკვნა – **ვისგან რა ისწავლა და რა სიკეთე მოუტანა მამაპაპური ტრადიციების უარყოფამ!**

დავით ქობალია

დავით ასკურავა საქართველოში უძლეველია!

როგორც იქნა, ორწლიანი "შესვენების" შემდეგ გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. მართალია, ჩვენი ტრეკი, სამწუხაროდ, შორს დგას საერთაშორისო სტანდარტებისაგან, მაგრამ, გაჭირვებისას, იქ ვარჯიში, ასე თუ ისე, მაინც შეიძლება. ის კი არა და, სექტემბრის მიწურულს მან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატსაც კი უმასპინძლა.

თავიდანვე უნდა ითქვა, რომ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მთავარ ფავორიტად, თავიდანვე, რა თქმა უნდა, 20 წლის დავით ასკურავა მოიაზრებოდა და აკი ასეც მოხდა – დათომ ყველა დისციპლინაში გაიმარჯვა და რაც ძალიან სასიამოვნოა, მან საუკეთესო დროები აჩვენა. არც ის იქნება ვინმესთვის მოულოდნელი, რომ ასკურავამ ყველა მდევარს სოლიდური მარაგით მოუგო, მაგრამ ეს უფრო გულსატკენია, ვიდრე სასიხარულო. ეს იმას მოასწავებს, რომ სატრეკო ველოსპორტში მხოლოდ ერთი კაცი, ერთი გამოკვეთილი ლიდერი გვყავს, სხვა დანარჩენის კლასი კი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დაბალია. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ დავით ასკურავას მწვრთნელს როდიკო მეიშვილს:

– ჩემპიონატში, დიდებშიც და პატარებშიც ერთობლივად 16 მონაწილე იყო. დათომ იასპარეზა სპრინტში, 4 კილომეტრზე და სკრეჩში და სამივე დისციპლინაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. სპორტსმენმა მართლაც კარგი შედეგები უჩვენა, მაგალითად, ჩვენს დიატრეკზე სპრინტის 10,7 წამში გავლა, ცოტა არ იყოს, ძნელია. არ დაგავიწყდეთ, დიდი დიღმია და იქ მუდმივად ქარი უბერავს, რაც, ბუნებრივია, აბრკოლებს სპორტსმენს. სულ რომ არ იყოს ქარი, რომელიღაც სწორზე მაინც წამოუქროლებს და შეგაფერხებს.

თქვენ იცით, რომ ამას წინათ სანქტ-პეტერბურგში ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატები ჩატარდა, და ახლა, საქართველოს ჩემპიონატზე დათომ უკეთესი შედეგი აჩვენა, მაგალითად 200 მეტრი რუსეთში, დახურულ ტრეკზე 10,9-ში გაიარა, აქ – 10,7-ში.

– ბარემ სანქტ-პეტერბურგის ამბებზეც მოგვითხრეთ.

– საქმე ისაა, რომ, მართალია, იქ დახურული ტრეკია, მაგრამ ცოტა უხარისხოა, თუმცა, მიუხედავად ამისა, კილომეტრიანი დისტანცია მან იქ 1,06-ში ,გაიარა, აქ კი – 1,07-ში.

– და თუმცა, სანქტ-პეტერბურგში ნაჩვენები შედეგი მაინც არ არის სახარბიელო.

– 200 მეტრზე ამას ვერ ვიტყვით, მხოლოდ კილომეტრზე ვაჩვენეთ ცუდი შედეგი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანეს; ეს არ ყოფილა ევროპის ელიტარული ჩემპიონატი, რომელიც სარეიტინგო ქულებს იძლეოდა და ამიტომაც, თავი არ მოგვიკლავს, უფრო ვარჯიშის სახე მივეცით მას, დახურულ ტრეკს დავეწაფეთ და მიუხედავად სარბიელის ნაკლოვანებებისა, მაინც გვარიანად ვივარჯიშეთ. საერთოდ, ჩვენ ასეთი შესაძლებლობა არასოდეს უნდა გავუშვათ ხელიდან, რადგან ვარჯიში, თუნდაც თავდაუზოგავი და ინტენსიური, შეჯიბრებასთან ახლოსაც ვერ მივა. ერთი კარგი შეჯიბრება 5-6, ზოგჯერ 10 ვარჯიშსაც ჯობია.

სანქტ-პეტერბურგში კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. კეირინში ვერ მივიდეთ მონაწილეობა. შეჯიბრების გენერალურმა მდივანმა შეცდომა დაუშვა, რომელმაც შეცვალა განაცხადი, დათოს გარბენი იყო მესამე და გადაიყვანეს მეორეში, ჩვენამდე კი ამ ამბავს არ მოუდწევია. მართალია, მერე ბოდიში მოიხადეს, მაგრამ ბოდიში რას გვიშველიდა?!

– ელიტარული ჩემპიონატი როდისდა იმართება?

– 5-7 ნოემბერს პოლონეთის ქალაქ პრუშკოვში. და სწორედ ამ შეჯიბრებისათვის ვემზადებით. აქედან დაიწყება ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების ათვლა. შემდეგ დაიწყება მსოფლიო თასები და ოთხივე ეს ტურნირი იძლევა სალიცენზიო ქულებს.

– მსოფლიო თასის რამდენ გათამაშებაში მიიღებთ მონაწილეობას?

– აბა, წინასწარ რა გითხრათ, ყველაფერი ფინანსებთაა დაკავშირებული, რითაც ჩვენ, სამწუხაროდ, დიდად არ ვართ განებივრებული... ძნელია ისაუბრო წარმატებაზე მაშინ, როცა სპორტსმენს ერთი ხეირიანი ველოსიპედი ვერ შეუძინა ვერც ფედერაციამ, ვერც ოლიმპიურმა კომიტეტმა და ვერც ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრომ. ძველი, ამორტიზებული ველოსიპედით ასპარეზობა კი, როგორია, ნებისმიერმა სცადოს, თუნდაც კუს ტბაზე გაისეირნოს...

– პრუშკოვში რა გეგმები გაქვთ?

– აუცილებლად უნდა მოვხვდეთ 24 კაცში, ამიტომ, 200 მეტრი 10,4-ში კი არ უნდა გავიაროთ, არამედ 10,1-ში, 10,0-ში. ჩვენ ახლა სიჩქარეზე დავიწყებთ მომზადებას. ჯერ გზატკეცილზე ვიმუშავებთ, ხოლო 2 კვირის შემდეგ გადავალთ ტრეკზე, თუ ამინდმა ამის საშუალება მოგვცა, თუ არა და, მოგვიწევს მინსკში ჩასვლა და იქ ვარჯიში. სხვა გზა, სხვა გამოსავალი არ გვექნება.

ინტერვიუ ჩამოართვა
გიორგი ჯალაღანიამ

რედაქციისაგან – როგორც გავარკვიეთ, საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტს კახა შენგელიას განუცხადებია, წლეულს ნურაფერს მომთხოვთ, დაფინანსება მხოლოდ გაისიდან მოვაო. უდარდელობაა და სხვა არაფერი, მხარ-თეძოზე იწვე მაშინ, როცა საქართველოს დავით ასკურავას სახით ჰყავს პერსპექტიული სპორტსმენი, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრად?

ეს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დანაშაულია იმ ქართული ველოსპორტის წინაშე, რომელსაც დიდი ხანია თავი არ გამოუჩენია საერთაშორისო არენაზე. არა და, უახლოეს წარსულში საქართველოს დავით ასკურავასნაირი ძლიერი ველოსიპედისტი არ ჰყოლია და თუ მისი შესაძლებლობები დღესვე არ გამოვიყენეთ, კაცმა არ იცის, კიდევ როდის მოუბრუნდება ღმერთს ჩვენზე გული, რომ ასეთი ძლიერი ველოსიპედისტი გვაჩუქოს!

სრულყოფილი ველოტრეკი არ გაგვაჩნია და სპორტსმენი იძულებულია მანქანებით უსაშველოდ გადაჭედილ გზატკეცილზე ივარჯიშოს. ერთი ხეირიანი ტრეკი არ ეღირსა საქართველოს, არა და, მილიონები ჩაყარეს ამ საქმეს, მაგრამ სად წავიდა ეს მილიონები, არავინ იცის!..

იუმორი

ადამ და ევას არც დედამთილი ჰყავდათ და არც სიდედრი, მოკლედ, სამოთხეში ცხოვრობდნენ...

* * *

ლუდოვიკო XIV სეირნობს, უცებ თოვლზე ხედავს წარწერას "მეფე რქიანია". გამწარებულმა ბრძანა დამწერის მოძებნა. ორ საათში ექსპერტებმა მოახსენეს: სირ, შარდი ჰერცოგისაა, ხელწერა კი დედოფლის.

* * *

სასაფლაოზე ზეიმია. გამვლელი სასაფლაოს დირექტორს ეკითხება, რა ხდებაო.

– ავტოინსპექტორი დამარხეს და ტაქსის მძღოლები ზეიმობენ. ჰმ... ეგ რა არის, იმ დღეს საგადასახადოს ინსპექტორი მოასვენეს და სამჯერ "ბის"-ზე დამარხეს.

* * *

თუთიყუში უყურებს, როგორ დებს დიასახლისი მოხარშულ ქათამს საცივეში.

– ქალბატონო, იქნებ საკმარისია მიცვალებულის ასე წამება?

* * *

– წარმოგიდგენია, გუშინ ერთი ლიტრა არაყი დავლიე!

– მარტო?

– არა, პელმენებთან ერთად!

* * *

მიხო უწყრება შვილს:

– შე აჯამო, რა არის, სულ ორიანები და ორიანები! ერთხელ სამიანი მიიღე, რომ ქეიფის მიზეზი მომეცეს!

* * *

ვეტერინარები სპილოს ოპერაციას უკეთებენ. დაამთავრეს და გაკერეს. ერთი ვეტექიმი ეკითხება მეორეს:

– მოიცა კაცო, ეს ჩვენი სანიტარი სად არის?

ოდაბადე, ოდაბადე!..

ანუ ღია წერილი რამაზ კუპრავას

ჩვენ იმ მზიანეთიდან მოვდივართ, ჩემო რამაზ, ულამაზესი სოხუმ-ქალაქიდან და საოლქო გაზეთ **"აფხაზეთის ხმის"** (ყოფილი **"საბჭოთა აფხაზეთის"**) რედაქციიდან, სადაც შენი ცხოვრების შეგნებული წლები განვლე.

ღრმად განსწავლული და განათლებული, საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე, პოეტი და ჟურნალისტი, ამაყი, შეუდრეკელი პიროვნება და ამ მოჩვენებით ვიზუალურ გარეგნობაში დამალული ბავშვივით სუფთა, მეგობართა მოყვარული, სიცოცხლეზე, ოჯახზე, შვილებზე შეყვარებული...

"ოდაბადე, ოდაბადე.. სქანდა ბრელ მაფ ორაგადე..." – ეს შენი ერთ-ერთი პირველი ლექსია აფხაზეთდაკარგულს რომ რომ აღმოგხდა და შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი ოდაბადესთან იდუმალ საუბარს მოუნდი. ამით იმსუბუქებდი საკუთარ სამშობლოში დევნილად ყყოფნის გაუსაძლისობას. გტკიოდა აფხაზეთი, იქამდე კი... სამოქალაქო ომგადავლილი, პირველი პრეზიდენტის ერთგულებისათვის დასჯილი, ცეცხლწაკიდებული სამეგრელო. ოდაბადეში, ფეხმოუცვლელად შენი დარჩენა და მეგრული ლექსებით აკინძული კრებული – **"ლაზონა დო მარგალონა"** შენი უჩუმარი პროტესტია, ჩემო რამაზ, იმ მთავარის ამოსათქმელად, რომ საქართველოს ისტორიული წარსულიდან, ქუჯიდან და ფარნავაზიდან მოყოლებული სამეგრელოს არასოდეს შეუშლია ხელი საქართველოს ერთიანობისათვის, რომ მისი გაერთიანება მუდამ ისტორიული ეგრის-კოლხეთიდან იწყებოდა.

აფხაზეთის ომის სემდეგ შენი ოჯახური ისტორიაც აქ იღებს სათავეს. ვაჟიშვილებისადმი დარქმეული სახელები აიეტი (რამაზიკო) და ქუჯი, შენი ოდაბადესადმი სიყვარულის დასტურია, ჩემო რამაზ!

კიდევ რა გითხრა, რომელი ერთი გავიხსენო. რედაქციაში გამორჩეული საძმო: რამაზ კუპრავა, გოგი ხაფთანი, ანზორ გვარამია... შენს კაბინეტში თავმოყრილი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები: ვოვა ვეკუა (სიყვარულით – ლადის რომ ეძახდი), თემურ ლორთქიფანიძე, სოსო ადამია, დიმა ჯაიანი, ნუგზარ მგალობლიშვილი, გოჩა ბახია... პირადად იცნობდი და მეგობრობდი საქართველოს პირველ პრეზიდენტთან ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან.

შორს იყო შენგან კარიერისტული მიზანსწრაფვა, რეგალიები... პოეტად დაბადებულს ფუჭი ამაოება არაფრად გჭირდებოდა. ვერ ჰგუობდი სიყალბეს, ფლიდობას, გაუტანლობას. შენი მეგობრები მოუთმენლად ველოდით შენგან ნომერში გასული ჩვენი სტატიების შეფასებას. სარედაქციო თათბირამდე, დერეფანში, შენგან მხარზე დადებული ხელი პირველი შეფასება იყო... ასე იხვეწებოდა ჩვენი კალამი, ასე იწერებოდა ჩვენი ურთიერთობის პატარა ისტორიები. ყველა ჩვენგანს შენგან შერქმეული მეტსახელებით გვესიყვარულებოდი: გოგი ხაფთანი – გაგჰი ან ჰაჰი იყო, ნონა და ნანა ქობალიები – ნონკა და ნანკა, ნანა ჭანტურია – ჭანტუ, ნანა გოგოხია – ფუმფულა, ნუნუ თოდუა – ნუნუკა, მე – შვეტა... დღეს ეს ყველაფერი ხსოვნაა, ჩემო რამაზ, ჩვენი ცხოვრების მშვიდობიანი მონაკვეთია. რუსი და უფერულია დევნილად ცხოვრების კადრები. ერთდროულად ვცხოვრობდით წარსულსა და აწმყოში, უფრო სწორად, წარსულით ვებმით დღევანდელობას. გაურკვეველი და ბუნდოვანია ჩვენი მომავალი, კვლავაც შორია აფხაზეთამდე! ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულებმა და დათითოებულებმა ჩავიმუხლეთ და ვეღარ წამოვდექით. ვერც შენმა დაღლილმა გულმა გაუძლო გაუსაძლის ტკივილს. აფხაზეთიდან იძულებით აყრილთა ბედის მოზიარე მიწიდან აწეულ პატარა ბორცვად დააჩნდი მშობლიურ მიწას.

...ზუგდიდის რჩეული საზოგადოება, შენი პოეზიის თაყვანისმცემლები, მეგობარ-ახლობლები, სისხლისმიერი ნათესავები, შენი მოსიყვარულე მეუღლე ნანი და შენი ვაჟიშვილები მიუყვებოდნენ სამგლოვიარო პროცესიას მანცხვარკარის სასაფლაომდე. საკინძეშეხსნილმა ოდაბადემ ჩაგიკრა გულში და მარადისობის ბინადარი გახდი...

მიწასაც ეტკინა იმ დღეს ჭრილობა, რამაზ!

ვერაფრით იგუა შენთვის დაწერილმა ბარათმა სიტყვა – **გამოსათხოვარი**. შენ მუდამ იცოცხლებ ჩვენ გულებში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული ადგილით, ამიტომ არ გეთხოვებით, რამაზ!

აფხაზეთის ცას შეხიზნული, ვიცი, იქიდან ილოცებ მამულის გამთლიანებისათვის. ამა სოფლიდან ჩვენც შემოგიერთდებით და ლოცვებში გავერთიანდებით ორთავე სოფელსა შინა. შენი პოეზია და ვაჟიშვილები გააგრძელებენ შენს სიცოცხლეს, რამაზ!

დაგიმკვიდროს უფალმა სასუფეველი!

სოხუმელი
მეგობრების სახელით,
სვეტლანა კვიკვინია

ISSN 1987-8966 "ილორი"
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www.ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
38-41-97
893-51-01-71
899-34-37-27